პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

—პარიზში ჩავიდა გერმანიის ფინანსთა მინისტრი.

—სპარსეთის სამღვდელოებამ დაიწყო კამპანია მთავრობის წინააღმდეგ.

—საფრანგეთის მემარჯვენე პრესა უკმაყოფილია ბრიანის დათმობითი პოლიტიკით გერმანიის მიმართ.

—ბოლდუინს თათბირი ჰქონდა მემაღაროეებთან და მაღაროს მეპატრონეებთან.

—პალესტინაში შეტაკება მოხდა ებრაელებსა და არაბებს შორის.

შაბათი, 18 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 213 (1758)

დღეს, შაბათს 18 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე

დანიშნულია საქარ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დღის წესრიგში დასმულია საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის განხილვა.

სავალდებულოა შემდეგ წევრთა დასწრება: 1) დოლიძე ანდრო, 2) ლაკობა ნესტორ, 3) ჩანბა სამსონ, 4) გოგიბერიძე მამედ, 5) გამყრელიძე ლევან, 6) ჯატიევი ალექსანდრე, 7) ბეკუზაროვი, 8) ყურულაშვილი, 9) გეგეჭკორი, 10) კანდელაკი დ., 11) კუპაიძე გ., 12) სუხიშვილი, 13) ივანოვ-კავკასიელი, 14) ლორთქიფანიძე დავ., 15) სააკიანი, 16) შაბანოვი, 17) ქურდაძე, 18) ვარამაშვილი, 19) ჟვანია, 20) წულუკიძე პარ., 21) მელაძე გ. 22) ზაუტაშვილი, 23) ორახელაშვილი მარია,, 24) ქართველიშვილი ლავრ., 25) ჟულელი სიმ., 26) ოკუჯავა მიხ. და 27) ჯაფარიძე ვარვარა.

საქ. ცაკის მდივანი თოდრია.

ოსმალეთი და იმპერიალისტური ევროპა

ერთა ლიგის ეხლანდელ სესიასთან დაკავშირებით ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ ამ ორგანიზაციაში ოსმალეთის მიღების შესახებ. ერთა ლიგაში ოსმალეთის შეყვანის საკითხის დღის წესრიგში წამოყენება დამახასიათებელია პირველყოვლისა იმ წინააღმდეგობათა თვალსაზრისით, რომლებიც ღრღნის ამ „პატივცემულ" დაწესებულებას. თავის თავად ცხადია, რომ თუ რომელიმე დიდ ევროპიულ სახელმწიფოს სურს ოსმალეთი ლიგის წევრი გახდეს, ეს არა იმიტომ, რომ მის უფლებებს აღიარებს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ოსმალეთი იარაღად გამოიყენოს თავის მოწინააღმდეგის წინააღმდეგ.

ასეთი სახელმწიფოა საფრანგეთი. სწორედ მისი მთავრობა დღეს აქტიურად უჭერს მხარს ოსმალეთის მიღებას ერთა ლიგის წევრად. აქაც, როგორც ბევრ სხვა რამეში, აშკარავდება ინგლის საფრანგეთის ბრძოლა, რომელიც იმ თავითვე მიმართულებას აძლევს, ერთა ლიგის მთელ „მოღვაწეობას" და რომელმაც ჟენევის მიმდინარე სესიაზეც მკაფიოდ იჩინა თავი. თვითეულ მათგანს სურს ხელმძღვანელი როლი ითამაშოს ერთა ლიგაში და ამ მიზნით თავისი უმრავლესობა შექმნას. ამ მხრივ საფრანგეთმა, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ერთგვარ შედეგებს მიაღწია უკანასკნელად. მაგრამ ჯერ ჯერობით ინგლისი საერთოდ მაინც გაბატონებულია ლიგაში, და საფრანგეთი ცდილობს ახალ პოზიციების დაპყრობას ინგლისის შესუსტების მიზნით.

სწორედ ამიტომ გამოდის იგი ერთა ლიგაში ოსმალეთის შეყვანის მომხრედ. საფრანგეთი ბოლო ხანებში უახლოვდება ოსმალეთს და ისწრაფვის ის მოაქციოს თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ გავლენის სფეროში, რომ ამ გზით დასაყრდენი გაიჩინოს ახლო-აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკის საწინააღმდეგოთ. ცხადია, საფრანგეთი ოსმალეთზე უკეთეს მოკავშირეს ვერ იპოვის ამ შემთხვევაში, თუ მან შესძლო ანგორის მიმხრობა. ეს გასაგებია იმ გარდაუვალ წინააღმდეგობათა გამო, რომელთაც ადგილი აქვთ ოსმალეთ-ინგლისს შორის.

მართლაც ეს წინააღმდეგობა მეტად მწვავე ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისმა მოსული წაართვა ოსმალეთს და ეს ყაჩაღური აქტი ერთა ლიგას დააკანონებია. ოსმალეთი მხოლოდ უხეშ ძალის წინაშე შეჩერდა, მაგრამ შეჩერდა დროებით; ის ვერასოდეს ვერ შეურიგდება მოსულის დაკარგვას და ხელსაყრელ მომენტს უცდის ინგლისთან ანგარიშის გასასწორებლად. და კერძოდ უდავოა, რომ თუ ოსმალეთი შეყვანილ იქნა ერთა ლიგაში, ის იქ ანტიინგლისურ ჯგუფს გააძლიერებს, ლონდონის საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებს.

ამიტომაცაა, რომ ინგლისი გადაჭრით ილაშქრებს ერთა ლიგაში ოსმალეთის მიღების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ სამაგიეროდ მან მხარი დაუჭირა სპარსეთის არჩევას ერთა ლიგის საბჭოს არა მუდმივ წევრად. ამ შემთხვევაში ინგლისი დამარცხდა (სპარსეთი არ იქნა მიღებული), მაგრამ თავის თავად დამახასიათებელია ინგლისის „სიმპატია" სპარსეთისადმი. ამას თავისი მიზეზები აქვს. როგორც მკითხველს ეცოდინება, ოსმალეთ - სპარსეთ შორის დაიდვა ნეიტრალიტეტის და ერთმანეთზე თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. ინგლისმა ამის გამო ერთი განგაში ასტეხა, ამაში საფრთხე დაინახა თავისი ბატონობისათვის ახლო აღმოსავლეთში, ვინაიდან ამით მას შესაძლებლობა ესპობა სპარსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ იარაღად გამოიყენოს. ინგლისი ცდილობს სპარსეთის გულის მოგებას, მის გამოთიშვას ოსმალეთიდან და სპარსეთში და მისი საშუალებით აღმოსავლეთის სხვა ხალხებში თავის მდგომარეობის განმტკიცებას. ამ მიზნით მას სურს სპარსეთი გაიყვანოს ლიგის ხელმძღვანელ ორგანოში.

რა პოზიციას დაადგება თვით ოსმალეთი ერთა ლიგაში მისი მიპატიჟებისადმი, თუ ეს მართლა ფაქტი შეიქნა, თუ ამ საკითხში შეთანხმება მოხდა საფრანგეთ-ინგლის შორის? აშკარაა, რომ ოსმალეთი საფრანგეთს ესაჭიროება მხოლოდ თავისი მიზნების გასატარებლად და ლიგაში შესვლით თვითონ იგი ვერაფერს მოიგებს, პირიქით, დიდ ზიანს ნახავს, რამდენად ამით ის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეხლა - შემოხლის ობიექტი გახდება. ეს კიდევ ცოტაა: ანგორას დღეს აღმოსავლეთის სხვა ხალხები სიმპატიით ეკიდებიან, როგორც ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალას. და ამ სიმპატიას კი უეჭველად დაკარგავს, თუ ერთა ლიგაში შევიდა, ევროპის იმპერიალისტების კომბინაციათა ქსელში მოყვა და მათი პოლიტიკის გამტარებელი გახდა დაჩაგრულ ხალხთა მიმართ. ცნობილია, რომ მთელი აღმოსავლეთი მტრულად უყურებს ერთა ლიგას, რადგან ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ეს დაწესებულება იმპერიალიზმის აპარატია დაჩაგრულ ხალხთა დასამონებლად. ამის დამამტკიცებელი საბუთი მათ არა ერთი და ორი აქვთ. ოსმალეთის შესვლას ერთა ლიგაში ეს ხალხები გაიგებენ, როგორც მის მიხრობას მსოფლიო მტაცებლებისადმი და მათ წინააღმდეგ აღმოსავლეთის ერთიანი ფრონტის დარღვევას.

თვით ოსმალეთში აშკარად მტრული განწყობილებაა ერთა ლიგისადმი; არავის დავიწყებია მისი „მზრუნველობა", ოსმალეთისადმი, რაც მოსულის წართმევაში გამოიხატა, „მზრუნველობა", რომელშიაც ინგლისთან ერთად საფრანგეთსაც მიუძღვის დანაშაული. ცხადი არ არის, რომ თუ საფრანგეთი დღეს ოსმალეთის „მოსარჩლეთ" გამოდის, მას ყველაზე ნაკლებათ აქვს მხედველობაში ოსმალეთის ინტერესები? როგორც არა ერთხელ მომხდარა, ინგლისი და საფრანგეთი მომავალშიაც შეიძლება ერთმანეთს შეუთანხმდენ, როცა საქმე ოსმალეთის და სხვა აზიურ ხალხების დამონებას ეხება.

ოსმალეთი თავის საბოლოო განთავისუფლებას, თავის ნამდვილი დამოუკიდებლობის განმტკიცებას მიაღწევს არა იმპერიალისტურ ქვეყნებთან „შეთანხმებით", არა ერთა ლიგაში შესვლით, არამედ დანარჩენ აღმოსავლეთთან და საბჭოთა კავშირთან მჭიდრო კავშირის დამყარებით და მედგარი ბრძოლით ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

◆

კანონის ენა მარტივი უნდა იყოს

ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა გამარჯვებულ მუშათა კლასის წინაშე სხვათა შორის, ახალი კანონმდებლობის შექმნის საკითხი დაისვა, ლენინი მომხრე იყო, რომ სიტყვა „დეკრეტის" ნაცვლად შემოეღოთ— „კანონი". როგორც ყოველთვის, ლენინი ამ შემთხვევაშიაც გამოდიოდა მშრომელი მასების ინტერესებიდან, ის მიზნად ისახავდა, რომ თვითეული კანონი გასაგები ყოფილიყო მუშისა და გლეხისათვის.

მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ კანონის პოპულიარობისა და მასთან დაახლოებისათვის მარტო სათაური არ კმარა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ენა, რომლითაც იწერება ახალი კანონები.

ამ მხრივ, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ლენინის მისწრაფება კანონმდებლობის პოპულიარობისა და სიცხადის შესახებ, ზოგჯერ სრულიად უყურადღებოთ რჩება ჩვენ მიერ.

მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ავიღოთ გაზეთ „კომუნისტში" (№ 114, 2 მაის 1926 წ.) მოთავსებული დადგენილება №91—908, რომელიც შეეხება უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოჩენას. მოგვყავს ამ დადგენილების პირველი მუხლი:

„წამოწყებებში და დაწესებულებებში, რომლებიც ატარებენ შრომის ბირჟათა კომიტეტების მიერ შრ. სახ. კომ. ან სხვა სახელმწიფო ორგანოსაგან გაღებულ საშუალებებით მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშაოებს და აგრეთვე უმუშევართათვის შრომითი დახმარების გაწევის მიზნით შრომის ბირჟათა კომიტეტების მიერ მოწყობილ უმუშევართო წამოწყებები და კოლექტივები თავისუფლდებიან (პირველნი საზოგადოებრივი სამუშევარის გატარების პერიოდის განმავლობაში, ხოლო მეორეთ მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა ისინი შრომის ბირჟის კომიტეტის გამგებლობაში იმყოფებიან) სოცდაზღვევის ანარიცხების შეტანისაგან ყველა იმ უმუშევრებზე, რომელნიც ჩაბმულნი არიან მათთვის დახმარების გაწევის მიზნით მოწყობილ მუშაობაში".

მკითხველი ალბათ დაიღალა ამ ვეებერთელა და ქვასავით მძიმე მოსანელებელ ამონაწერის კითხვით. მაგრამ, ბოდიშს ვიხდი, ნებას ვაძლევ თავს, კიდევ მოვიყვანო ერთი პატარა ნიმუში იმისა, თუ როგორი მოუხარშავი და უდრეკი ენით იწერება ზოგჯერ კანონები და დადგენილებები.

მოგახსენებთ „სოციალურ დაზღვევის ანარიცხების იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ" ამ დღეებში გამოცემულ ინსტრუქციაზე. ავიღოთ ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლი. მართალია, შედარებით წინანდელ ამონაწერთან ეს მუხლი გაცილებით მარტივი და ცოცხალ ენითაა დაწერილი, მაგრამ ის მაინც იმის საუკეთესო მაჩვენებელია, თუ ზოგჯერ რამდენად დაშორებულია ჩვეულებრივ სალიტერატურო ენას ოფიციალ დოკუმენტების ენა. ხსენებულ ინსტრუქციის მეთერთმეტე მუხლი, მაგალითად, შემდეგნაირათაა გადმოცემული:

„11. გადასახადთა აკრეფის დებულების" მე-15-ე მუხლისამებრ გადახდევინების იმ თანხებზე მისაქცევად, რომელიც მენარჩენეს მე-3 პირისაგან ან დაწესებულებისაგან, ერგება დამზღვევი კასის წარმომადგენელი ან შრომის ინსპექტორი მენარჩენის ან სხვა პირის გამოკითხვით წინასწარ ჰკრებს ცნობებს, რა თანხები ერგება მენარჩენეს და სად არიან იგინი, და ართმევს სათანადო პირებს ან დაწესებულებებს წერილობით ცნობებს მათ მიერ მენარჩენისათვის მისაცემი თანხების რაოდენობის და მათი გადახდისათვის დანიშნული ვადების შესახებ; ამასთანავე აფრთხილებს მათ, თუ რა პასუხისმგებლობა დაწესებულია გადასახადთა აკრეფის დებულების 29 მუხლით მოთხოვნილი ცნობების მიუწოდებლობის ან და ყალბი ცნობების მიწოდებისათვის. დამზღვევი კასის წარმომადგენლის, ან შრომის ინსპექტორის მოთხოვნით ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და პირი ვალდებულია მენარჩენეზე მისაცემი ყველა თანხა ნარჩენების სრულ დაფარვამდე აძლიოს არა მენარჩენეს, არამედ შეიტანოს დამზღვევ კასაში თანახმად „გადასახადთა აკრეფის დებულების" მე-20 მუხლისა".

როგორც ხედავთ, ამ მშრალი ენით დაწერილ, ვეებერთელა პერიოდების მიხვეულ-მოხვეულებში არა თუ მასიურ მკითხველს, არამედ სასამართლოს დახელოვნებულ მუშაკსაც გაუჭირდება გზის გაკვლევა. ჩვენ კი ასეული ათასი წერაკითხვის სრულიად უცოდინარი ან ნახევრად მცოდნე მოსახლეობა გვყავს. ამასთან ერთად კანონის ამსრულებელნი და მართლმსაჯულების მუშაკები დღეს უმთავრესად მშრომელი მასის წრეებიდან გამოსულ ელემენტებისაგან შესდგება.

სად შეუძლია მუშა ან გლეხ მოსამართლეს, მუშა ან გლეხ მილიციის მუშაკს გაერკვეს რიცხვობრივად ისედაც გართულებულ კანონმდებლობის ლაბირინტებში, თუ ამას კიდევ თან დაერთო კანონის ენის სიმძიმე და უსიცოცხლობა.

იტყვიან, რომ ეს აუცილებლობითაა გამოწვეული, რომ გრძელი წინადადებები და პერიოდები საჭიროა აზრის სისწორით გამოსახატავათ და ყოველგვარ გაუგებრობის გასაფანტავად, რაც ასე აუცილებელია სწორედ კანონმდებლობაშიო.

არაფერი ამის მზგავსი. გამოცდილებით ვიცით, რომ მარტივი და „ადამიანური" ენით დაწერილი კანონი ყოველთვის ნაკლებ გაუგებრობას იწვევს. გადაშალეთ ცაკის მრავალი დეკრეტები და დადგენილებანი, თქვენ დარწმუნდებით, რომ აზრის სისწორით გამოხატვა პირდაპირ დაკავშირებულია ენის სიმარტივესთან.

რატომ ხდება, რომ ჩვენი კანონმდებლობის ენა, ზოგჯერ ასე საგრძნობლად წაიბორძიკებს? რატომაა, რომ ინსტრუქციადადგენილებანი და ხანდისხან უფრო მეტი მნიშვნელობის ოფიციალი დოკუმენტებიც კი ფართე მასისათვის მიუწვდომელ ენით იწერება?

ამაში მთავარი დანაშაული მიუძღვის ტრადიციას. აქ, სხვათა შორის, თავს იჩენს მეფის რუსეთის მემკვიდრეობითი ტკივილები საბჭოთა სახელმწიფო აპარატში. ეს არის, ბიუროკრატიზმის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი.

ამას გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კანონის შემდგენთა პირად შერჩევას. აქ ყველაფერი რიგზე არაა. განსაკუთრებით ითქმის ეს ჩვენს პირობებში, სადაც ხშირად ოფიციალ დოკუმენტებს ადგენენ არა მარტო ძველი ჩინოვნიკები, არამედ, რაც უმთავრესია, ქართული ენის არ მცოდნე პირები.

ამგვარ მდგომარეობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. რაც უნდა ღარიბი არ ვიყოთ ჩვენ ახალ ფორმაციის მოხელეებით, რაც უნდა ცოტა არ იყვეს ჩვენში ქართული ენის მცოდნე ძალები, ოფიციალურ დადგენილება - ინსტრუქციების შედგენის დროს უნდა გავიჭიროთ და შევეცადოთ, რომ, რაც იწერება ყველაფერი გასაგები იყვეს ფართე მასისათვის. ამის შესაძლებლობა უთუოდ არის. საჭიროა მხოლოდ თავის შეწუხება და დაუზარებლობა. მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს კანონი გასაგები უნდა იყვეს მუშურ-გლეხურ მასებისათვის.

მ. ლ—ძე.

◆

მშრომელთა ყრილობის წინ გერმანიაში

(წერილი ბერლინიდან)

საყოველთაო კენჭის ყრამ ყოფილ სამეფო გვარეულობის ქონებათა ჩამორთმევის შესახებ მრავალი მილიონი მშრომელი გააერთიანა, რითაც გაძლიერდა გაბატონებული კლასების წინააღმდეგ მებრძოლთა ფრონტი. აუცილებელი გახდა ამ ბრძოლის ფრონტის კიდევ უფრო გაფართოება და განმტკიცება. გაითვალისწინა რა ეს გარემოება, კომპარტიამ წამოაყენა მოთხოვნილება მშრომელთა ყრილობის მოწვევის შესახებ. ამ ყრილობამ პირველ რიგში უმუშევართა სამმილიონიანი არმია უნდა გააერთიანოს წარმოებაში მომუშავე პროლეტარიატთან, შემდეგ—შექმნას ყველა მშრომელთა ბრძოლის მთლიანი ფრონტი და შეიმუშაოს ბრძოლის პროგრამა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყრილობამ უნდა შექმნას ისეთი ციხე-სიმაგრე, რომელიც უკუაქცევს კაპიტალის ახალ შემოტევას, იმ კაპიტალის, რომელიც „რაციონალიზაციის" პირბადეს იფარავს.

გერმანიის ბურჟუაზიას მშრომელთა ყრილობის შავს ჭირზე უფრო ეშინია. ბურჟუაზიული პრესა სოციალ-დემოკრატიულ პრესასთან ერთად სცდილობს, რომ ნამდვილი „პოგრომული" განწყობილება შექმნას ყრილობის წინააღმდეგ. ჯერ მხოლოდ მზადება სწარმოებს ყრილობისათვის და უკვე იმუქრებიან მისი აკრძალვით. „საზოგადოებრივ უშიშროების საიმპერიო კომისარმა" კოუნცრემა, რომელმაც რთული აპარატი შექმნა კომპარტიისა და მისი თანამებრძოლი ორგანიზაციების დევნისა და დაზვერვისთვის, ბერლინის გაზეთის თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„უეჭველია, კომპარტიის ლოზუნგი უფრო რადიკალური გახდა უკანასკნელ ხანებში. ალბად კომუნისტურ წრეებში იმედი აქვთ, რომ ეკონომიური კრიზისით გამოწვეული მშრომელთა ფართო მასების უკმაყოფილებას პარტიული მიზნებისათვის გამოიყენებენ. კომპარტიის ცეკა იმედოვნებს, რომ წარმატებით ჩატარდება გერმანიის მშრომელთა ყრილობა, რომლისთვისაც იგი ენერგიულ კამპანიას აწარმოებს ამჟამად. ჯერ კიდევ საეჭვოა, შესდგება თუ არა ყრილობა საზოგადოდ. ყოველ შემთხვევაში პოლიციას საკმაო ძალები ჰყავს, რომ ბრძოლა აწარმოოს ისეთი გამოსვლების წინააღმდეგ, რომლებსაც მიზნად აქვთ მოსახლეობის წასისიანება".

მაგრამ სოციალ - დემოკრატიულ ცენტრალურ ორგანო „ფორვერტსისათვის" საკმაო არაა პოლიციელ კოუნცრის ეს უხეში ყვირილი მშრომელთა ყრილობის მიმართ. მიუხედავად ამ ყვირილისა, მან შესაძლოდ სცნო ცინიკურად დაეცინა ყრილობისათვის და გერმანიის პროლეტარიატის ტრაგიკული მდგომარეობისათვის:

„რა უნდა ესთქვათ ასეთ თავხედობაზე? განა ისტორიამ იცის ასეთი გაუგონარი უტიფრობა? ირგვლივ გაბატონებულია თეთრი ტერორი, გერმანიის კომპარტია კი ზეიმით იწვევს ყრილობას.

თუ გსურთ სამუშაო მისცეთ უმუშევრებს, ამოირჩიეთ დელეგატები.

გსურთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა—აირჩიეთ დელეგატები.

გსურთ სამუშაო ხელფასის წინააღმდეგ შეტევის შეჩერება—აირჩიეთ დელეგატები.

გსურთ თეთრი ტერორის მოსპობა—აირჩიეთ დელეგტები.

გსურთ აიშოროთ სისხლიანი განაჩენები—აირჩიეთ დელეგატები".

რასაკვირველია, კოუნცრისა და „ფორვერტსის" მოძახილს ბანს აძლევენ პროფკავშირული ბიუროკრატები. მათ მოწოდებით მიმართეს პროფკავშირების, ფაბქარკომების წევრებს და საზოგადოდ ყველა მუშებს, რომ მონაწილეობა არ მიიღონ კომუნისტურ კონფერენციებში და ამ კონფერენციებს „გამთიშავს" უწოდებენ.

მაგრამ პროფკავშირების და სოციალდემოკრატების ბელადთა ეს გამოსვლები მშრომელთა ყრილობის წინააღმდეგ სრულიად არ აფრთხობს კომუნისტებს. რევიზიონისტები წელს არა ერთხელ გამხდარან იძულებული, რომ მასების ზეგავლენით, შეერთებოდნენ იმ კამპანიებს, რომლებსაც კომპარტია ხელმძღვანელობდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქამდე მიგვიყვანს მშრომელთა ყრილობის მოწვევის კამპანიაც, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო.

მშრომელთა ყრილობა, ალბად ნოემბერში შესდგება. ფაბრიკების მთელმა რიგმა, ადგილობრივმა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, ფაბქარკომების კრებებმა, უმუშევართა ყრილობებმა, მუშათა სასპორტო და კულტურულმა ორგანიზაციებმა უკვე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ, რომ თავისუფალმა პროფკავშირებმა ოფიციალური მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა ყრილობაზე.

საქსონიის, ჰესენის და რეინის ოლქის უმუშევართა ყრილობებმა, სადაც მონაწილეობა მიიღეს კომპარტიამ, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ქრისტიანულმა პროფკავშირებმა, და აგრეთვე უმუშევრებმა, მოწოდებით მიმართეს ყველა უმუშევრებს, მომუშავე მუშებს, პროფკავშირებსა და მუშათა სხვა ორგანიზაციებს, რომ მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა ყრილობაზე.

ბერლინში აგვისტოში შესდგა ფაბქარკომების კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო 700-მდე დელეგატმა. ამ კონფერენციამ მოწოდებით მიმართა ბერლინის პროლეტარიატს, რომ მონაწილეობა მიიღოს მასიურ დემონსტრაციაში, რომელიც გაიმართება 6 სექტემბერს ლოზუნგით: „გაუმარჯოს მშრომელთა ყრილობას". ამავე კონფერენციამ დაადგინა მოიწვიოს 26 სექტემბერს უმუშევართა და წარმოების მუშათა გაერთიანებული კონფერენცია.

შუა გერმანიაში ვეისენფელზის ფაბქარკომებმა მოითხოვეს, რომ სრულიად გერმანიის მშრომელთა ყრილობის შემზადებისათვის მოწვეულ იქნას შუა გერმანიის მშრომელთა კონფერენცია. ამ მოთხოვნილებას მხარი დაუჭირა მანსფელდის სააქციო საზოგადოების ქარხნის ფაბქარკომმა, სადაც 20.000 კაცამდე მუშაობს. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ეს ფაბქარკომი შესდგება 18 სოც.-დემოკრატისა, 7 კომუნისტისა, 2 ქრისტიანული პროფკავშირის წევრისა და 5 უპარტიოსაგან. „ლეინ ვერკის" წარმოებათა (სადაც მუშაობს 17.000 მუშა), თავისუფალ პროფკავშირების თანამდებობის პირებიც მიესალმენ ამ მოთხოვნილებას და სპეციალური მოწოდებით მიმართეს შუა გერმანიის მუშებს: მოწოდება შეიცავს შემდეგ ლოზუნგებს:

„ბრძოლა სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის. ბრძოლა სამუშაო დღის შემცირებისათვის: 8 საათის სამუშაო დღის აღდგენა, 7 საათის სამუშაო დღე ჯანმრთელობისათვის მავნე დარგებში და უმუშევართა ჩაბმა მრეწველობაში.

პროფკავშირებისა და ფაბქარკომების კონტროლის დაწესება წარმოებაზე კაპიტალისტური ძარცვა - ყვლეფის აღკვეთის მიზნით.

მონოპოლიურ სამეურნეო საზოგადოებათა სოციალიზაცია მონოპოლიურ ფინანსიურ კაპიტალის მოსპობის მიზნით.

ბრძოლა მშრომელთა ხელისუფლებისათვის ქალაქად და სოფლად, მუშურ-გლეხური მთავრობისათვის, რომელსაც ერთად-ერთს შეუძლია მშრომელთა ინტერესების დაცვა.

ბრძოლა სოციალისტური აღმშენებლობისათვის და კაპიტალისტური ძარცვა-ყვლეფის წინააღმდეგ".

მშრომელთა ყრილობის მოწვევას ხმა მისცეს აგრეთვე გერმანიის სხვადასხვა კუთხეების რეფორმისტული პროფკავშირების მთელმა რიგმა, მომხმარებელთა კოოპერატივებმა და შემნახველმა სალაროების მუშებმა, მრავალმა სასპორტო და კულტურულმა ორგანიზაციამ; მთლიანობის კომიტეტმა: ორგანიზაციებმა, რომელნიც კუჩინსკის კომიტეტს ემხრობიან (წვრილ - ბურჟუაზიული ელემენტების გაერთიანება), წვრილ გლეხობის საიმპერიო კავშირმა და მრავალმა ორგანიზაციამ.

ასე ირაზმებიან ერთ მთლიან მებრძოლ ძალად გერმანიის მშრომელი მასები „მშრომელთა ყრილობის" ლოზუნგის ირგვლივ და ბურჟუაზიისა და სოციალდემოკრატების ვერავითარი ინტრიგა ხელს ვერ შეუშლის მათ.

ვ. ლ.

ბერლინი 7 სექტემბერი.

მოლაპარაკება ოსმალეთის მიღების შესახებ ერთა ლიგაში

შეერთებულმა შტატებმა ხანკოუში ნალმოსნები გაგზავნეს

რომში ხელი მოაწერეს რუმინეთ-იტალიის სამეგობრო ხელშეკრულებას

ჟენევაში ადგილი ჰქონდა პოლონეთის, ესტონეთის, ლატვიის, რუმინეთის და ფინეთის საიდუმლო კონფერენციას

ოსმალეთი და ერთა ლიგა

ლონდონი, 16 სექტემბერი. იხილავს რა ოსმალეთის შუამდგომლობას ერთა ლიგაში მიღების შესახებ, „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი, გამოსთქვამს **აზრს ოსმალეთის ერთა ლიგაში მიღების წინააღმდეგ.**

ანგორა, 16 სექტემბერი. ანატოლიის სააგენტო იუწყება ჟენევიდან, რომ 15 სექტემბერს გუსეინ-რაგიბს მთელი საათი ჰქონდა საუბარი ჩემბერლენთან. ფიქრობენ, რომ **საუბარი ეხებოდა ერთა ლიგაში ოსმალეთის შესვლას.**

ანგორა, 16 სექტებერი. უკეთებს რა კომენტარიებს ოსმალეთის წარმომადგენლის მოლაპარაკებას დე-ჟუვენელთან და ბრიანთან, გაზეთი **„ენი სესი"** ლაპარაკობს, რომ ეს მოლაპარაკება მოწმობს იმას, რომ **ერთა ლიგის საბჭოს ზოგიერთ წევრებს სურს დაინახოს ოსმალეთი ერთა ლიგის წევრთა რიცხვში.** გაზეთის აზრით, ეს ოსმალეთის მხრით უპასუხოდ არ უნდა იქნეს დატოვებული.

„ეხო დე პარის" ჟენეველი კორესპონდენტი მოწინავე წერილში, რომელიც ერთა ლიგას ეხება, სწერს: **არავის არ სჯერა, რომ ერთა ლიგა უზრუნველყოფს საერთო მშვიდობიანობას. იმის მაგივრად, რომ ერთა ლიგა გახდეს საერთაშორისო პარლამენტად, ის გადაიქცა დიდი სახელმწიფოების დირექტორიად.** კორესპონდენტი აღნიშნავს საფრანგეთის პოზიციის რადიკალურ ცვლილებას, რომელსაც სურს ეხლა გერმანიის მხრით დახმარება. შემდეგ კორესპონდენტი სწერს: ოსმალეთი, რომელიც აერთიანებს დასავლეთ ქვეყნებს მუსულმანურ ქვეყნებთან. ჯერ კიდევ ერთა ლიგის წევრი არ არის. ერთა ლიგის წრეებში ბევრს ლაპარაკობდენ გუნირ ბეის ჟენევაში ყოფნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი მიმართავს თხოვნით ერთა ლიგას, საფრანგეთი მას მხარს დაუჭერს.

◆

ბრძოლა ჩინეთში

საფრანგეთის პოზიცია

პარიზი, 16 სექტემბ. იმ ხმების გამო, რომელიც ვრცელდება ინგლის, იაპონიის და შეერთებული. შტატების განზრახული შეთანხმების შესახებ შეერთებული ინტერვენციის მოსახდენად ჩინეთში, **საფრანგეთის პრესა წინანდებურად იმ აზრის არის, რომ საფრანგეთმა არ მიიღოს მონაწილეობა ამ ინტერვენციაში.**

ინგლისის დესანტი

პეკინი, 16 სექტემბერი. კანტონიდან მიღებული იაპონიის ცნობების მიხედვით, **ინგლისის საზღვაო დესანტი, რომელიც კანტონის მახლობლად იყო გადმოსხმული, დააბრუნეს ისევ სამხედრო გემებზე.**

გომინდანში

კანტონი, 16 სექტემბერი. 1 ოქტომბრისათვის მოსაწვევ გომინდანის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები სდგას: **კანტონის მთავრობის რეზიდენციის უხანის რაიონში გადატანა** (ხანკოუს, ხანიანის და უჩანის საერთო სახელწოდება). **ცალკე პროვინციების მთავრობების მოწყობა, პარტიული მუშაობა განთავისუფლებულ ოლქებში, მოთხოვნილება ვან-ჩინ-ვეის გომინდანის აღმასკომის თავმჯდომარეთ დაბრუნების შესახებ, პროპაგანდის მოწყობა და ეროვნული კრების მოწვევა და აგრეთვე უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმება და სააგიტაციო მუშაობა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.**

ქალ. ბაოტუს აღება

პეკინი, 16 სექტემბერი. შან-სის პროვინციის გუბერნატორი, იენ-ში-სანი, რომელიც ჩან-ძო-ლინის მომხრეა, იუწყება, რომ მისმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბაოტუ 600 კილომეტრის დაშორებით კალგანის დასავლეთით. ტყვედ წაყვანილია სახალხო არმიის 25.000 ჯარის კაცი.

ამერიკის ძალები

ლონდონი, 17 სექტემბერი. შანხაიდან მიღებულ ცნობებით, **ხანკოუსაკენ წავიდა ორი ამერიკული ნალმოსანი.**

ამერიკის საზღვაო ძალა მდ. იან-ცზენზე ამჟამად შესდგება 6 ნალმოსანისა და 2 კანონერკისაგან.

ამერიკელების ინფორმაცია

ვაშინგტონი, 16 სექტემბერი. გამოქვეყნებულია ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობები, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ 9 და 13 სექტემბერს კანტონის არმიამ უჩაზე მიიტანა ორი გააფთრებული იერიში, რომელთაგან თვითეული გრძელდებოდა თითო-თითო საათს. იერიშებს წინ უძღოდა ჰაეროპლანებიდან ყუმბარების დაშენა ქალაქზე, რომლითაც დაზიანებულია კერძო მოქალაქეთა ქონების ნაწილი.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ კანტონის **ჯარები 13 დღეა, რაც სცდილობენ ჩუჩანის აღებას, რომელსაც უშენენ ზარბაზნებს და ტყვიისმფრქვეველებს.** ხანკოუდან მიღებული ცნობებით, მდგომარეობა იქ თანდათან უმჯობესდება.

◆

დიქტატორის წინააღმდეგ

ლონდონი, 16 სექტემბერი. **„ჟურნალის"** მიერ მადრიდიდან მიღებული ცნობებით, ხართა შებმის 12 ათასმა მაყურებელმა გრანდიოზული ოვაციები გაუმართა **სანჩეზ ბუერრას.** ეს შემთხვევა დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს.

კონსერვატიულმა ლიდერებმა გადასწყვიტეს დამფუძნებელი კრების მოწვევის პროექტით გამოსვლა.

შენიშვნა: სანჩეზ ბუერა—კონსერვატორების მემარცხენე ფრთის ბელადია, მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე. მტრულად არის განწყობილი პრიმა-დე-რივერას დირექტორიისადმი.

◆

ერთა ლიგის სესიაზე

შტრეზემანის განცხადება

ბერლინი, 17 სექტემბერი. გერმანიის პრესის მიერ ჟენევაში გამართულ ბანკეტზე გამოვიდა **შტრეზემანი,** რომელმაც სთქვა, რომ მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს გერმანიაში დღემდე ვერ გაუგიათ ის, რომ ახალი ეპოქა მოითხოვს ახალ მეთოდებს. მან განაცხადა, რომ საერთო რწმენა გერმანიისადმი გაიზარდა იმდენად, რომ ამჟამად ბელგიის მოღვაწეები აწარმოებენ მოლაპარაკებეს გერმანიასთან პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხებზე.

დასასრულ შტრეზემანმა სთქვა, რომ რეინლანდის ოკუპაცია არანორმალობას წარმოადგენს ერთა ლიგაში მის მიღებასთან დაკავშირებით, რაც აუცილებლივ უნდა აღიკვეთოს.

ახალი სალარო

ბერლინი, 17 სექტემბერი. ერთა **ლიგის საბჭომ დაადგინა მომავალ წელს მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც განიხილავს წყალდიდობისა და მიწისძვრისაგან დაზარალებულ სახელმწიფოებისათვის დამხმარე ფონდის შექმნის საკითხს.**

ბრიან-შტრეზემანი

ლონდონი, 17 სექტემბერი. ჟენევიდან მიღებული ცნობებით, **ბრიანი და შტრეზემანი დღეს ითათბირებენ საფრანგეთ-გერმანიის საკითხებზე.** ფიქრობენ ეს მოლაპარაკება გადატანილი იქნება პარიზში.

ლოკარნოს მსგავსად

ლონდონი, 17 სექტემბერი. სამხრეთ-სლავია და ავსტრია აწარმოებენ მოლაპარაკებას სამეგობრო ხელშეკრულებისა და ლოკარნოს მსგავსად საარბიტრაჟო კონვენციის დადების გარშემო.

საბჭოთა პრესა

სოციალისტური მეურნეობის ზრდა

საკავშირო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრები 1926—27 წლისათვის, რომელიც ამას წინად საკავშირო მთავრობამ განიხილა, ერთხელ კიდევ მოწმობს სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას საერთოდ და მის სოციალისტურ ელემენტების ზრდას კერძოდ. ამასთან, ეს საკონტროლო ციფრები გვიჩვენებენ, რომ გეგმიანობის პრინციპი თანდათან უფრო ეუფლება მთელ სახალხო მეურნეობას, რაც უზრუნველყოფს მის ყველა ელემენტების შეგნებულ მოწესრიგებას. ამავე დროს, ეხლანდელი საკონტროლო ციფრები ნათელს ჰყოფენ, თუ რამდენად გაუმჯობესდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ - სამეურნეო აპარატი წინა წელთან შედარებით, როცა პირველად შედგენილ საკონტროლო ციფრებს მრავალი ნაკლი და შეცდომა ახლდა თან.

ამხ. რ. მექლაუკი გაზ. „პრავდა"-ში, ეხება რა 1926—27 წ. საკონტროლო ციფრებს, აღნიშნავს ყველა ამას და წერს:

„მიუხედავად ყველა სიძნელეებისა, რომელნიც აღმართული იყვენ ჩვენი განვითარების გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვიხდებოდა აღმშენებლობის წარმოება სრულიად დამოუკიდებლად და არამც თუ არ გვეხმარებოდა კაპიტალისტური მსოფლიო, არამედ ის ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა,—ჩვენ შევძელით ჩვენი მეურნეობის განვითარება ისეთი ტემპით, რომლის მსგავს რამეს ვერ ნახავთ ვერც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის სახალხო ღოვლათი სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში გაიზარდა 65 პროცენტით და 1926—27 წ. კიდევ გაიზრდება 8 პროც. მაშინ, როცა მეფის რუსეთში ყველაზე უფრო ხელსაყრელ წლებში ყოველწლიური მატება 3 პროც. არ აღემატებოდა. ამასთან განუწყვეტლივ იზრდება სახალხო სიმდიდრის ის წილი, რომელიც პროლეტარულსა და განზოგადოებულ მეურნეობაზე (სახელმწიფოებრივ, კომუნალურ და კოოპერატიულ წარმოებებზე) მოდის: 27,2 პროცენტიდან ის გაიზარდა 36,2 პროც. და მომავალ წელში მიაღწევს 37,6 პროც.

სახალხო მეურნეობის საერთო ზრდასთან ერთად იზრდება სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ წარმოებათა მნიშვნელობაც. მრეწველობაში, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს, მხოლოდ 2,2 პროც. მოდის კერძო კაპიტალის წილზე; მოხმარების საგნების წარმოებაში ეს წილი თანდათან ეცემა და 8,8 პროც. 1923—24 წ. დავა 6,4 პროც. 1926—27 წ.

საგეგმო კომისიის ციფრები ამავე დროს გვიჩვენებენ, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო ოპოზიციის მოთქმა და განგაში (პარტიის ყრილობაზე და ცეკას უკანასკნელ პლენუმზე) კერძო კაპიტალის საშიშროების შესახებ ვაჭრობაში. სახელმწიფოებრივი და კოოპერატიული სავაჭრო ქსელი სამი წლის განმავლობაში გადიდდა 59, 2 პროც. 76,3 პროცენტამდე. მაშინ როცა კერძო ვაჭრების მონაწილეობა დაეცა 40,8 პროც. 23,7 პროცენტამდე. საგეგმო კომისიის დასაბუთებულ მოსაზრებათა მიხედვით, 1926—27 წ. კერძო კაპიტალის ეს წილი დაიკლებს 21,5 პროცენტამდე კოოპერატიულ ვაჭრობის გაზრდის ხარჯზე".

სოციალისტური ელემენტების ზრდა სახალხო მეურნეობაში და კერძო კაპიტალის ხვედრითი წონის შემცირება აშკარაა. მიღწეული შედეგები მკვიდრ ნიადაგს ქმნიან სოციალისტური მშენებლობის უფრო მეტი გამარჯვებისათვის. გეგმიანი მუშაობით, სამეურნეო აპარატის რაციონალიზაციით, უკიდურესი მომჭირნეობის დაცვით. ეს შედეგები უნდა განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ.

რუმინეთის შეიარაღება

ვენა, 16 სექტემბერი. რუმინეთის გაზეთების ცნობით, მთავრობამ დაადგინა **შეუკვეთოს იტალიას რუმინეთის სამხედრო გემების აშენება.** ეს დაკვეთები ეღირება 1.200.000.000 ლეი. (ლეი უდრის კაპიკის 0,9-ს).

„კუვანტული" გადმოგვცემს, რომ **იტალიას, ამას გარდა, კიდევ დაუკვეთენ 3.000 ტყვიისმფრქვევლს, ძველი სისტემის 50 ზარბაზანს და 10 მილიონ ვაზნებს, სულ 400 მილიონ ლეის საერთო ღირებულების.** გაზეთი აღნიშნავს, რომ იტალია ამ დაკვეთას გაანაღდებს ავსტრო-უნგრეთთან ომის დროს მის მიერ ხელში ჩაგდებულ, უკვე ხმარებაში მყოფ ზარბაზნებითა და ტყვიისმფრქვეველებით. ამ დაკვეთების გამო ოპოზიციამ დაიწყო გააფთრებული კამპანია მთავრობის წინააღმდეგ.

◆

საიდუმლო კონფერენცია

ვარშავა, 16 სექტემბერი. პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტო უარყოფს იმ ცნობებს, რომ თითქოს ჟენევაში შესდგა ლატვიის, ესტონეთის და ფინეთის საიდუმლო კონფერენცია.

შენიშვნა: თავის დროზე უარჰყოფდენ ცნობებს 1925 წლის დეკემბერში მომხდარ თათბირების შესახებ პოლონეთის გენერალურ შტაბის წარმომადგენლებსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის. მაგრამ ეს ცნობები შემდეგში სავსებით დამტკიცდა.

ჰელსინგფორსი, 17 სექტემბერი. „მუშათა ორგანიზაციების უწყებები" განიხილავს რა ფინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობის უარყოფას იმის შესახებ, რომ ჟენევაში შესდგა პოლონეთის, ლატვიის, ესტონეთის, რუმინიის და ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრების საიდუმლო კონფერენცია, ხაზს უსვამს, რომ **ბალტიის გაზეთებმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინედ გამოაქვეყნეს ცნობა ასეთი კონფერენციის ჟენევაში მოწვევის შესახებ.**

◆

მუსოლინი-ავერესკუ

ბანკეტები

რომი, 16 სექტემბერი. სტეფანის სააგენტოს ცნობით, მუსოლინიმ და ავერესკუმ დღეს ხელი მოაწერეს იტალია-რუმინიის ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. შემდეგ ავერესკუს პატივსაცემად გაიმართა საუზმე. საღამოთი რუმინიის საელჩოში შესდგა ბანკეტი, რომელიც ავერესკუმ გამართა მუსოლინის პატივსაცემად.

ავერესკუ რომში

რომი, 16 სექტემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ რომში ჩამოვიდა რუმინიის პრემიერი **ავერესკუ.** მან ინახულა მუსოლინი; მოწესრიგებულია ყველა ის საკითხები, რომლებიც წამოიჭრენ იტალია-რუმინიის ხელშეკრულების დადების გამო.

ხელშეკრულების დადება

ლონდონი, 16 სექტემბერი. რომიდან მიღებული ცნობებით, **გენერალ ავერესკუმ და მუსოლინიმ დღეს ხელი მოაწერეს იტალია-რუმინეთის საზავრო და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.**

◆

კანადის ურთიერთობა ინგლისთან

ლონდონი, 16 სექტემბ. იხილავენ რა კანადის არჩევნების შედეგებს, კონსერვატიული გაზეთები აღნიშნავენ, **რომ კანადასა და ინგლის შორის დამოკიდებულება სერიოზული საფრთხის ქვეშ სდგას, შეერთებული შტატების ეკონომიური და ფინანსიური გავლენა კანადაში ძლიერდება.**

◆

არეულობა პალესტინაში

ანგორა, 16 სექტემბ. **ებრაელთა ახალწლის დღესასწაულობის დროს იერუსალიმში მოხდა შეტაკება ებრაელებსა და არაბებს შორის.** შეტაკების დროს სამი კაცი მოკვდა—ოთხი დაიჭრა. პოლიციამ ძლივს - ძლივობით აღადგინა წესიერება.

◆

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ურთიერთობა ფინეთთან

ჰელსინგფორსი, 16 სექტემბ. სოციალისტურ ფრაქციის თავმჯდომარე **როზენბერგი** გამოვიდა სეიმში ფინეთის საგარეო პოლიტიკის კრიტიკით; ის შეჩერდა საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის საგარანტიო ხელშეკრულების მოლაპარაკებაზე, და სთქვა: **ფინეთის მთავრობა მოქმედობს ამ საკითხში ინგლისის გავლენით. ფინეთის მთავრობის ტაქტიკა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაში გულწრფელი არ არის.** მას სურს დაფაროს თავისი თვალთმაქცობა და საქმე წარმოგვიდგინოს ისე, რომ მოლაპარაკების ჩაშლაში პასუხისმგებლად გახდეს საბჭოთა კავშირი. როზენბერგი მოითხოვს, რომ ფინეთის მთავრობამ უარყო ყველა ის „საბაბი", რაც ხელს შეუშლის საგარანტიო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან.

დამოკიდებულება ამერიკასთან

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. გამოქვეყნებულია დღის წესრიგი მეფაბრიკეთა და მექარხნეთა ნაციონალური ასოციაციის კონფერენციისა, რომელიც უნდა შესდგეს 6 ოქტომბერს ნიუ-იორკში: **დღის წესრიგში სდგას საკითხი საბჭოთა ბაზრის შესახებ.** კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირიდან ახლად დაბრუნებული ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

◆

დაუესის გეგმა

ბერლინი, 15 სექტემბ. ვოლფის სააგენტო იუწყება: გერმანიის საბითუმო ვაჭრობის ცენტრალური კავშირის სხდომაზე დიუსელდორფში, სახალხო მეურნეობის მინისტრმა **კურციუსმა** დაუესის გეგმის შესახებ განაცხადა, რომ **სულ რამდენიმე დღის წინ გერმანიამ შეასრულა უკანასკნელი ვალდებულება, რომელიც დაკისრებული იყო მასზე დაუესის გეგმის ძალით.** ეს წელიწადი დაუესის გეგმის ავტორთა აზრით, უნდა იყოს შესვენების წელიწადი, მაგრამ სინამდვილეში მისი გამოყენება მოხდა საშინელი კრიზისის დროს.

მე დაუესის გეგმის წინააღმდეგ **არაფერი მაქვს,** მაგრამ გამოვსთქვამ სურვილს რომ გერმანიის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელმა წრეებმა მიიღონ მომავალში მონაწილეობა დაუესის გეგმის შედეგების შესწავლაში—შესძლებს თუ არა გერმანია მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებას.

◆

საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულება

პარიზი, 16 სექტემბერი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა, ემყარება რა შტრეზემანის განცხადებას იმის შესახებ, რომ ლოკარნოს ხელშეკრულებას ბუნებრივ შედეგათ უნდა მოჰყვეს გერმანიისათვის კოლონიების დაბრუნება,—რეინის ოლქის ოკუპაციის შეწყვეტა და რომ გერმანიამ, რომელმაც 1918 წელში დაკარგა ლოტარინგია, ეხლა დაიბრუნა (აქ მხედველობაში მიღებული შეთანხმება კონტინენტალური ფოლადის ტრესტის შექმნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ლოტარინგიის რკინის მადნების გერმანიის ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნებისათვის გადაცემას), ამტკიცებს, რომ **გერმანიამ დაიწყო დიდი სახელმწიფოს პოლიტიკის წარმოება.**

მილიერანის ორგანო **„ავენირი"** (ფაშისტური ელფერით) აღშფოთებულია იმით, რომ **პუანკარემ მისცა ბრიანს მოქმედების სრული თავისუფლება.** გაზეთი სწერს: **„ბრიანი, რომელიც შეპყრობილია პაციფისტური სულისკვეთებით, უკანტროლოდ და ალვირ-ახსნილად განაგებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს;** ის ივიწყებს, რომ გერმანია პატივსა სცემს მხოლოდ ძლიერს. ბრიანი ყოველგვარ მსხვერპლს იღებს გერმანიის გულისათვის—ოღონდ ის გახდეს საფრანგეთის მოკავშირე. საფრანგეთმა დაკარგა ყველა თავისი მოკავშირეები".

◆

ინგლისის მუშების ბრძოლა

იმედი აქვთ

ლონდონი, 17 სექტემბერი. დღეს დილით ბოლდუინი ეთათბირა საქვანახშირო ასოციაციის წარმომადგენელს—**ევანს უილიამსს.** თათბირი გაგრძელდა ერთ საათს.

ამის შემდეგ პრემიერმა მიიღო მემაღაროეთა ოთხი ლიდერი—**ჰერბერტ სმიტი, კუკი, რიჩარდსონი და რიჩარდსი.**

როგორც ფიქრობენ, **ბოლდუინის დღევანდელ თათბირს მაღაროს მეპატრონეთა და მემაღაროეთა წარმომადგენელებთან მიზნად ჰქონდა კომპრომისის მიღწევა საქვანახშირო მრეწველობაში კონფლიქტის მოგვარების საქმეში.**

მთავრობას იმედი აქვს, რომ მაღაროს მეპატრონეებს დაითანხმებს.

მაღაროებში

ლონდონი, 17 სექტემბერი. მაღაროს მეპატრონეთა განცხადებით, მომუშავე მემაღაროეების რიცხვი თანდათან იზრდება. მთელ ქვეყანაში, მაღაროს მცველთა ჩათვლით, ამჟამად მუშაობს 150.000 მემაღაროე. მაღაროებიდან ნახშირის ამოღება კვირაში აღის 500.000 ტონამდე წინააღმდეგ შარშანდელ 4 მილიონი ტონისა იმავე პერიოდის განმავლობაში.

პოლიცია „სადარაჯოზე"

ლონდონი, 17 სექტემბერი. საქვანახშირო რაიონებში მემაღაროეთა გაფიცვის შესახებ გავრცელებულ ფურცლებთან დაკავშირებით, **გაჩხრიკეს კომკავშირის ბინა.**

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

ერთა ლიგის სესიაზე

ერთა ლიგის საბჭოში რუმინეთმა და პოლონეთმა მიიღეს დროებითი ადგილები. (დეპეშებიდან)



უკანასკნელი ცნობები

ჩან-ძო-ლინს „სერიოზული დახმარება“ სჭირდება

ლონდონი, 17 სექტემბერი. „დეილი ექსპრესის“ პეკინელ კორესპონდენტთან საუბარის დროს, ჩან-ძო-ლინის ინგლისის მრჩეველმა გენერალმა ხეტტონმა განაცხადა: „ჩან-ძო-ლინს სერიოზული დახმარება სჭირდება, რათა კანტონელებს არ მისცეს ჩინეთის დანგრევის შესაძლებლობა“.

თათბირი ბალდუინთან

ლონდონი, 17 სექტემბერი. დღეს დილით ბალდუინმა მიიღო მაღაროებს მეპატრონეთა კავშირის თავმჯდომარე ვილიამსი, მისი წასვლის შემდეგ კი—მემაღაროეთა კავშირის წარმომადგენლები სმიტი, კუკი, რიჩარდსონი და რიჩარდსი.

პოლიტიკურ ტუსაღების გაცვლა

მოსკოვი, 17 სექტემბერი. საბჭოთა კავშირსა და გერმანიის შორის ა.-წ. 24 აპრილს დადებულ სამეგობრო ხელშეკრულების ძალაში შესვლის აღსანიშნავად გერმანიის მთავრობამ გაანთავისუფლა ამხ. ამხ. სკობლევსკი, ოზოლი და ლისინი. საბ. კავშირის მთავრობამ კინდერმანი, ვოლშტი, ეკე, კორლეინჩენი, მუცლდენი შმიდტი და ფოგელი და აუხო; ერთი თვის განმავლობაში კიდევ გაანთავისუფლებს ლორენცს და შოლცს.

ინგლისის გემები კანტონის წყლებში

ხარბინი, 16 სექტემბერი. იაპონიის სააგენტო კანტონიდან იუწყება, რომ ინგლისის კომერციული გემები, რომლებიც ერთ წელზე მეტია რაც ბოიკოტის გამო არ შესულან ნავთსადგურში, კვლავ გამოჩნდნენ კანტონის წყლებში. გემებს თან ახლავს სამხედრო დამცველი ძალა.

სტარკის გამგზავრება

კაბული, 16 სექტემბერი. დღეს დილის 6 საათზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სტარკი ავღანისტანის აეროპლანით ტაშკენტისაკენ გაფრინდა, საიდანაც მოსკოვისაკენ გაფრინდება.

გემების დაჯახება

ლონდონი, 16 სექტემბერი. კვინსტაუნიდან ორასი მილის დაშორებით ბრიტანეთის გემი „იდუნა“ დაეჯახა იტალიის გემს „ელენას“. გემი „იდუნა“ ჩაიძირა. მგზავრები გადაარჩინეს.

შტრეზემანი და ბრიანი

ბერლინი, 17 სექტემბერი. შტრეზემანი დილით გაემგზავრა ჟენევიდან ბრიანთან შესახვედრად.

საფინანსო კონფერენცია

ბერლინი, 17 სექტემბერი. ამერიკის ელჩი ბერლინში შურმანი შერბურგიდან გაემგზავრა ნიუ-იორკში საფინანსო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად პრეზიდენტ კულიჯთან ერთად. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის და ინგლისის ელჩები ვაშინგტონში.

პოლონეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულება

ბერლინი, 17 სექტემბერი. ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის მეგობრობასა და არბიტრაჟის შესახებ ხელშეკრულების დადების ირგვლივ მოლაპარაკება დამთავრდა.

სპარსეთის სამღვდელოება

თავრიზი, 16 სექტემბერი. სამღვდელოებამ დაიწყო მთავრობის საწინააღმდეგო კამპანია; ის ცდილობს კლერიკალიზმის ბატონობის გაძლიერებას.

იაპონიის ესკადრა

ანგორა, 16 სექტემბერი. იაპონიის ესკადრა გაემგზავრა სტამბოლიდან პირეიში.

რეინჰოლდი პარიზში

ბერლინში, 17 სექტემბერი. გერმანიის ფინანსთა მინისტრი რეინჰოლდი ჩავიდა პარიზში.

გენერალ ვილენტოსის სიკვდილით დასჯა

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. მექსიკაში, სახელმწიფო ღალატისათვის სიკვდილით დასაჯეს გენერალი ვილენტოსი.

ესპანეთის ეროვნული კრება

ბერლინი, 17 სექტემბერი. „მატენ“-ის ცნობით პრიმო-დე-რივერა ამზადებს დეკრეტს, რომლითაც ეროვნული კრება ოქტომბრის ნახევარში იქნება მოწვეული. პოლიტიკური პარტიები წარმოდგენილი არ იქნებიან.

ამუნდსენის დირიჟაბლი

ბერლინი, 17 სექტემბერი. გემი, რომელზედაც ამუნდსენია დირიჟაბლის ჩონჩხით მოთავსებული მოვიდა ალიასკიდან ჩივიტა-ვეკკიაში. დირიჟაბლი აღდგენილი იქნება.

გერმანიის დახმარება საფრანგეთისადმი

პარიზი, 17 სექტემბერი. გერმანულ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ შტრეზემანმა ბრიანს შესთავაზა გერმანიის დახმარება საფრანგეთის ფინანსების აღდგენის საქმეში.

ახალი ანტისაბჭოთა კამპანია

ვენა, 17 სექტემბერი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან ვარშავასა და ბუქარესტს შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ანტისაბჭოთა კამპანიის დასაწყებად ევროპისა და ამერიკის პრესაში. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით ვარშავაში მზადდება საბუთები იმის შესახებ, თითქო საბჭოთა კავშირში პარტიულ ოპოზიციის შეთანხმებით უნდა მოხდეს მთავრობის გადატრიალება.

გერმანიის მდგომარეობა განმტკიცდა

ბერლინი, 17 სექტემბერი. გერმანელ ჟურნალისტების კრებაზე შტრეზემანმა განაცხადა: გერმანიის მდგომარეობა იმდენათ განმტკიცდა, რომ მას შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს ბელგიასთან ტერიტორიალურ საკითხებზე. გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შემდეგ მისი ტერიტორიის ყოველგვარი ოკუპაცია შტრეზემანის აზრით, არა ნორმალურია.

„გარეკეთ წითლები“

ლონდონი, 17 სექტემბერი. ილფორდში შესდგა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა კონსერვატორი ლორდი ლემპსონი. მას თან ახლდა ფაშისტების „საპატიო“ რაზმი. ლემპსონმა მოითხოვა „წითლების გაძევება“ ინგლისიდან. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც „პროტესტს აცხადებს საბჭოთა აგენტების დამღუპველი მუშაობის წინააღმდეგ ინგლისის ტერიტორიაზე“.

ხულიგანის დახვრეტა

ხარკოვი, 17 სექტემბერი. მოყვანილია სისრულეში ხარკოვის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ხულიგან ზაბაჩტოს სიკვდილით დასჯის შესახებ. ხულიგანმა ზაბაჩტომ მოჰკლა მუშა ბელ

ბალდუინის წერილი მემაღაროებისადმი

ლონდონი, 17 სექტემბერი. მაღაროების მეპატრონეების წარმომადგენლებთან თათბირის შემდეგ ბალდუინმა მემაღაროების წარმომადგენლებს გადასცა წერილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მაღაროების მეპატრონეთა ასოციაციამ უარყო ეროვნულ მასშტაბში მოლაპარაკების წარმოება და თუ მემაღაროები ანგარიშს უწევენ სანახშირო მრეწველობის ეკონომიურ მოტივებს და თანახმა არიან განაახლონ მუშაობა სარაიონო წინასწარ შეთანხმების საფუძველზე, ამ შემთხვევისთვის მთავრობა ამზადებს კანონებს, რომლებშიაც გატარებული იქნება სარაიონო შეთანხმების პრინციპები. წერილთან ერთად ბალდუინმა გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნულია მთავრობის მოქმედების გეგმა. ეს მემორანდუმი ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: როცა წინასწარ შეთანხმების შემდეგ მუშაობა განახლდება, მთავრობა პარლამენტში გაიტანს აქტს ნაციონალურ საარბიტრაჟო სასამართლოს დაარსების შესახებ, შემდეგ თვითეულ მხარეს შეუძლია მიმართოს ტრიბუნალს შეთანხმების რომელიმე საკითხის გადასასინჯათ, თუ რომ ეს საკითხი ისეთი ხასიათისაა, რომელსაც სწყვეტდა ეროვნული შეთანხმება 1925 წ.-ის. ტრიბუნალი დაამტკიცებს ან შესცვლის შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებს და ვადებს. ყოველ მუშას, რომელსაც შეეხება ტრიბუნალის გადაწყვეტილება და რომელიც მუშაობს ისეთ მაღაროში, სადაც სამუშაო დღე წინანდელზე დიდია, უფლება აქვს კანონით მიიღოს ხელფასი გადაწყვეტილების თანახმად.

გაფიცვები ამერიკაში

თამბაქოს ქარხანაში

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. მუშათა პრესის ცნობის თანახმად, ამერიკულ თამბაქოს კომპანიის სიგარის ფაბრიკაში სენჟუანში (მთავარი ქალაქი კუნძულ პორტორიკოზე, შეერთებულ შტატების კოლონია) **გაფიცულია 1.800 მუშა**. გაფიცვას ხელმძღვანელობს ფაბკომები.

40.000 მუშის ხმა

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. **ნიუ-იორკის ტანთ-საცმელთა სახელოსნოს 40.000 მუშის გაფიცვის ლიდერებმა უარჰყვეს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის წინადადება კონფლიქტის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის შესახებ.**

შენიშვნა: ტანთ-საცმელთა სახელოსნოს მუშების გაფიცვას ნიუ-იორკში, პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ. გაფიცულები აყენებენ შემდეგ მოთხოვნილებებს: შეზღუდვა იმ შეკვეთების რაოდენობისა, რომელნიც მონარდეებს გადაეცემა (მონარდეებს უწოდებენ იმ მრავალრიცხოვან ხელოსნებს, რომელნიც კავშირში არ შედიან და შეკვეთას მწარმოებლებისაგან ნარდით იღებენ. ეს მონარდენი პატარა სახელოსნოებში მუშაობენ, ზოგი მათგანი თავის სახლშიც მუშაობს). კავშირის მხრივ კონტროლის დაწესება მონარდეთა მუშაობაზე; 40 საათის სამუშაო კვირა; გარანტია მწარმოებელთა მხრივ იმისა, რომ მუშებს წელიწადში 36 კვირის განმავლობაში ექნებათ სამუშაო; ხელფასის 10 პროცენტით მომატება, მწარმოებლები არსებითად წინააღმდეგნი არ არიან ამ მოთხოვნილებათა, მაგრამ სამაგიეროთ მოითხოვენ, რომ კავშირმა მისცეს მათ წინასწარი ნებართვა მუშათა 10 პროცენტის დათხოვნაზე იმ შემთხვევაში, როცა მწარმოებლები ამას აუცილებლად სცნობენ. კავშირი უარს აცხადებს ასეთ ნებართვის მიცემაზე. გაფიცულთა ლიდერები თანახმანი არიან, რომ მოწვეულ იქნას მუშათა და მწარმოებელთა კონფერენცია, მაგრამ წინააღმდეგნი არიან საკითხის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტისა.

შეტაკებები ჯართან

ნიუ-იორკი, 16 სექტემბერი. 3 სექტემბერს კომპრომისულ შეთანხმების ნიადაგზე დასრულდა შტატ როდეილენდში 2.700 ფეიქარის გაფიცვა.

ეს გაფიცვა, რომელიც დაიწყო 18 აგვისტოს და გამოწვეული იყო ადმინისტრაციის უარით შეეცვალა გაუერთიანებელი მუშები პროფკავშირების წევრებით, უაღრესად დამახასიათებელია იმ მეთოდების, რომელსაც მიმართავენ შეერთებულ შტატების კაპიტალისტები მუშებთან ბრძოლის დროს. **გაფიცვის უკანასკნელ მომენტამდე ფაბრიკის მთელი რაიონი წარმოადგენდა სამხედრო ბანაკს: ჯარი ეფარებოდა მსხვილი მავთულით შემოვლებულ ბარიკადებს. ფაბრიკის ახალ ხიდზე და მისავალ ადგილებში დადგმული იყო ტყვიისმფრქვეველები და პროჟექტორები.** ყველა ეს ზომები მიღებული იყო გაფიცულთა დასაშინებლად და შტრეიკბრეხერთა დასაცავად, რომლებიც ფაბრიკაში მიჰყავდათ ჯავშნიანი ავტომობილებით. **ჯარი გამოიძახეს მაშინ, როცა გაფიცულებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება.** შეტაკება მოხდა პოლიციის მიერ დემონსტრაციის გარეკის ნიადაგზე, რომლის დროსაც პოლიციამ იხმარა გაზიანი ყუმბარები. **რამოდენიმე დღით ადრე გაფიცვის დასრულებამდე ჯარმა დაუშინა დემონსტრანტებს, რომელთაგან მძიმედ დაიჭრა 8 მუშა.**

აღსანიშნავია, რომ გაფიცულთა უმრავლესობა ეკუთვნის ამერიკის შრომის ფედერაციაში შემავალ საფეიქრო მუშათა კონსერვატიულ კავშირს.

კომუნისტების დევნა

რიგა, 16 სექტემბერი. ღამით გამოტანილ იქნა განაჩენი 24 კომუნისტის საქმეზე. მათ ბრალი ედებოდათ მეფის სისხლის სამართლის კანონის 101 მუხლის მიხედვით:—არსებული წესწყობილების დამხობის ცდა, ყალბი საბუთებით ცხოვრება და გაზეთის გამოცემა, ვითომც კომინტერნიდან მიღებული ფულით. **ერთ ბრალდებულთაგანს მიუსაჯეს 6 წლის კატორღა, ხუთს—5 წლის, შვიდს—4 წლის, დანარჩენებს უფრო ნაკლები. სამი გაამართლეს.**

მუშათა საკითხი მექსიკაში

მექსიკა, 17 სექტემბერი. მექსიკის დეპუტატთა პალატის მომავალ სესიაზე **განსახილველად შეიტანენ კანონ-პროექტს, რომლის მიხედვით მუშებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ წარმოების მოგებაში, შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე, ფაბრიკის კომიტეტებს** ეძლევათ უფლება მწარმოებელთა საკომერციო ოპერაციების გამოკვლევისა; კანონ-პროექტი შეიცავს დაწვრილებით დამუშავებულ გეგმას ავადმყოფობისა და აგრეთვე უბედურ შემთხვევის დროს მუშებისათვის დახმარების მიცემის შესახებ.

შიმშილობა პოლონეთის ციხეებში

ბრძოლა ამნისტიისათვის

ვარშავა, 16 სექტემბერი. პოლიციამ გაჩხრიკა „ამნისტიისათვის მებრძოლი უპარტიო კომიტეტის“ თავმჯდომარის, დეპუტატი (დამოუკიდებელი გლეხთა პარტია) ბალინის ბინა. კონფისკაცია უყვეს როტატორს და კომიტეტის ყველა გამოცემებს. გარდა ამისა დაბეჭდეს დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის შენობა, საიდანაც წაიღეს „ამნისტიისათვის მებრძოლი კომიტეტის“ მთელი ლეგალური ლიტერატურა.

კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელსაც ყველა პარტიების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი; კომიტეტის განცხადება მოითხოვს ბეჭდის ახსნას დამოუკიდებელ სოციალისტური პარტიის შენობიდან და დაბრუნებას ყველა იმ მასალებისა, რომელიც დეპუტატ ბალინს ჩამოერთვა. განცხადებაში ნათქვამია, რეპრესიები ხელს არ შეუშლიან კომიტეტს, რომ განაგრძოს ბრძოლა ამნისტიისათვის.

ლოძის ციხეში

ვარშავა, 16 სექტემბერი. ლოძის ციხის პოლიტიკურმა პატიმრებმა, რიცხვით 150 კაცმა, გამოაცხადეს შიმშილი; ისინი მოითხოვენ რეჟიმის შემსუბუქებას.

ფეიქრების მოთხოვნილება

ვარშავა, 16 სექტემბერი. ლოძის ფეიქრების მაგალითის მიხედვით, რომელნიც სამუშაო ხელფასის 15 პროცენტით მომატებას მოითხოვენ, ბელოსტოკის ფეიქრებმაც წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნილებანი.

ფემინისტების კონგრესი

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. სანტიაგოში (ჩილი) გაიხსნა ფემინისტების საერთაშორისო კონგრესი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ მხოლოდ ლათინური ამერიკის დელეგატი - ქალები. კონგრესმა მიიღო მონროის დოქტრინის: „ამერიკა ამერიკელებისათვის“ საწინააღმდეგო რეზოლიუცია.

რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ამ დოქტრინის განხორციელებამ გამოიწვია კუნძულ კუბასა, პორტორიკასა და ფილიპინების მიერ თავისუფლების დაკარგვა.

საჰაერო გადაფრენები

რომი-არგენტინა

რომი, 16 სექტემბერი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ მუსოლინიმ უბრძანა გენერალ ნობილეს, რომელმაც ამუნდსენთან ერთად შეასრულა ცნობილი გადაფრენა ჩრდილოეთ პოლიუსზე, დაიწყოს მომზადება რომიდან-ბუენოს-აირესში გადასაფრენად. ეს გადაფრენა უნდა მოხდეს 1928 წლის ბოლოს ისეთ ცეპელინზე, რომლის ტევადობა უნდა უდრიდეს 50.000 კუბ. მეტრს. ცეპელინის აშენება უკვე დაიწყო რომის საავიაციო ქარხანაში.

კაირო-ადენი

ლონდონი, 16 სექტემბერი. გუშინ კაირიდან ადენში გაფრინდა ინგლისის სამხედრო ჰაეროპლანების ესკადრილია, რომელიც ჯარების გადასაყვანად არის მოწყობილი. ყოველ ჰაეროპლანს შეუძლია 25 კაცის აყვანა. ესკადრილია, რომელიც შესდგება ვიკერსის „ვიქტორიას“ ტიპის ჰაეროპლანებისაგან დაფარავს 4.500 მილის მანძილს.

საკოსა და ვანცეტის საქმე

ნიუ-იორკი, 16 სექტემბ. მასა-ჩუზეტის შტატის უმაღლესი სასამართლო შეუდგა იმ საკითხის განხილვას, რომელიც ეხება რევოლიუციონერ საკო და ვანცეტის საქმის გადასინჯვის შესაძლებლობას. დამცველმა წარუდგინა სასამართლოს მთელი რიგი მოწმეების ჩვენება, რომელიც ამტკიცებს, რომ სასამართლოს პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი უკანონო იყო. დამცველის მიერ წარდგენილ საბუთებში აღნიშნულია, რომ ის მკვლელობა, რომელიც საკოსა და ვანცეტის ბრალდება, სინამდვილეში ჩადენილია სხვა პირების მიერ.

მადლობა დახმარებისათვის

მოსკოვი, 17 სექტემბერი. ინგლისის მემაღაროებისადმი მუშა-მოხამსახურებიდან ხელფასიდან ერთ პროცენტიან გადანარიცხის ანგარიშში გაგზავნილ დახმარების საპასუხოდ გუშინ საკავშირო პროფსაბჭომ ტომსკის სახელზე გამოგზავნილი შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „დღეს მივიღეთ კიდევ დახმარება. ვერ ვპოულობთ სიტყვებს იმისთვის, რომ გადაუხადოთ მადლობა რუსეთის მუშებს იმ დიდ სულოვანი დახმარებისათვის, რომელსაც გვიწევენ ჩვენი გაჭირვების დროს. ბრიტანეთის მემაღაროები და მათი ცოლები არასოდეს არ დაივიწყებენ ამას. ჩვენ ყოველთვის გვაკავშირებდა მეგობრობისა და ამხანაგობის რგოლი. სმიტი, რიჩარდსონი, კუკი, და ბრიტანეთის მემაღაროები“.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

„ხელები შორს ჩინეთის რევოლიუციისაგან“

მოსკოვი, 17 სექტემბერი. პროფინტერნის აღმასრულო მთელი ქვეყნის მუშების და აგრეთვე დიდი ბრიტანეთის მუშებისადმი მიმართვაში აღნიშნავს, რომ ინგლისის პროფკავშირთა ყრილობამ ბორნემუტში მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში. ეხლა სიტყვები და რეზოლიუციები არ კმარა,—ინტერვენციის წინააღმდეგ საჭიროა საქმით ბრძოლა და არა სიტყვებით. ჩინეთის ხალხის საქმე—ეს მთელი ქვეყნის მუშების საქმეა. შორს იმპერიალისტები ჩინეთიდან! ხელები შორს ჩინეთის რევოლიუციისაგან!

„ინდო“

მოსკოვი, 17 სექტემბ. ინდო ევროპიული ტელეგრაფის საზოგადოების მთავარი რწმუნებული იუწყება, რომ „ინდოს“ სამმართველოს მიერ ლონდონში საბოლოოდ გადაჭრილი იქნება საკითხი, რომელიც წამოიჭრა გაფიცვის ხაზზე. მას იმედი აქვს, რომ კონფლიქტი მოგვარებული იქნება.

მცირე - წლოვანთა მუშაობა

მოსკოვი, 17 სექტემბ. საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატმა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით გამოიმუშავა მცირე-წლოვანთა სამუშაოზე დაშვების წესი. მცირე-წლოვანთა სამუშაოზე გაგზავნისათვის იძლევა შრომის ინსპექტორი. შრომის ბირჟებმა მცირე-წლოვანთა გადარჩევის დროს ანგარიში უნდა გაუწიონ მცირე-წლოვანთა მატერიალურ ხელმოკლეობას და მათ ოჯახურ მდგომარეობას. მოწმობების გაცემა სამუშაოზე დაშვების ნებართვის შესახებ იმ მცირე-წლოვანებზე, რომლებიც ჯერ კიდევ 14 წლისა არ გამხდარა, აკრძალულია.

მეთაურთა გამოშვება

ხარკოვი, 17 სექტემბ. უკრაინის სამხედრო ოლქში ამ უკანასკნელ დღეებში გამოუშვეს 1.000 მეტი მეთაური, რომლებმაც დაასრულეს სამხედრო პოლიტიკური მომზადება. უდიდესი ნაწილი ახალ მეთაურებისა მუშები და გლეხები არიან—პარტიისა და კომკავშირის წევრები.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის პროდუქტების ექსპორტი

ბაქო, 17 სექტემბ. ნავთის სინდიკატის ახლო-აღმოსავლეთის კანტორის მიერ, მიმდინარე თვის განმავლობაში გაზიდული იქნება უცხოეთში 35.000 ტონა მაზუთი, 18.000 ტონა ბაზილი, 27.000 ტონა სხვადასხვა ზეთები და ნავთის პროდუქტები; სულ 93.000 ტონას რაოდენობით.

გლეხობის ზარალი

ზაქათალა, 17 სექტემბ. კოკისპირულმა წვიმებმა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, დიდი ზარალი მიაყენა გლეხობას.

განსაკუთრებულ კომისიამ გამოარკვია ზარალი შემდეგი სახით: განადგურდა—46 დესეტინა კაკლის ხე, 53 დესეტინა სათიბი, 167 ფურემი თივა, 883 ფუთი ხორბალი, 3 დესეტინა ვენახი, 520 ფუთი თუთუნი, 31 დესეტინა სიმინდი, 27 დესეტინა ბაღები და ბოსტნები. წალეკილია ხიდი. ნიაღვარმა წაიღო 7 წლის ბავშვი.

სპორტი

ბაქო, 17 სექტემბ. სადოღო სეზონის გახსნა, რომელიც უნდა შემდგარიყო დღეს, სადოღო ცხენების მოუსვლელობის გამო, გადატანილია 24 სექტემბრისთვის.

თბილის - როსტოვს შორის სამოტოციკლეტო გადარბენაში მონაწილეობის მისაღებათ, აზერბეიჯანიდან სექტემბრის ბოლოს გამოვა სამი მორბენალი.

სომხეთი

სიძველეთა დაცვა

ერევანი, 17 სექტემბ. სომხეთის სიძველეთა დაცვის საზოგადოების ექსპედიციის მიერ სწარმოებდა არქეოლოგიური გამოკვლევა სევანის ტბის სანაპიროებისა, სადაც მიკვლეულ იქნა უძველეს კულტურების ნაშთი, მე-4-ე საუკუნის ქრისტიანობის ტაძარი, მეგალიტები, წყლის კულტის ძეგლები და მრავალრიცხოვანი—მეცნიერებისთვის ჯერ უცნობი ჰიეროგლიფები. კვლევა-ძიება გრძელდება.

ცოფიანი ძაღლები

ერევანი, 17 სექტემბ. დელიჟანიდან და ნორ-ბაიაზეთიდან იუწყებიან ცოფიან ძაღლების დიდი რაოდენობის გამოჩენის შესახებ. ნორ-ბაიაზეთიდან თბილისის პასტერის ინსტიტუტში გაგზავნილ იქნენ ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილი გლეხები.

პარტიული ცხოვრება

პარტიული თათბირი

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. სამდივნოს დადგენილებით, ა. წ. 5 ოქტომბერს მოწვეულია თბილისის კომიტეტის, საოლქო და სამაზრო კომიტეტების, თბილისის ორგანიზაციების რაიკომების, სააგიტაციო-საპრ. გამგების ხაშურის და სამხრეთის რაიკომების მდივნების თათბირი.

თათბირის დღის წესრიგი: 1. მოხსენებები ადგილებიდან (თბილისი, აჭარისტანი, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, გურია, თელავი, ბორჩალო, ზუგდიდი).

2. სააგიტ.-საპრ. მუშაობის მორიგი ამოცანები—(მომხსენებელი საყვარელიძე).

ა) პარტ-განათლების ქსელის შესახებ, ბ) ქოხსამკითხველოების მუშაობის შესახებ, გ) ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ, დ) ფიზიკური კულტურის შესახებ, ე) გლეხთა სახლების მუშაობის შესახებ, ვ) მოსწავლეთა შორის ა. ლ. კ. კ. მუშაობის შესახებ, თ) ბ. კ. რ. პარტ-ხელმძღვანელობის შესახებ, კ) უოფ. მენშევიკთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, ლ) სააგიტ.-საპრ. კომისიის და აგიტპროპ-ორგანიზატორების მუშაობის შესახებ, ნ) აგიტაციის შესახებ.

3. საშეფო მუშაობის შესახებ—(მომხსენებელი იმედაძე).

4. ანტი-რელიგიური მუშაობის შესახებ—(მომხსენებელი იმედაძე).

5. მოხსენება პოლიტ-განათლების მთლიან სისტემის შესახებ. (საქ. ა. ლ. კ. კ. ძიგრაშვილი).

6. თვითგანვითარების შესახებ—(მომხსენებელი თათარიშვილი).

7. მასწავლებელთა შორის მუშაობის შესახებ—(მომხსენებელი თათარიშვილი).

პარტიის მთლიანობისათვის

ფრაქციების და ჯგუფების წინააღმდეგ

(ავსტრიის კომპარტიის ცეკას დადგენილება)

ვენა, 16 სექტემბერი. ავსტრიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ადასტურებს ავსტრიის კომპარტიის პოლიტბიუროს დადგენილებას საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ და გერმანიის კომპარტიაში არსებულ მდგომარეობის შესახებ.

ცენტრალური კომიტეტი ესალმება იმ ზომებს, რომლებიც მიიღეს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ოპოზიციის წინააღმდეგ, უცხადებს საკავშირო კომპარტიის ცეკას თავის სოლიდარობას და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას ფრაქციებისა და ჯგუფების შექმნის ცდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ავსტრიის კომპარტიის ცეკა ესალმება ძმურ გერმანულ კომპარტიის ცეკას დადგენილებას, ფიშერის, მასლოვის და სხვ. გამორიცხვის შესახებ.

ლენინურ ცეკასთან ერთად

(სართიჭალა, გარე-კახეთი)

12 სექტემბერს სართიჭალაში მოწვეულ იქნა სართიჭალის თემის ორგანიზ. სათემო პარტ-კრება, რომელსაც დაესწრო თბილ. კომიტ. მდივანი ამხ. ასრიბეკოვი და საორგ. განყ. გამგე ამხ. აკოპოვი. კრების დღის წესრიგში პირველ საკითხად იდგა მოხსენება საკავ. კომპარტიის ცენტ. კომიტეტის და ცენტ. საკონტ. კომისიის ივლისის პლენუმის შედეგებზე.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. აკოპოვმა, აკოპოვის მოხსენების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიც სათემო პარტ-კრება სავსებით იწონებს საკავ. ცენტრ. კომიტ. და ცენტ. საკონტ. კომისიის დადგენილებას პარტიის მთლიანობის შესახებ და გმობს ოპოზიციას, რომელმაც თავი იჩინა მე-14-ე პარტ-ყრილობაზე და რომლის ყოველ დღიური მოქმედება მიმართული იყო პარტიის მთლიანობის დარღვევისაკენ.

სართიჭალის სათემო პარტ-ორგანიზაციამ გადაჭრით განაცხადა, რომ ის იბრძოლებს ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ და ფოლადისებურად შეკავშირებული გაჰყვება პარტიის კოლექტიურ ბელადს—ბოლშევიკურ ცეკას, ლენინიზმის დროშის ქვეშ.

ვ. შიშინაშვილი.

როგორ არ უნდა სწარმოებდეს მუშაობა

ერთ-ერთ დაწესებულების კომუჯრედის განცხადების დაფაზე გამოკრული იყო შემდეგი ხასიათის განცხადება: „პარასკევს, სექტემბერს შესდგება კომუჯრედის მორიგი ღია კრება. დღის წესრიგი: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, განცხადებების განხილვა, მიმდინარე საკითხები. **დასწრება, როგორც პარტიულებისათვის, ისე უპარტიოთათვის სავალდებულოა**“. უკანასკნელ სიტყვებისათვის განზრახ გაუსვამთ ხაზი. ამ განცხადებიდან ეტყობილობთ, რომ კომუჯრედი **ვალდებულად** ხდის უპარტიო ამხანაგებს დაესწრონ პარტიულ ორგანიზაციის კრებაზე. იმავე კომუჯრედის მდივნის განცხადებით ეს ხდება იმიტომ, რომ „კრების დღის წესრიგში სდგას საკითხი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რაც მეტად უნდა აინტერესებდეს უპარტიოებს“, რომ უპარტიო მასებში არ არის მოკლებული ინტერესი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებისადმი ამაზე ზედმეტია ლაპარაკი, მაგრამ ასეთი საკითხების დასმით უპარტიოებისათვის პარტიულ კრებაზე გამოცხადების სავალდებულოდ გახდა, რასაკვირველია, მიუღებელი და დაუშვებელია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღია კრება, მიუხედავად იმისა, რომ ის ღია არის, მაინც პარტიული კრებაა და უპარტიოები ამას მხოლოდ **საკუთარი სურვილით** ესწრებიან. ძალდატანებითი მეთოდების ხმარება უპარტიოთა მიმართ არა თუ არ ამაღლებს, არამედ დასცემს პარტიის ავტორიტეტს უპარტიო მასების თვალში.

უპარტიოთა შორის ამგვარი მეთოდებით მუშაობა ცხადია, წინ ვერ წასწევს პარტიისა და უპარტიო მასების დაახლოვების საქმეს. რამ გამოიწვია კომუჯრედის ასეთი განცხადება? ამ მხრივ მეტად საინტერესოა იმავე კომუჯრედის მდივნის განცხადება. — „კომუჯრედის ბიურომ უპარტიოებს დასწრება პარტკრებაზე სავალდებულო გახადა იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ დაესწრებოდნენ ღია პარტკრებას“. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ უპარტიო მასა არ არის დაინტერესებული უჯრედის მუშაობით. რა არის ამის მიზეზი?

ცხადია, ამის მიზეზი კომუჯრედის და მისი ბიუროს მუშაობის სისუსტეა, საერთოდ, და კერძოდ კი, უპარტიოთა შორის მუშაობის დარგში. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ მოვლენასთან საქმე არ გვექნებოდა. კომუჯრედს, რომ მოეხერხებია უპარტიო მასისათვის საინტერესო საკითხების წამოყენება და გაშუქება, მას რომ ადგილობრივი საჭირბოროტო საკითხები გაერჩია კრებაზე, ცხადია, უპარტიოებიც დაინტერესდებოდენ მისი საქმიანობით და კრებებსაც არ დააკლდებოდენ. ჩვენ ხშირად გვიხდება ლაპარაკი ღია კრებების დღის წესრიგის შესახებ. ავიღოთ თუნდაც ზემოდ აღნიშნული განცხადება. რა საკითხებია დასმული უჯრედის დღის წესრიგში? — საერთაშორისო მდგომარეობა, განცხადებების განხილვა, მიმდინარე საკითხები. რასაკვირველია, ასეთი დღის წესრიგით უპარტიოთა ფართო მასების დაინტერესება, პირველ ხანებში მაინც, არ მოხერხდება.

რა უნდა გაირჩეს მაშ ღია კრებებზე? უმთავრესად ადგილობრივი ხასიათის საკითხები, ასე მაგალითად თუ ეს სოფელს შეეხება ადგილობრივ საბჭოს მოხსენება, ადგილობრივ კოოპერატივის მოხსენება, საკითხი სოფლის სკოლის შესახებ, გლეხკომის მოხსენება და სხვა.

თუ უჯრედი წარმოებაშია, მაშინ უნდა გაირჩეულ იქნეს წარმოების მდგომარეობის საკითხი, ადგილკომის მოხსენება და სხვა. უჯრედის ბიურო თუ ის ფხიზლად არის, ყოველთვის მოახერხებს ადგილობრივ დღის წესრიგში ისეთი საკითხის შეტანას, რომელიც აინტერესებს ადგილობრივ მასას, რომელზედაც ის ლაპარაკობს და ახსნა - განმარტებას საჭიროებს. რასაკვირველია, გადახრა არც აქ გვარგებს. ადგილობრივ საკითხებთან ერთად კრებაზე სხვა საკითხებიც უნდა გაირჩეს.

აი ამ გზით და ამ საშუალებით უნდა დავაინტერესოთ უპარტიო ამხანაგები უჯრედის მუშაობით.

ი. რ.

მეურნეო ორგანოს წარმომ[illegible]გილკომის ფრაქციის მოხსენება.

ყველა მოხსენებების გარშემო გაცხოველებული აზრთა გაცვლა - გამოცვლა გაიმართა. მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. მიღებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა გატარება დაევალა უჯრედის ბიუროს.

ახალ ბიუროში არჩეული არიან, როგორც ძველი ისე ახალი მუშაკები. ძველი ბიუროს უმეტესი ნაწილი კვლავ იქნა არჩეული პერსონალური კენჭის ყრით.

კ. ლ.

სასაკლაოს უჯრედში

სასაკლაოს უჯრედში დიდი კამათი გაიმართა ბიუროს მოხსენების გარშემო. მომხსენებელს 35 შეკითხვა მისცეს. კამათში წევრთა საგრძნობმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. ამხანაგები უმთავრესად აღნიშნავდენ იმ გარემოებას, რომ სუსტი იყო საწარმოო თათბირის მუშაობა, სუსტი იყო ხელმძღვანელობა ადგილკომის ფრაქციისა, რაც პროფმუშაობაზე ახდენდა გავლენას და სხვა. მიღწევათა შორის აღნიშნა დისციპლინის განმტკიცება პარტიის წევრთა და კანდიდატებს შორის, უჯრედის ბიუროს გეგმიან მუშაობაზე გადასვლა და სხვა.

კამათის შემდეგ ბიუროს საქმიანობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლათ.

ახალ ბიუროს, რომელშიაც ნაწილობრივ არჩეულ იქნენ ახალი ძალებიც, დაევალა შემჩნეულ ნაკლის გამოსწორება.

მ. ა.

შორაპნის სამაზრო პლენუმი

(ჭიათურა)

9 სექტემბერს, ქ. ჭიათურაში შესდგა სამაზრო პარტიული საგანგებო პლენუმი. სხდომას დაესწრო წევრების დიდი უმრავლესობა. კრება გახსნა სამპარტკომის მდივანმა ამხ. მიშა ნიორაძემ.—დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მიწათმოქ. გან. გამგის მოხსენება 2. 1926—27 წ. წ. ბიუჯეტის განხილვა, 3. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა მიწათ-მოქ. გან. გამგემ ამხ. კ. ფუტკარაძემ. უკანასკნელი შეეხო მიწათ-მოქმედების განყოფილების საქმიანობას და დაწვრილებით გააშუქა ის. მან პლენუმის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტყეების მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ტყეები მაზრაში საშინლად იჩეხება. თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, სთქვა ამხ. მომხსენებელმა მაზრა სავსებით უტყეოთ დარჩენის საფრთხის წინაშე სდგას. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომელზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ განყოფილების მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. პლენუმმა დაავალა პრეზიდიუმს გამოიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებები მოხსენების გარშემო და კერძოთ, ტყეების გაჩეხის წინააღმდეგ.

— მეორე საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა სამფინგანის გამგემ ამხ. ი. ბუაჩიძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო პლენუმს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა.

მიმდინარე კითხვებში მოხსენებით გამოვიდა სამპარტკომის მდივანი ამხ. მ. ნიორაძე, უკანასკნელი აცნობს პლენუმს ს. ს. ს. რ. ცაკის დადგენილებას თემების შემოკლების შესახებ და იმ მუშაობას, რომელიც ჩატარებულ იქნა დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ. მოხსენება მიღებული იქნა ცნობათ.

ა. სალაძე.

თემკომის სხდომა სოფელ მანავში

(საგარეჯო, თბილ. მაზრა)

აგვისტოს ბოლო რიცხვებში საგარეჯოს თემკომმა ს. კ. პ. (ბ), გადასწყვიტა მოეწყო თემკომის სხდომა სოფელ მანავში. გადაწყვეტილება სისრულეშიც ჩქარა იქნა მოყვანილი. თემკოს მთელი შემადგენლობა გაემგზავრა სოფელ მანავში თემკომის ღია სხდომის ჩასატარებლად.

სხდომას დაესწრო მრავალი უპარტიო გლეხობა, განსაკუთრებით ღარიბები. სხდომაზე უმთავრესად ადგილობრივი ხასიათის საკითხები იქნა განხილული. სხვათა შორის, მოსმენილ იქნა ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება საბჭოს მუშაობაზე, რაისკოლების გამგისა, და თემის საკითხების გარშემო აზრთა გაცვლა - გამოცვლა გაიმართა, რის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება. ერთ-ერთ საკითხად იყო დასმული აგრეთვე პარტიაში მისაღებ ამხანაგების ანკეტების განხილვა.

გლეხობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამხანაგების დახასიათებაში, აღნიშნავდა მათ უარყოფით და დადებითი მხარეებს. მიღებული იქნა შვიდი გლეხი პარტ-კანდიდატად.

გლეხობა კმაყოფილი დარჩა აღნიშნული სხდომით და მოითხოვდა რომ ასეთი სხდომები ხშირ-ხშირათ ყოფილიყო მოწყობილი სოფ. მანავში. საჭიროა თემკომმა მომავალშიც მოაწყოს ასეთივე სხდომები სოფლად.

ა. დ—ვი.

როგორ მიმდინარეობს ბიუროების გადარჩევა

მთავარ სახელოსნოებში

ბიუროების ხელ-ახალი არჩევნები სახელოსნოებში გაცხოველებულ ტემპით მიმდინარეობს. ზოგიერთ საამქროებში უკვე დამთავრდა ახალი ბიუროს არჩევნები. უჯრედები ბიუროების, კომკავშირის უჯრედების და პროფორგანიზაციის ფრაქციის მოხსენების გარშემო მხურვალე კამათი სწარმოებდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდენ წევრთა საგრძნობი რიცხვი. 14 სექტემბერს დასრულდა ამწყობ საამქროს უჯრედის არჩევნები. ბიუროს არჩევნებამდის კრებამ მოიწონა კომისიის მუშაობა, რომელსაც დავალებული ჰქონდა პრაქტიკულ წინადადებების შედგენა მომავალი საქმიანობისათვის. ბიუროს ახალ შემადგენლობას კრებამ დაავალა უჯრედის ღია კრებების ხშირად მოწვევა, დღის წესრიგის გაშინაარსიანება, უჯრედის ბიუროების წევრთა მოხსენებების მოსმენა, რომელთაც დავალებული აქვთ უჯრედების მუშაობის ცალკე დარგების განხილვა. მეტი ყურადღება დაეთმოს კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციის მუშაობას და სხვა.

ნაკაზის მიღების შემდეგ მოხდა არჩევნები. უჯრედის რიცხვობრივათ გაზრდის გამო ბიუროს წევრთა რიცხვი გადიდებულ იქნა 15-მდე. ბიუროში შეყვანილია ახალ-ახალი ძალებიც.

იჭაური.

მტვირთავ მუშებში

ბიუროების ხელ-ახალი არჩევნები მეხამე რაიონშიც 10 სექტემბერს დაიწყო. არჩევნების კამპანია, ყველგან ცოცხლად მიმდინარეობს. 13 სექტემბერს მოხდა არჩევნები მტვირთავ მუშების კომუჯრედში.

არჩევნების წინ მოსმენილ იქნა ბიუროს. სა-

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

სად იკარგება სამუშაო დრო

მე ამ წერილში მინდა შევეხო იმას, თუ როგორ უყურადღებოდ ეპყრობიან სახელმწიფო დაწესებულებათა სათავეში მდგომნი ზოგიერთი პირები შრომის ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტებს და რანაირი უარყოფითი გავლენა აქვს ამ მოვლენას სამუშაო დროის რაციონალიზაციაზე.

1925 წ. 1 ოქტომბრიდან სამომრიგებლო კამერაში დანიშნული იყო გასარჩევათ 80 საქმე. ამათში 28 საქმე 4-ჯერ იქნა გადადებული, როსთვისაც ფუჭად დაიკარგა 222 საათი, 32 საქმე გადაიდო სამ-სამჯერ, დაიკარგა 192 საათი; 6 საქმე გადაიდო ორ-ორჯელ, დაიკარგა 24 საათი; და მხოლოდ 24 საქმე იქნა ნორმალურად გარჩეული.

ამ რიგად უბრალოდ დაიკარგა 488 სამუშაო საათი ანუ 2 თვე და 5 სამუშაო დღე.

ამ ხნის განმავლობაში დანიშნული იყო სულ სამედიატორო სასამართლო 32; მათში ადმინისტრაციის დაუდევრობით სამ-სამჯერ გადადებულ იქნა 10 საქმე, დაიკარგა 60 საათი; 14 საქმე გადადებულ იქნა ორ-ორჯერ, დაიკარგა 56 საათი და მხოლოდ 14 საქმე გარჩეულ იქნა ნორმალურად. სულ დაიკარგა 110 საათი ანუ 13 სამუშაო დღე.

ამავე ხნის განმავლობაში ყველა დაწესებულებებსა და წამოწყებებში დანიშნული იყო შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების 512 სხდომა, აქედგან ადმინისტრაციის დაუდევრობით ოთხ-ოთხჯერ გადადებულ იქნა 193 საქმე, დაიკარგა თითო საათი და საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ. ადგილკომიდან 2 წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, გამოდის 2 საათი თითოზე. ამრიგად ადმინისტრაციის დაუდევრობით დაკარგულია 1544 საათი; 81 საქმის გარჩევა გადადებულ იყო სამ-სამჯერ, დაიკარგა 486 საათი.

76 საქმის გარჩევა გადაიდო ორ-ორ-ჯერ, დაიკარგა 304 საათი და მხოლოდ 162 საქმე გაირჩა ნორმალურად. ამ რიგად შემფასებელ საკონფლიქტო კომისიებში სრულიად უნაყოფოდ დაიკარგა 2.334 საათი, ანუ 12 სამუშაო თვე ტექნიკურ თანამშრომლისა, რომელნიც საშუალოდ ღებულობენ მე-10 თანრიგით.

აღნიშნულ დროის განმავლობაში შრომის სასამართლოში გასარჩევად დანიშნული იყო 258 საქმე. აქედან ადმინისტრაციის დაუდევრობით გადაიდო სამ-სამჯერ 107 საქმე, სხდომაზე უნდა ჩაეთვალოთ ორ-ორი კაცი, თვითეულმა მათგანმა დაჰკარგა ორ-ორი საათი, ე. ი. თითო გადადებულ საქმეზე დაიკარგა 4-4 საათი, სულ—642 საათი.

91 საქმის გარჩევა გადადებულ იყო ორ-ორჯერ, დაკარგულია 364 ს. თითო - თითოჯერ იქნა გადადებული 19 საქმე, დაკარგულია 72 საათი; ნორმალურად გაირჩა 41 საქმე. ამრიგათ სულ დაკარგულია—1078—საათი, ანუ ერთ ტეხნიკურ თანამშრომლის 5 თვე და 5 სამუშაო დღე. ამათში არ შედის ის საქმეები რიცხვით 317, რომელნიც გარჩეული იყო შრომის სასამართლოს მიერ და ეხებოდნენ კერძო დაწესებულებებს და წამოწყებებს.

ამ რიგად მხოლოდ იმიტომ, რომ დაწესებულების სათავეში მდგომნი თავის დროზე შეუტყობინებლად, ან შეუგნებლად არ ცხადდებიან კონფლიქტის გარჩევაზე, ჩვენ დავკარგეთ სულ 3.750 საათი, ანუ 19 თვე, ანუ 456 სამუშაო დღე ერთი ტეხნიკური თანამშრომლისა, რომელიც მე-10 თანრიგით იღებს ხელფასს.

ნ. დღონტი.

„ორგული“ დაავიწყდათ

(მუშკოოპის პურის საცხობი)

მუშკოოპის პურის საცხობი № 1-ში მსახურობს მოქ. ხუხუნაშვილი, რომელმაც მუშკოოპის მე-4 პურის საცხობში გამგედ ყოფნის დროს გაანიავა 1.100 მანეთის სახალხო ქონება. იმის ნაცვლად, რომ იგი გადაეყენებიათ სამსახურიდან, მას შეუცვალეს ადგილი და კიდევ უკეთესი მისცეს.

რაშია საქმე? ეს მოხდა 1925 წელს აგვისტოს პირველ რიცხვებში. დღემდის ზომებს ამის წინააღმდეგ არ ღებულობენ, რამოდენიმე სხვა თანამშრომელი უკვე გადააყენეს, რომლებსაც ბრალს სდებენ 100 მანეთის მითვისებაში, ეს ორგული კი დაავიწყდათ.

სახალხო ქონების გამფლანგველი უნდა გამოირიცხოს მუშათა ორგანიზაციიდან.

ვილეველი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

სახელების გადარქმევის შესახებ

რევოლიუციის გავლენა და ახალი ყოფაცხოვრების განმტკიცება, სხვათა შორის იმაშიაც გამოიხატება, რომ ძველ, რეაქციონურ ქვეყნის მოციქულთა სახელებს დაწესებულება-წარმოებებზე, თუ სხვა რამე ორგანიზაციაზე, ქუჩაზე და ბაღებზე ჩვენ ვცვლით რევოლიუციის მებრძოლთა სახელებით.

ეს თავისთავად გასაგები და ნორმალური მოვლენაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგჯერ სახელების გადარქმევას ადგილი აქვს მაშინაც კი, როცა ეს არავითარი რევოლიუციონური მიზანშეწონილობით არაა გამოწვეული .

ამავე დროს იშვიათად თუ იფიქრებს ვინმე რამდენი ჯდება ხშირად ეს გადარქმევ-გადმორქმევა. ამ საკითხზე გაზ. „გუდოკი“, შემდეგს სწერს:

„შარშან მოსკოვის პრესაში მოყვანილი იყო ნაჩქარევათ სახელის გადარქმევის მაგალითი. გამოანგარიშებული იყო, რომ ამ გადარქმევასთან დაკავშირებით გამოწვეული ახალი ბლანკების, შტამპების, აბრების და ბეჭდების დამზადება დაჯდა 30 ათასი მანეთი“.

შემდეგ გაზეთი ეხება გადარქმევის საკითხს რკინის გზაზე: ის სწერს :

„რომ გამოუცვალოთ, მაგალითად, სახელი რომელიმე რკინის გზას ,მთელი მისი განყოფილებებით და აპარატით, საჭირო იქნება აუარება ახალი ბლანკების, დოკუმენტების, შტემპელების, აბრების და სხვათა ხელ-ახალი დამზადება, რაც უდიდეს ხარჯებს გამოიწვევს!..

ჩვენ გადარქმევაზე უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საჭიროებანი გვაქვს. თვითეული კაპეიკი ანგარიშზეა აღებული. და გადარქმევის საკითხს, თუნდაც ზოგჯერ აუცილებელს, ფრთხილად უნდა მოვეპყრათ!..

ახალი კოალიციის გარშემო გერმანიაში

(„პრავდას“ მოწინავე წერილი)

გერმანიაში უდიდესი ამბავი მოხდა. რევოლიუციის რვა წლის თავზე მძიმე ინდუსტრიამ იცნო გერმანიის რესპუბლიკა. ეს უდიდესი მოვლენა 3 სექტემბერს მოხდა დრეზდენში მწარმოებელთა კავშირის საერთო-საიმპერიო ყრილობაზე, რომელიც ძლიერ გერმანიის ძლიერ მრეწველობას აერთიანებს. ყრილობას შეიძლება ეწოდოს მძიმე ინდუსტრიის პარლამენტი. ამ პარლამენტში წარმოითქვა სიტყვები და წაკითხულ იქნა მოხსენებანი მსხვილი მრეწველობის საკითხების შესახებ. ასე, მაგ. სახელმწიფო მრჩეველმა დოიჩბერგმა მოხსენება წაიკითხა გერმანიის მრეწველობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ; სახელმწიფო მრჩეველი კასტლი ლაპარაკობდა გერმანიის ინდუსტრიის სამეურნეო-პოლიტიკურ მოთხოვნილებათა შესახებ; ფინანსთა მინისტრი რეინჰოლდი—სახელმწიფოს ფინანსიური პოლიტიკის შესახებ; სტატს-სეკრეტარი ფონ-სიმსონი ლაპარაკობდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და მეთოდების შესახებ. განიხილეს რა ყოველმხრივ გერმანიის ინდუსტრიის ინტერესები, გერმანიის ბატონ-პატრონებმა მიანდეს ერთ თავის ხელმძღვანელთაგანს, მწარმოებელთა საერთო-საიმპერიო კავშირის პრეზიდიუმის წევრს დოქტორ ზილვერბერგს, რომ განსაზღვროს გერმანიის მრეწველობის ადგილი თანამედროვე სახელმწიფოში და მძიმე ინდუსტრიის დამოკიდებულება მუშათა მოძრაობისადმი. დოქტორ ზილვერბერგმა, უდიდეს მწარმოებელმა, 26 მსხვილ სანახშირო და მეტალურგიულ საქციო საზოგადოებათა აქციონერმა და ხელმძღვანელმა, შემდეგ თემაზე წაიკითხა მოხსენება: „გერმანელი მწარმოებლები და ომის შემდეგომი ხანა“. ამ მოხსენებაში ზილვერბერგმა განაცხადა, რომ გერმანელი მწარმოებელი ეხლანდელი რესპუბლიკისა და კონსტიტუციის ცნობის თვალსაზრისზე სდგას; მიუხედავათ ამისა, კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლები უნდა გადაიხალისოს. ზილვერბერგმა მშვენივრად იცის თუ როგორი საშინაო-საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ამ ცნობას. გერმანიის მსხვილი მრეწველობის ხვედრითი წონის სრული შეგნებით დოქტორმა ზილვერბერგმა განაცხადა:

„რესპუბლიკის მეგობრებმა ერთ რამეში უნდა მისცენ ანგარიში თავის-თავს. გერმანიის რესპუბლიკისა და მისი კონსტიტუციის ცნობას გერმანელი მწარმოებლების მიერ ათასჯერ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სერიოზული ხალხის თვალში, ვიდრე იმ განგაშს პარტიული ტაქტიკის შესახებ, რომელიც უნდობლობას სთესავს, იწვევს შეშფოთებას და ნთქავს ძალებს. გერმანელი მწარმოებლების სწორედ ეს პოზიცია წარმოადგენს საზღვარგარეთის მხრივ ნდობის მოპოვებისა და გერმანიის შინაგანი ურთიერთობის განმტკიცების ბაზისს“.

რესპუბლიკის ამ „ცნობამ“ მწარმოებელთა მიერ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დემოკრატიულ და სოციალ-დემოკრატიულ პრესაში. დაბოლოს, როგორც იქნა, რესპუბლიკა მსხვილ მწარმოებელთა კავშირმა! აღნიშნულმა გაზეთებმა ამაში დაინახეს რესპუბლიკანური წესწყობილების „გამარჯვება“ და მხედველობიდან გაუშვა პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის ფაქტი, სახელდობრ ის, რომ მსხვილმა ინდუსტრიამ მხოლოდ მის შემდეგ იცნო რესპუბლიკა, როცა იგი მთლიანად და სავსებით დაუმორჩილა თავის გავლენას.

რესპუბლიკის „ცნობის“ შემდეგ, დოქტორი ზილვერბერგი რესპუბლიკანური მძიმე ინდუსტრიის სახელით შეუდგა ახლად შეძენილი სამშობლოს ბედ-იღბალის მოწყობას. მან აშკარად, ყველა მწარმოებლების წინაშე განაცხადა, რომ შემდეგომი ამოცანა სწორი ურთიერთობის დამყარება მუშათა კლასთან; ამისათვის მმართველობის საქმეში უნდა ჩაბმულ იქნას სოციალ-დემოკრატია. სოციალ-დემოკრატების დაუხმარებლად არ შეიძლება სახელმწიფოს მმართველობა—ასეთია ნეორესპუბლიკანელის მეორე დებულება. განსაკუთრებულის გრძნობით ლაპარაკობდა ზილვერბერგი იმის შესახებ, თუ რა დახმარება მიუძღვით გერმანიის პროფკავშირებს ინდუსტრიისა და სამშობლოს წინაშე; გზადაგზა იგი ახსენებდა იმ სახელებს, რომლებმაც მწარმოებელთა მადლობა დაიმსახურეს.

„ყოველ პირობის გარეშე და მადლობის გრძნობით უნდა ვსცნოთ, სთქვა დოქტორმა ზილვერბერგმა, რომ ძველი პროფკავშირები იმდენათ, რამდენათაც მათ ჰყავთ დისციპლინით აღჭურვილი თავი, რომელსაც გაიარა პროფესიონალური სკოლა და მტკიცე ხასიათის ხელმძღვანელები, მე აქ დავასახელებ ლეგინს,—ამ პროფკავშირებს უდიდესი დამსახურება მიუძღვით იმით, რომ მეტად შეუწყვეს ხელი მუშათა და გლეხთა საბჭოების რევოლიუციონური მოძრაობის მოწესრიგებულ სახელმწიფოებრივ მმართველობის კალაპოტში ჩაყენებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ მადლობის გრძნობით ვიგონებთ გერმანიის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ფრიდრიხ ებერტს“.

მეტად სანტიმენტალურია მოგონება ლეგინისა, რომლის სახელი უწოდა სტინესმა ინფლიაციის დროს აგებულ გემს და მადლობა ფრიც ებერტისადმი, რომელიც გერმანიის ისტორიაში შევიდა, როგორც გერმანიის ბურჟუაზიის ერთგული ფინია.

მაგრამ მწარმოებლებმა მკვდრების მოგონების დროს, ცოცხლებიც არ დაივიწყეს. მათ თავიანთ ყრილობაზე მიიწვიეს გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანება, რომელმაც იქ თავისი თავმჯდომარე ლეიპარტი გაგზავნა.

დოქტორ ზილვერბერგის სიტყვის წარმოთქმის დროს ამსტერდამის ინტერნაციონალის ვიცე-თავმჯდომარის სახეზე, როგორც გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყება, აშკარა სიამოვნება გამოიხატა. გაზეთი სიხარულით არ იუწყება დოქტორ ზილვერბერგის სიტყვის რომელი ადგილი გვრიდა განსაკუთრებულ სიამოვნებას სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბატონმა ლეიპარტმა განსაკუთრებული სიამოვნება იგრძნო მაშინ, როცა ზილვერბერგის ბაგეთაგან შემდეგი სიტყვები გაიგონა:

„თუ სოციალ-დემოკრატია დადგება ფაქტების ნიადაგზე და უარყოფს რადიკალურ დოქტრინიორობას, ქუჩისა და ძალადობის პოლიტიკას, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა დამრღვევლი ხასიათი და არასოდეს არ ჰქონია შემოქმედებითი ხასიათი, იგი მწარმოებლებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით გერმანიას და გერმანიის მეურნეობას წაიყვანს აყვავებისა და წარმატებისაკენ“.

ჩვენ აღარ მოვიყვანთ კიდევ დოქტორ ზილვერბერგის სიტყვას. საკმაოა აღნიშნოს: მწარმოებელთა სახელით მან იცნო თავისი რესპუბლიკა; წინადადება მისცა სოციალ-დემოკრატებს, რომ კოალიციაში შევიდეს სხვა „პასუხისმგებელ პარტიებთან“; შეაქო პროფესიონალისტები, მკვდრები და ცოცხლები, შეაქო იმის გამო, რომ მათ იხსნეს გერმანიის მრეწველობა რევოლიუციისაგან.

ამ სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გერმანიაში, კოალიციის საკითხმა, რომელიც დაისვა მსხვილი მრეწველობის სახელით, დიდი ნიადაგი მოიპოვა. „ფორვერტსმა“ (გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო) ამ წინადადების გამო მანჭვა-გრეხა დაიწყო ის, როგორც ლოთმა ერთი ჭიქა ღვინის წინაშე, მაგრამ მაინც აგრძნობინა მათ, რომ სოციალ-დემოკრატია ყოველთვის აწარმოებდა რეალურ პოლიტიკას. პროვინციალური გაზეთების მთელმა რიგმა, რომლებსაც არ აქვთ ისეთი გამოცდილება, როგორც აქვს „ფორვერტს“ პოლიტიკური პირფერობის და ყოყლოჩინობის დარგში, უცებ გამოსთქვეს ის, რაც გულში აქვთ.

განსაკუთრებით გულახდილად გამოვიდა გერმანიის პროფკავშირთა სახელით იგივე ლეიპარტი. თუმცა იგი ყველაზე ჭკვიანი არაა გერმანელ პროფესიონალისტებს შორის, მაგრამ იგი გამოხატავს სოციალ-დემოკრატიული ზედაფენების პროფბიუროკრატიის მისწრაფებასა და იმედებს. ხანამ უმთავრეს საკითხზე უპასუხებდა, მან, რასაკვირველია, აუცილებლად სცნო რამოდენიმე ჟესტის გაკეთება წინასწარ. ლეიპარტს არ მოეწონა თანამშრომლობა პროფკავშირებსა და მრეწველებს შორის ინდუსტრიის ხელმძღვანელობით. იგი სდგას „თანასწორუფლებიანობისა და ეკონომიური დემოკრატიის“ თვალსაზრისზე. მან აუცილებლად სცნო კლასიური ბრძოლის დაცვაც კი, და ხაზი გაუსვა იმას, რომ კლასიურ ბრძოლას არაფერი საერთო არა აქვს კლასიურ მძულვარებასთან! თავისი გაგება კლასიური ბრძოლისა ბატონმა ლეიპარტმა გამოამჟღავნა თავისი მონაწილეობით სტინესის დაკრძალვაზე და მწარმოებელთა საერთო საიმპერიო ყრილობაზე. ლეიპარტის ყველა ეს მსჯელობანი, როგორც სამართლიანად აღნიშნა გაზ. „ბერლინერ ტაგებლატმა“ „წმინდა თეორეტიული მნიშვნელობის“ საკითხია. უმთავრესი საკითხზე ე. ი. იმ საკითხზე, რომელმაც გერმანიის პოლიტიკური ვნებათა-ღელვა გამოიწვია, დიდი კოალიციისა და ეხლანდელი მთავრობასთან მუშაობის საკითხზე, საერთო გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ ბატონმა ლეიპარტმა შემდეგი უპასუხა:

„მე არავითარ საიდუმლოებას არ გავსცემ, თუ ამ კითხვის საპასუხოდ აშკარად განვაცხადებ, რომ პროფკავშირების პასუხისმგებელი ხელმძღვანელთა უმრავლესობა მთავრობაში პრაქტიკული თანამშრომლობის მომხრეა. ჩვენ იმ შეხედულებას ვადგევართ, რომ აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღებით და მთავრობის ღონისძიებებზე უშუალოდ გავლენის მოხდენით, შეიძლება მუშათა სამართლიან მოთხოვნილებებს უფრო წარმატებით მიექცეს ყურადღება, ვიდრე ოპოზიციაში ჩადგომით. მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმეა“.

ლეიპარტი იმას ლაპარაკობს, რასაც „ფორვერტსი“ ფიქრობს! ლეიპარტმა გამოხატა სურვილი ეგრედ-წოდებულ საქმიან თანამშრომლობაზე, კოალიციაზე. როცა საქმე ამ უკანასკნელს შეეხო, ლეიპარტი გამოცოცხლდა. ეს ხომ ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვა არაა. აქ ფიქრია საჭირო, სერიოზულ პროცენტების გარანტიის მოთხოვნა. თავიანთი მწარმოებლები, რომელთაც რესპუბლიკა „იცნეს“ ხომ იმ კლასის წარმომადგენლები, რომელთან თანამშრომლობის გარეშე (ასეთია ლეიპარტის და კომპანიის ოფიციალური ფილოსოფია) ნაბიჯის გადადგმაც შეუძლებელია. აი რატომ, როგორც კი მწარმოებლების წრეებიდან გაისმა მოწოდება თანამშრომლობისა და მთავრობაში მონაწილეობისაკენ, ლეიპარტი გამოხტა და ხრინწიანი ხმით დაიყვირა „მუდამ მზადა ვარ და ყოველნაირ პროცენტების გარეშე!“.

ამრიგად ჩვენ ვდგავართ ახალ კოალიციის წინაშე გერმანიაში, ეგრედ-წოდებულ საქმიანი თანამშრომლობის ახალ ფორმაში აღორძინების წინ. ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია სოციალ-დემოკრატების სურვილი მიიღონ მონაწილეობა სამინისტრო კომბინაციებში. მაგრამ რას ნიშნავს ეს მოწოდება თანამშრომლობისაკენ მწარმოებლების მხრით, რას ნიშნავს ეს ღრმად მოფიქრებული და უეჭველად კოლექტიურად დამუშავებული სიტყვა დოქტორ ზილვერბერგისა? როცა მწარმოებლები კარგ ყოფაში არიან ასეთ სიტყვებს არ ლაპარაკობენ. დოქტორ ზილვერბერგის სიტყვა გამოხატავს გერმანიაში შექმნილ ღრმა კრიზისს. მწარმოებლები გრძნობენ მასების უკმაყოფილებას, რომელიც თანდათან იზრდება; ისინი ხედავენ მოახლოებულ ამბებს და მათ სწრაფვას სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირების ჩინოვნიკები იმ რაციონალიზაციის დახმარებით, რომელსაც ისინი მწარმოებლების ხარჯზე ატარებენ. მწარმოებლებმა დაუძახეს მათ თითო და სოციალ-დემოკრატები და მათი ლეიპარტები შედგნენ უკანა ფეხებზე და უსმენენ „აშკარა კმაყოფილებით“ მწარმოებლების გალობას.

გერმანიაში ახლოვდება სოციალური ბრძოლა —აი, რას გვეუბნება ეს ახალი კოალიციონური ფერხული. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრძოლაში ძალთა განწყობილება არ იქნება ისეთი, როგორც იყო რამდენიმე დღის წინად, როცა პროფკავშირების ბიუროკრატიას წინად, როცა პროფკავშირების ბიუროკრატიას

ა. ლოზოვსკი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 17 სექტემბერი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ქუთაისი, 17 სექტემბერი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ქუთაისის მაზრაში, 1926—27 წელში გამოთვლილია 62.752 მან. 7 კაპ. რაოდენობით, რაც წარსულ წელთან შედარებით 35 პროცენტით ნაკლებია.

ონი—ქუთაისი

ქუთაისი, 17 სექტემბერი. მანქანის გაფუჭების გამო, ქუთაის-ონს შორის საავტომობილო მიმოსვლა დროებით შეწყვეტილია. მოძრაობა განახლებული იქნება ამ დღეებში. მანქანის საჩქაროთ შეკეთება სწარმოებს.

წერილები

„კაცია ადამიანი?“

(ს. გენდუში, ლეჩხ. მ.)

ეს იყო მიმდინარე წლის აპრილის თვეში. ტარასი ლუხუტაშვილი რევოლვერით თავს დაესხა წვრილ ცოლ-შვილის პატრონ გლეხს, ანტონ ქიღვარიას და სიცოცხლეს გამოასალმა ის.

ლუხუტაშვილს ქმართან ერთად წინააღმდეგობა გაუწია მოკლულის ცოლმაც. მაგრამ იარაღი ადამიანის ღონეზე უფრო მძლავრი აღმოჩნდა. თავდამსხმელთა თავისი ძმის დახმარებით ჯერ ქმარი მოჰკლა, შემდეგ კი ცოლს მიუბრუნდენ და სასიკვდილოთ დაიშავეს.

მას შემდეგ განვლო ხანმა. ქიღვარიას ოჯახს უბედურებაც ეყოფოდა, რაც თავს დაატეხა ძმებმა ლუხუტაშვილებმა. ამიტომ დაქვრივებულ - დაობლებული ოჯახი იმას ცდილობდა, რომ როგორმე არსებობა შეენარჩუნებია და თავდადებული შრომით მამის დაკარგვა შეემსუბუქებია.

მაგრამ ავი კაცი რის ავი კაცია, თუ მან „აღდგომასაც არ იავ-კაცა“. ლუხუტაშვილებიც ასე მოიქცნენ. მათ არ ეყოთ, რომ ოჯახის მარჩენალი კაცი მიწას მიაბარეს. შეუჩნდენ უპატრონოდ დარჩენილ ოჯახს და მოსვენებას არ აძლევდნენ.

მტრობა დიდებიდან პატარეებზედაც გადავიდა. შური ნათესაობაშიც ჩამოვარდა. მამებს შვილებმა დაუწყეს წაბაძვა. შურისა და მტრობის ნაპრალი ამ ორ ოჯახს შორის დღითი დღე იზრდებოდა, ყველა გრძნობდა, რომ ეს ამბავი სასიკეთოთ არ გათავდებოდა, რომ ხიფათი აუცილებლად მოხდებოდა. და ეს ლოდინი ფუჭი არ გამოდგა.

ამას წინად მოკლულ ქიღვარიას ძმის 16 წლის ქალი საქონელს მიდენიდა მახლობელ მინდორში. უეცრივ მას თავს დაესხა მკვლელის, ტარასი ლუხუტაშვილის შვილის - შვილი შალვა ლუხუტაშვილი და გაუპატიურება მოუნდომა.

ქალი გაიქცა. მაგრამ თავდამსხმელ შალვა ლუხუტაშვილს იარაღი თანვე ჰქონდა. ამოიღო, გამოუმიზნა ქალს, როგორც ნადირს და შიგ ფეხებში მიახალა ტყვია.

დაჭრილი, სისხლში გალებილი ქალი უსულოთ დაეცა მიწაზე. შალიკო მშვიდათ, ფეხაკრეფით მივიდა მასთან. მიიხედ-მოიხედა, ახლო რომ ვერავინ შეამჩნია, შეუდგა თავის მხეცურ ჟინის დაკმაყოფილებას.

ამ ამბავმა საშინელი აღშფოთება გამოიწვია არა მარტო სოფელ გენდუშში, არამედ მთელ ახლო - მახლო თემებში.

ბოროტმოქმედი და მისი ამქრები უკვე შეპყრობილნი არიან მაგრამ ამით გლეხკაცობის სამართლიან აღშფოთებას ბოლო არ მოეღება. აქა-იქ უკვე გაისმის ხმები: „რა ენაღვლებათ, ხუთ ექვს წელიწადს მიუსჯიან, მერე ამნისტია მოუსწრებს და ნაახალწლევს ისევ სახლში გეახლებიან ავაზაკებიო“.

საჭიროა დამნაშავეთა ადგილობრივათ, ს გენდუშში გასამართლება, საჭიროა სასტიკი სასჯელი მიეზღოს ჩვენი სოფლის ამ ხორცმეტებს, რომ ამით ერთხელ კიდევ დარწმუნდეს გლეხკაცობა საბჭოთა ხელისუფლების დაუნდობელ ბრძოლაში ყოველგვარ ბოროტებისა და უმსგავსოების წინააღმდეგ.

ბზიკი.

ნახევარი საუკუნის მანძილზე

(საგარეჯოს თეატრის იუბილეს გამო)

სოფ. საგარეჯოში პირველი წარმოდგენა დაუდგამთ 1876 წელს, სკოლის შენობაში ლევან ჩერქეზიშვილის რეჟისორობით უთამაშნიათ „ძუნწი“ და „უჩინ მაჩინის ქუდი“; ხალხი პირველ წარმოდგენას მეტის მეტი ინტერესით შეხვედრია და უთხოვიათ ხელმძღვანელთათვის ხშირად გაგვიმართედ ასეთი გასართობიო. უსახსრობის გამო, მეორე წარმოდგენა დაგვიანდა 1877 წლამდე.

ამ წელში იმავე სკოლის შენობაში გაიმართა მეორე წარმოდგენა. ამის შემდეგ გახშირდა წარმოდგენები სხვადასხვა ადგილებში. 1880 წლიდან კი წარმოდგენების მართვა დაიწყეს ნიკოლოზ გარსიაშვილის ეზოში. აქ სხვათა შორის დაუდგამთ „პეპო“ და წარმოდგენას იმდენი გლეხობა მისწყდეტია, რომ ბილეთების უქონლობის გამო ჩხუბიც კი ატეხილა და ერთმანეთისათვის თავპირი უმტვრევიათ. შემდეგ წლებში პიესები იდგმებოდა თევდორე გულისაშვილის სახლში; ხოლო ამის შემდეგ წარმოდგენებს მკვიდრი ბინა დაედვა ქურდაანთ ჩარდახში, სადაც ხშირად საბავშო დილაც იმართებოდა. წარმოდგენების მართვას სისტემატიური ხასიათი მეცა. ჩამოყალიბდა დრამატიული დასი. ამ დასის მონაწილეთაგან დღეს ბევრია ცოცხალი. დასის მუშაობა იმდენად გაიზარდა, რომ რამოდენიმეჯერ დაუდგამთ ერემია გულისაშვილის რეჟისორობით: „თამარ ბატონიშვილი“. — „სამშობლო“, „პეპო“. „მზის დაბნელება“, „არსენა“, „დროები მეფობენ“, „ცხოვრება ბრძოლაა“, „ტარტიუფი“. და სხვა. ხშირად იმავე დასს, მეზობელ სოფლებშიც გაუმართავს წარმოდგენები. (მაგ. გიორგიწმინდას, თოხლიაურს, მანავს და სხვ.).

ამის შემდეგ იმდენათ მომწიფებულა საგარეჯოში თეატრისადმი ხალხის ლტოლვა, რომ დაიბადა სურვილი თეატრისათვის შენობის აგებისა; 1907—8 წელს და უფრო წინათაც დასმა აიღო მაქარა პეპანოვის სახლი, სადაც ნიკო ლეჟავას და იერემია ჟულისაშვილის რეჟისორობით იდგმებოდა წარმოდგენები, რომლის შემოსავალი გადადიოდა თეატრის ასაშენებელ ფონდისათვის. 1910 წელს ნიკო ბაზიეროვის თაოსნობით სოფელმა საძირკველი ჩაუყარა დღევანდელს თეატრის შენობას, რომლის დასრულება 1914 წელს მოხერხდა.

1914 წლიდან იწყება საგარეჯოს თეატრის ახალი ხანა. გაჩნდენ ახალი ძალები, რომელნიც ენერგიულად შეუდგენ მუშაობას და გლეხური მასები იმდენად დააინტერესს, რომ თეატრს უფრო ეტანებოდენ ვიდრე საეკლესიო დღესასწაულებს; თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც თეატრში გარყვნილების მეტს არაფერს ხედავდა, მაგრამ ასეთების რიცხვი ერთობ მცირე იყო. ხოლო 1921 წლიდან დაარსდა ახალი დრამატიული კოლექტივი ალექსანდრე ბურთიკაშვილის რეჟისორობით; დღემდე თუ ადგილობრივი მსახიობები საქველმოქმედო მიზნებით მუშაობდენ, ახლა უკვე მსახიობმა ხელობათ გადააქციეს და ყველა თავის ნაშრომში ღებულობდა სასყიდელს, რამაც მნიშვნელოვნად წინ წასწია მუშაობა.

1922—23 წლებიდან უფრო გაცხოველდა წარმოდგენები. აქ ერთსა და იმავე დროს მუშაობა დაიწყო სამმა დასმა: „დრამატიულ - კოლექტივმა“, „ახალგაზრდათა დრამატიულმა წრემ“ და „კომკავშირელების დასმა“. ეს უკანასკნელი წარმოდგენებს სდგამენ უფასოთ! 1924 წელს ხსენებულს დასებს მიემატა ქართული ლეგიონის დასიც, რომელიც საფარაკოთ იყო ჩამოსული და აგრეთვე „საოპერო დასიც“ ივ. კობახიძის რეჟისორობით;

1924 წელი იყო საგარეჯოს თეატრის ყველაზე ხალისიანი წელი. უკანასკნელად დასების ხელმძღვანელნი დაიფანტნენ და თეატრის მოძრაობაც ჩაქრა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე თეატრის დარბაზის შეუკეთებლობამ, დეკორაციების უქონლობამ, რეკვიზიტის სიმცირემ და საერთოდ ტეხნიკურად მოუწყობლობამ. იმედია, იუბილე, რომელიც მალე იქნება გადახდილი, გამოასწორებს საგარეჯოს თეატრის დღევანდელ მდგომარეობას და კვლავ გააცხოველებს მის მუშაობას. ეს კი შესაძლებელი იქნება, თუ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო აღმასკომმა და სხვა ადგილობრივმა გავლენიანმა ორგანიზაციებმა.

ხ. მთვ—ძე.

წერილებიდან

ს. ხოვლე (გორ. მ.)

მოგვეცით გზა. დიდი ხანია რაც სწარმოებს მუშაობა ჩვენი სოფლის სადგ. გრაკალთან პირდაპირი გზით შესაერთებლად. სამუშაო თითქმის სანახევროდ დამთავრებულია. გზის დასრულებას ხელს უშლის სოფელ დუესის, ყარალაჯის, და გრაკალის წინააღმდეგობა. ამ სოფლებს არ უნდათ, რომ ადგილი დასთმონ გზის გასაკეთებლად. საჭიროა ამ საქმეში მაზრის ენერგიული ჩარევა.

ვანო ხოვლელი.

ს. ნინო-წმინდა. (გარე-კახ.)

სამკითხველო უნდა გავხსნათ. აქ კარგა ხანია სამკითხველო არსებობდა. ამ ბოლო ხანს თბილისის პოლიტგანმა (ალბათ უსახსრობის გამო) სამკითხველო დაგვიკეტა. გლეხები მიჩვეულნი არიან ჟურნალ - გაზეთების კითხვას და ხმამაღალ კითხვის მოსმენას. სამკითხველო საუკეთესო კულტურული კერა იყო ჩვენს სოფელში. ამ მდგომარეობას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. თბილისის აღმასკომმა ან ადგილობრივ ხელისუფლებამ უნდა გაგვიხსნას სამკითხველო.

სოფლის ქრონიკა

— **სამხრეთ-ოსეთის** პროფკავშირებში ამჟამად ირიცხება 1.000 მეტი წევრი.

— **ბორჩალოს** სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა 573.677 მანეთის რაოდენობით.

— **კომუნალურ მეურნეობის** საქმეზე მომავალ წელში ბორჩალოს აღმასკომი დახარჯავს 222 ათას მან.

— **ბაშკიჩეთის** რაიონში არსებული მიწის ფონდი დასამუშავებლად გადაეცა გლეხკომს.

— **საძოვრები.** სამხრეთ-ოსეთის მიწათ-მოქმ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო შეუდგა საძოვრების საკითხის მოგვარებას.

— **გორის** აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა კომუნალური ბანკის წინაშე, რომ შინდისის აღმასკომს აგურხანის და საკრამიტეების მოსაწყობათ მიეცეს სესხათ 5ათასი მან.

მუშათა ცხოვრება

წარმოება ავსწიეთ 850 პროცენტით

კამოს სახელობის საფაბრიკო - საქარხნო სახელოსნოს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქარხნებისათვის, აქ სწავლობენ ჩვენი მომავალი ხელოსნები, ახალგაზრდები. ეს სახელოსნო ტეხნიკურად ფრიად დამაკმაყოფილებელია. შენობაში მოწყობილია სახელოსნოს კლუბი, სამკითხველო, სხვადასხვა წრეები, და ყველა მოწაფეები, რომელნიც სწავლობენ ხელობას, ბინადრობენ ამ შენობაშივე.

სახელოსნოში სდგას შემდეგი მანქანები: ელსადგურში ორი მოტორია; ერთი **„დინამო“** და მეორე **„ტანკის სისტემისა“** თითოეულ მანქანას აქვს 25 ცხენის ძალა. ამ სახელოსნოში დამზადებულია მთელი 9 თვის განმავლობაში შემდეგი მასალები:

ა) სამჭედლო საამქროში სხვადასხვა შეკვეთები სულ 2,436 ცალი, ხელსაწყო იარაღები—606 ცალი, და რამოდენიმე ლუმელის კარის ნაწილები.

ბ) საზეინკლო საამქროში.—სხვადასხვა ხელსაწყო იარაღები 958 ცალი.

გ) სადურგლო-საამქროში—მაგიდები, დგამები, დაფები და სხვა—3.226 ცალი.

დ) სამექანიკო საამქროში — ჩარხები, ხახარატო სახვრეტი და სხვა იარაღები 195 ცალი.

ე) ჩამომსხმელ საამქროში სხვადასხვა თუჯის სასხმელი 1.359 ფუთი, თითბრისა კი 65 ფუთი.

ზ) საიარაღო საამქროში — სხვადასხვა იარაღები 228 ცალი.

1923 წ. 1 სექტემბრიდან 1924 წლის 1 აგვისტომდის **წარმოება აწეულია 500 პროცენტით** 24 და 25 წლებთან შედარებით 1926 წელს წარმოება **განვითარდა 850 პროცენტით.**

მუშკორი—ვარდენი.

მუშა - მოსამსახურეთა კრედიტისათვის

ჩვენ წარმოება - დაწესებულებებში დაბალი კვალიფიკაციის მუშა - მოსამსახურეები, რომ შედარებით მცირე ხელფასს იღებენ, ეს ყველასათვის ცხადია. ზამთარი ახლოვდება.

წვრილი ცოლ-შვილის პატრონი მუშა-მოსამსახურეები, წარმოსადგენია, თუ რა რიგ შეწუხებული იქნებიან იმ მდგომარეობით, რომ ერთი თუ ორი კვირის შემდეგ, უპალტოოდ გარედ არ გამოესვლება არც მას და არც მის ოჯახის წევრებს და რომ ამჟამად შეშა და სათბობი მასალა არ მოიმარაგოს, როგორ დღეს დააყენებს მას თბილისში ჩვეული სუსხიანი ზამთარი.

საერთოდ, ეს მდგომარეობა არ დარჩენილა შეუმჩნეველი საკავშირო პროფკავშირთა საბჭოსაგან და რამდენიმე დღეების უკან, ცალკე კავშირების ცენტრალურმა გამგეობებმაც თავიანთი აზრი გამოსთქვეს, აღნიშნულ საკითხის გარშემო ე. ი. მუშა-მოსამსახურეთათვის კრედიტის მიცემის შესახებ, არც ერთი კავშირის გამგეობას უარყოფითი აზრი არ გამოუთქვამს, მსჯელობდენ მხოლოდ იმაზე, თუ რა სახით მიეცეს მუშა-მოსამსახურეებს სესხი. ფულის სახით, თუ ნატურით.

თუ რომელი უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ამას ჩვენ აქ არ გამოუდგებით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ წარმოება - დაწესებულებაში ტეხნიკურად რომელი სახე კრედიტისა იქნება მოსახერხებელი. ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ დაბალი კვალიფიკაციის მუშა-მოსამსახურეები აუცილებლად საჭიროებენ ჯამაგირის ერთი თვის განაკვეთის რაოდენობით კრედიტს, სამი ან ოთხი თვის ვადით. ეს ყველასათვის აშკარაა, ვინც დაახლოვებით იცნობს დაბალი კვალიფიკაციის ხელფასის განაკვეთებს.

ამიტომ საჭიროა პროფკავშირთა საბჭო ჩაერიოს აღნიშნულ საკითხის მოგვარებაში და როგორც შესაძლებელი იქნება (ნატურით თუ ფულით) გაატაროს ცხოვრებაში მუშა-მოსამსახურეთა ნისიაობა იმ დარგებში მაინც, რომელთა ხელფასი სამოცდაათ-ოთხმოც მანეთს არ აღემატება.

წარმოება - დაწესებულებებში ადგილკომების აქტიური დახმარებით, უმტკივნეულოდ შეიძლება აღნიშნულ საკითხის მოგვარება, რითაც ხელმოკლე მუშა - მოსამსახურეები დიდ შეღავათს იგრძნობენ კრედიტის მიცემით.

მუშკორი—თითკოლი.

ნუ დაღუპავთ ამ ბაღს

(მიწათ-მომწყობი სასოფლო - სამეურნეო შრომის არტელის „ბაღ შრომის“ გამგეობის საყურადღებოთ).

ჩვენი სტამბის ადგილას, სადაც იმყოფებიან ორი რედაქციები გაზ. „კომუნისტი“-ს და „მუშა“-ს, გვქონდა ცარიელი მოედანი, რომელიც იყო უსარგებლოდ მიტოვებული. ამ მოედანზე სტამბის გამგემ ამხ. მინდიაშვილმა დაიწყო ბაღის გაშენება, რისთვისაც დაიხარჯა ფული. ამ ბაღს, როგორც სტამბის მუშებისათვის, ისე გაზეთების რედაქციების თანამშრომლებისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლია. მაგრამ ამხ. მინდიაშვილმა უსახსრობის გამო ამ ბაღის გამშვენიერებას თავი მიანება და დღეს ეს ბაღი იმყოფება ძალიან ცუდ მდგომარეობაში.

საჭიროა ზემოხსენებულმა არტელის გამგეობამ მიაქციოს ამ პატარა ბაღს ყურადღება და მოგვიწყონ იგი, როგორც წესი და რიგია.

მუშ—დალაქიანი.

ესეც ადგილკომის თავმჯდომარეა

თბილისის საყუდის ადგილკომის თავმჯდომარე ვ. დიმიტრაშვილი. მთელ დღეებით არ იმყოფება თავის ადგილას. მას ნახავთ მხოლოდ „კანტორშიცა“ **კუდუხაშვილის ქალთან**, იყო შემთხვევა, როდესაც ერთმა მუშამ მიმართა მას ახსნა-განმარტებისათვის, მაგრამ მუშამ ასეთი მისგან ვერ მიიღო. მუშამ მეორეთ მიმართა, ეს თავმჯდომარემ იუკადრისა და დაუწყო მას ყვირილი და გინება. ასეთივე შემთხვევა იყო 16 აგვისტოს, ამ დღეს ადგილკომში მას მუშები ელოდებოდნენ სხვადასხვა საქმეებისათვის, ის კი კუდუხაშვილთან ტკბილ მასლაათში იყო, და როდესაც გამოუძახეს მან დაიწყო ყვირილი და მუქრება.

დროა ასეთ „პროფმუშაკს“ მიუჩინოთ მისთვის საკადრისი „ადგილი“.

მუშკორი — მახვილი.

მუშათა სახლი ეწყობა

ქალაქ თბილისის აღმასკომმა გადასცა ტრამვაის ადმინისტრაციას პლეხანოვის და მუშტაიდის ქუჩის კუთხეზე მდებარე ადგილი, რომელზედაც უნდა აშენდეს ტრამვაის მუშათა სახლი. უზარმაზარი სახლის აშენება უკვე დაიწყო.

ბევრი გაჭირვებული და შორს მცხოვრები მუშა-მოსამსახურე ელოდება მოუთმენლად შენობის დამთავრებას. სარდაფებსა და დარაბებში ჩასახლებული ტრამვაის მუშა-მოსამსახურენი — ახლო მომავალში გადმოვლენ საცხოვრებლად მშვენივრად მოწყობილ სახლში.

იმედია, ტრამვაის ადმინისტრაცია აირჩევს კომისიას ყოველ მუშა-მოსამსახურის საცხოვრებელ ბინას დაათვალიერებს და დაკვირვებით გაანაწილებს ბინებს. და რამოდენიმე მუშა-მოსამსახურის ოჯახს მაინც დააკმაყოფილებს.

მუშკორი—ჯაევი.

მუშათა ქრონიკა

თვითმკვლელობა

17 სექტემბერს, თბილისის საყუდში მომუშავე მემანქანის თანაშემწემ **პოლიკარპოვმა** თავი მოიკლა თავის ბინაზე . მიზეზი გამოურკვეველია.

— **მუშათა ექსკურსია ბაქოში.** შაბათს პლეხანოვის სახელობის კლუბი აწყობს ექსკურსიას ბაქოში. ექსკურსიაში მონაწილეობა იღებენ აღნიშნული კლუბის ყველა წევრები.

— **ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.** სად. რუსთავის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ადგილკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

— **25 წევრი.** სად. რუსთავის ურთი-ერთ დამხმარე სალარო აერთიანებს ოცდახუთ წევრს. სალარო შეძლებისდაგვარად, საგრძნობ დახმარებას უწევს თავის წევრებს, სალაროში ირიცხება სულ **96 მან. და 84 კაპ.**

— **სცნეს დამაკმაყოფილებლად.** სად. რუსთავის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ურთი ერთ დამხმარე სალაროს მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად.

— **კავშირში გადარიცხვა.** ამავე სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ კავშირში გადარიცხა სადგურ რუსთავის მეისრე ვ. კაპანაძე.

პროფკავშირებში

პრაქტიკული მოწაფეობა

პრაქტიკანტ-მოწაფეობის საკითხიც მოითხოვს გარკვეულობას. ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მოწაფეთა ზედმეტი მუშაობა, მათი არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენება და სხვ., ჩვეულებრივი მოვლენაა. საჭიროა პრაქტიკულ მოწაფეობას მიეცეს გეგმიანი ხასიათი.

კავშირის ცეკას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოება-დაწესებულებებში პრაქტიკულ მოწაფეთა თვალყურის სადევნებლად სპეციალური კომისიების მოწყობა. ეს ჩვენშიაც უნდა გატარდეს.

მთავარ ყურადღებას მოითხოვს მოწაფეთა ტარიფიკაციის მოწესრიგებაც. ამის შესახებ არსებული მასალები მოწმობს, რომ ზოგიერთ ქალაქებში მოწაფის მეორე ხარისხში გადასაყვანად საჭიროა ერთი წელი. ზოგან კი 3—4 წელი. ამ არანორმალურ მდგომარეობას ჩვენშიაც აქვს ადგილი. ეს საკითხიც მოითხოვს მოწაფეთა ხელფასის მოწესრიგებას იმ მხრივ, რომ ტარიფიკაცია დამოკიდებული იყოს შესწავლის დროსა და მოწაფის მიერ მიღებულ მიღწევებზე.

ახალგაზრდათა ჯანმრთელობაზე ზრუნვა პირველმნიშვნელოვანი საკითხია.

კავშირის ცეკას მიერ შეგროვილი მასალა კი მოგვითხრობს, რომ წარმოება-დაწესებულებების ახალგაზრდობაში ავადმყოფი აღმოჩნდა ოდესაში 70 პროც., მოსკოვში—65 პროც., აზერბაიჯანში—45 პროც., ლენინგრადში—63 პროც. ჩვენშიაც ასეთი მდგომარეობაა.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ ახალგაზრდათა სამუშავო პირობები ჯერ კიდევ სათანადოთ მოწესრიგებული არ არის. ჯერ კიდევ მას ბევრი ნაკლი ახასიათებს, რის გამო საჭიროა სათანადო ზომების მიღება.

ალ. თურქია.

პროფმუშაობის ქრონიკა

ა.-წ. 8 აგვისტოს ჭიათურაში შესდგა პროფბიუროს და კავშირების სამ. განყოფილებების გაერთიანებული კულტკონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა ს.პ.კ. ს. კულტგანყოფილების სადირექტივო წერილი პროფკავშირების მუშაობის შესახებ, სასკოლო საკითხების გარშემო.

საკლუბო მუშაობა. ახალციხეში შესდგა ყველა პროფკავშირების გაერთიანებული კულტკომისიების თათბირი, რომელმაც იმსჯელა საკლუბო მუშაობის გეგმის შესახებ.

არჩეული იქნა კლუბის დროებითი გამგეობა, რომელსაც მიენდო ყველა საორგანიზაციო საქმეების შესრულება.

გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

(საუბარი რუსეთ-გერმანიის სავაჭრო საზოგადოების გამგეობის წევრთან მ. გრაჩევსკისთან).

თბილისში ჩამოვიდა რუსეთ-გერმანიის სავაჭრო საზოგადოების გამგეობის წევრი ამხ. **მ .გრაჩევსკი**, რომელმაც გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ შემდეგი განაცხადა:

რუსეთ-გერმანიის სავაჭრო საზოგადოებას „რუსგერტორგს“ საფუძველი ჩაეყარა ამ 4 წლის წინათ. ეს ის დრო იყო, როცა გერმანიის საქმიანი წრეები არ იცნობდენ კარგათ საბჭოთა კავშირს და სადი წარმოდგენა არ ჰქონდათ მისი ეკონომიკის შესახებ.

ჩვენ შევსძელით ამ მიმართულებით მუშაობის გაფართოვება და ძველ აზროვნებას გერმანიის საქმიან წრეებში ნიადაგი გამოეცალა. ჩვენ შევსძელით რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ურთიერთობაში ჩაგვება გერმანიის სავაჭრო ფირმების მთელი რიგი.

ვალების დროიანათ გასტუმრება, ჩვენი კრედიტ-უნარიანობის გაძლიერება და საიმპორტო-საექსპორტო საქმის გაფართოება-ნათელყოფს ჩვენს ეკონომიურ სიძლიერეს, რამაც დიდი ნდობა მოგვიპოვა გერმანიის საქმიან წრეებში.

უკანასკნელ ხანებში გერმანიის საქმიან წრეებში დიდი ყურადღება მიექცა გერმანია საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების საქმეს.

ყოველივე ამ გარემოებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთ-გერმანიის სავაჭრო საზოგადოებამ გააფართოვა თავისი სავაჭრო ოპერაციები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამჟამად გერმანიის „დეიჩეს“ ბანკში ჩვენ გვაქვს დიდი კრედიტები.

„დეიჩეს“ ბანკი აწარმოებს ჩვენი თამასუქების აღრიცხვას, გვაძლევენ საჭირო სესხს საქონლის შესაძენათ და სხვ.

გერმანიის სავაჭრო ფირმები მზათ არიან დასდონ ჩვენთან ხელშეკრულება, რომლის ძალით, ისინი დიდი სიამოვნებით მოგვაწვდიან ჩვენ საჭირო საქონელს ნისიათ და შეღავათიან პირობებში.

რუსეთ - გერმანიის სავაჭრო საზოგადოებაში ჩატარდა რეორგანიზაცია. ეს გარემოება გამოწვეული იყო საგარეო ვაჭრობის კომისარიატთან ახალი საექსპორტო საბჭოთა ტრესტების დაარსებით.

ჩვენს მიერ მსხვილ ქიმიურ კონცესიონერებთან — „იგესთან“ დადებულია ხელშეკრულება, რომელიც მოგვაწვდის ჩვენ ქიმიური საქონლის დიდ პარტიას.

რუსეთ - გერმანიის სავაჭრო საზოგადოება მუშაობას შეუდგება ამა წლის 21 სექტემბრიდან.

საუბრის დასასრულ გრაჩევსკიმ განაცხადა:

მსხვილი კრედიტების მიღების შემდეგ, ჩვენ დავიჭერთ თვალსაჩინო ადგილს გერმანიის საგარეო ვაჭრობაში.

სამოსწავლო წელი დაიწყო

ყველა შრომის სკოლებში მეცადინეობა დაიწყო ამა წლის 15 სექტემბრიდან.

მრავალ ადგილას შეკეთებული იქნა სკოლის შენობები.

გარდა ამისა ზოგიერთ მაზრებში გახსნილია ახალი სკოლები.

აღსანიშნავია, რომ წელს სასწავლებლებს მრავალი მოწაფე მოაწყდა.

მაზრებში პირველი და მეორე საფეხურის სკოლები უზრუნველყოფილია სამოსწავლო ნივთებით.

სკოლები უზრუნველყოფილია აგრეთვე მასწავლებელთა საჭირო პერსონალით.

მაზრებში ეხლა დიდი მოთხოვნილებაა სიტყვიერების, მათემატიკის, ფიზიკოსების, აგრონომების და სხვა დარგის მასწავლებლებზე. განათლების კომისარიატის მიერ ამ მიმართულებით მიღებულია ენერგიული ზომები.

წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში მიღების საკითხს; ჩამორჩენილ მაზრებიდან ჩამოსული ახალგაზრდები მიღებულ იქნენ სასწავლებლებში.

სამეცადინო გეგმები უკვე დაეგზავნა შრომის სკოლებს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი მუშაობა სამოსწავლო წლის დასაწყებათ წარმატებით ჩატარდა.

საკმაო მუშაობაა აგრეთვე ჩატარებული სასკოლო საქმის აღმშენებლობის დარგში.

ანდამატური გადაღება

საქართველოს მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიის საანდამატო განყოფილება, რომელიც იმყოფება კოსანში (მცხეთის ახლო), ამჟამად აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას საქართველოს ანდამატურ გადაღებისათვის. გადაღების მიზანია მადნეულობის,უმთავრესად რკინის მდებარეობის გამონახვა, ეს წესი აგებულია ანდამატურ გადახრათა დაკვირვებებზე და გამოყენებულ იქნა კურსკის ანომალიის შესწავლის დროს.

ობსერვატორიის მოსამზადებელი მუშაობა მიდის ორი გზით: 1) ანდამატურ გადახრის რამდენიმე წლის განმავლობაში დაგროვილ დაკვირვებათა გადამუშავება და 2) ინიშნება პუნქტები, სადაც უნდა მოხდეს დაკვირვებები.

განყოფილებას საკმაო რაოდენობით აქვს საველე იარაღები გადაღებათა საწარმოებლად. გადაღება დაიწყება მომავალ წელს.

რემედასი

— **ფუნქციათა განსაზღვრა.** რემედასის თბილისის კომიტეტის პლენუმის დადგენილებით, გადაწყვეტილია თბილისის კომიტეტისა და რემედასის ც. კ. შორის ფუნქციათა განსაზღვრა და საკუთარი ტეხნიკური აპარატის შექმნა.

— **კამპანიები.** რემედასის ცეკას ინიციატივით, ამჟამად პროვინციებში მიმდინარეობს კამპანიები გლეხების რემედასის წევრებათ მიღებისათვის.

— **აღრიცხვა.** ამჟამად რესპუბლიკაში მიმდინარეობს რემედასის წევრთა ხელახალი აღრიცხვა, რომელიც დასრულდება ოქტომბრისათვის.

სატყეო მეურნეობა

დაბრუნდა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გორდა - კინჩხის რაიონში მივლინებული სპეციალური კომისია პროფ. **ქურდიანის,** აგრონომ **დ. სამადაშვილის** და მეტყევე **გ. ბრეგაძის** შემადგენლობით; კომისიას დავალებული ჰქონდა ადგილობრივ მოეხდინა სასოფლო და სატყეო მეურნეობის პირობების გამოკვლევა და საჭირო ღონისძიებების გამომუშავება.

კომისიამ ხსენებულ რაიონის მეურნეობების გასაუმჯობესებლად გამოიმუშავა მთელი რიგი ზომებისა აღნიშნულ რაიონში სასოფლო და სატყეო მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ამისათვის კომისარიატმა უკვე გადასდო საჭირო თანხა.

მეხილეობა

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით, სოფ. ტყვიავში მოწყობილი იყო მეხილეობა - მებაღეობის მოკლევადიანი კურსები, რომელზედაც სწავლობდა 40-ზე მეტი მსმენელი ახალგაზრდა გლეხი.

კურსებს ხელმძღვანელობდენ მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ გაგზავნილი მებაღე აგრონომი - სპეციალისტები, რომლებიც ასწავლიდენ თეორიულად და უმთავრესად კი პრაქტიკულად მებაღეობა-მეხილეობას.

კომისარიატს განზრახული აქვს მომავალშიაც მოაწყოს მეხილეობა - მებაღეობის კურსები სხვა რაიონებში,სადაც გაიწვრთნებიან ახალგაზრდა მებაღე გლეხები.

აკ. ლაზარევი თბილისში

გუშინ აკადემიკოსმა **პ.ლაზარევმა** დაათვალიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი კაბინეტი: ფიზიკური და ფიზიოლოგიური.

აკადემიკოსი ლაზარევი დაწვრილებით გაეცნო ამ კაბინეტების სამეცნიერო მუშაობას.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში აკად. ლაზარევმა განაცხადა:

აღნიშნულ კაბინეტებში მუშაობა დაყენებულია სათანადო სიმაღლეზე. ფიზიოლოგიურ კაბინეტს პროფ. **ბერიტაშვილის** ხელმძღვანელობით აქვს დიდი მიღწევები და იმ ცდებს, რომელსაც პროფ. ბერიტაშვილი აწარმოებს აქვს ორიგინალური ხასიათი.

მე დავათვალიერე აგრეთვე ზაჰესი. გავეცანი დაწვრილებით იქ წარმოებულ მუშაობას და უნდა ითქვას, რომ საქართველოში აღმშენებლობითი მუშაობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ზაჰესი ამის დამამტკიცებელი ფაქტია.

გარდა ამისა, მე გავეცანი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მუშაობას.

აკადემიკოსი ლაზარევი დღეს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: **„მსოფლიო თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით“.**

კვირას, 19 სექტემბერს, აკადემიკოსი ლაზარევი გაემგზავრება მოსკოვში.

მუშკოოპში

ამჟამად მუშკოოპში მიმდინარეობს სხვადასხვა განყოფილებათა რეორგანიზაცია და გადაჯგუფება.

რეორგანიზაციის მიზანია მუშკოოპის სავაჭრო აპარატის შეთანხმება - შეგუება ბაზრის მოთხოვნილებასთან. თბილისში და მის მაზრაში იყო ბევრი ისეთი რაიონი, სადაც მუშკოოპს არა ჰქონდა თავისი განყოფილება, სამაგიეროთ ასეთ რაიონებში გავრცელებული იყო კერძო ვაჭრობა.

მუშკოოპის სავაჭრო აპარატის ბაზართან შეგუება გამოიხატება იმაში, რომ ასეთ რაიონებში გახსნის თავის განყოფილებებს და ივაჭრებს ისეთი საქონლით, რაზედაც მეტი მოთხოვნილება იქნება.

რეორგანიზაცია დასრულდება 1 ოქტომბრისათვის. ამავე ხნისთვის გაიხსნება ახალი მაღაზიები სიონის უბანში.

ლაბორატორიის მიღება

ს. მ. უ. ს. მიერ ამ დღეებში შეძენილი იქნა ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს (ჩემო) ყოფ. ლაბორატორია, რომელიც უმდიდრეს ლაბორატორიათ ითვლება სამთო-ქიმიურ დარგში.

აღნიშნული ლაბორატორია უკვე მიიღეს თბილისში და ახლო ხანში გადაიტანენ სამთო განყოფილების ახალ ლაბორატორიის ბინაზე, რომელიც ეწყობა ყოფ. მე-4 თამბაქოს ქარხნის შენობაში.

ბავშვის შვილად აყვანის შესახებ

საქართველოს ცენტრალურმა აღმასკომმა ქორწინების შესახებ გამოცემულ კანონის მე-5 თავში შეიტანა შესწორება: ეს მუხლი ეხება სხვისი ბავშვის შვილად აყვანის საკითხს.

ახალი შესწორების მიხედვით, შვილობის წესი შეცვლილია შემდეგნაირად: შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ მცირეწლოვანის და არა სრულწლოვანის. შვილობის წესი უნდა ხდებოდეს მცირეწლოვანის ინტერესების დაცვის კარნახით.

შვილობის უფლებას მოკლებული არიან ის პირები, რომელთაც წართმეული აქვთ საარჩევნო და მშობიარობის უფლება. შვილობის უფლება აგრეთვე არა აქვთ მცირეწლოვანებს.

10 წლის და ამაზე გადაცილებულ ბავშვების შვილად აყვანა ხდება მხოლოდ ბავშვების თანხმობით და ნებაყოფლობით.

თუ შვილად ასაყვან ბავშვს ყავს მშობლები, გაშვილება უნდა მოხდეს მშობლების თანხმობით. დაქორწინებულ პირს არა აქვს უფლება ვინმეს შვილად აყვანის, თუ მეორე მხარე (მეუღლებული) არ განაცხადებს ამის სურვილს. შვილად აყვანა ხდება სამზრუნველო და სამეურვეო ორგანოების საშუალებით და მმაჩში რეგისტრაციაში გატარების გზით.

სამედიცინო ტეხნიკუმი

ჯანსახკომის სამეანო - გინეკოლოგიურ ტეხნიკუმთან არსებულ სამედიცინო ტეხნიკუმში შეტანილი იყო სულ 280 მასალები განცხადება. აქედან მიიღეს მხოლოდ 190 მთხოვნელი.

სწავლა დაიწყება 21 სექტემბრიდან.

რკინის გზაზე

მატარებლის გაწყვეტა

16 სექტემბერს ღამით წიფა-მოლითის შუა გაწყდა საბარგო მატარებელი, რომელიც შესდგებოდა 34 დატვირთული ვაგონისაგან.

მატარებელი მოლითში ჩაიყვანეს ორ ნაწილად.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მატარებლების დაგვიანება მოლითში და წიფაში.

უბედურ შემთხვევებს ადამიანის მხრივ ადგილი არ ჰქონია. მიზეზს იკვლევენ.

უბედური შემთხვევა

16 სექტემბერს დილით, სადგ. ზესტაფონში ორთქლმავალიდან გამოშვებული ცხელი წყალი შეესხა იქვე მდგომ მემანქანის თანაშემწეს **ხიდირბეგიშვილს,** რომელიც მაშინვე გარდაიცვალა.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტი მოქალაქეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ 21—25 სექტემბრამდე, მლაშე ტბების რაიონში (ქალაქ თბილისის აღმოსავლეთ მხარე), სოფელ ოლგინსკოესაკენ მიმავალ გზის მარცხნივ, ყოველდღე აფეთქებენ უვარგის ყუმბარებს და ვაზნებს.

სახლების გადაცემა მუშკოოპზე

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, დამტკიცდა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება პირაგოვის ქ. № 1 და კირკის ქ. № 7 მდებარე სახლების მთლიანი მუშათა კოოპერატივის საკუთრებათ გადაცემის შესახებ.

თემები

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა თავის წინანდელი დადგენილების შესაცვლელად დაადგინა: დატოვებულ იქმნენ როგორც გამონაკლისი ოზურგეთის მაზრის ოზურგეთის თემი და ქუთაისის მაზრის ბაში თემი.

შორაპნის მაზრის რუქა

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა შეუკვეთა ტოპოგრაფ ბარამიძეს შორაპნის მაზრის რუქა. რუქა მზად იქნება რამოდენიმე კვირის შემდეგ.

თბილისის აღმასკომში

— **ტყის გაშენება.** მომავალ წლიდან შეუდგებიან კოჯორის და მანგლისის განადგურებული ტყეების ხელოვნურად აღდგენას.

— **აგროპუნქტების** სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად საადგილ-მამულო განყოფილება აწყობს მოძრავ სახელოსნოებს.

— **მაზრაში სანიტარული** პირობების დასაცავად გადიდებულ იქნება სანიტ-მუშაკთა შტატი.

— **საჩვენებელი საფუტკრე.** საგარეჯოში ეწყობა საჩვენებელი საფუტკრე.

შრ. სახ. კომისარიატში

— **ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა** სასარგებლოდ შრ. სახ. კომისარიატის თანამშრომლებმა ერთხმად გადასწყვიტეს ყოველთვიურად გადასდონ ჯამაგირის ერთი პროც.

— **მუშაობის გეგმა.** შრ. სახ. კომისარიატი შეუდგა მომავალი წლის მუშაობის გეგმის შედგენას.

— **კრებული.** შრ. სახ. კომ. გამოსცა მიმდინარე წელში მოქმედ კანონთა კრებული საალფაბეტო-საგნობრივი და ქრონოლოგიური მაჩვენებელით.

დაზღვევა

— **სოცდაზღვევის სამმართველო** იმუშავებს ახალ წესს მოიჯარადრეებისაგან დასაზღვევი ანარიცხების აკრეფის შესახებ.

— **საზოგადო სამუშაოების მოსაწყობათ,** სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასდო 42.840 მან.

სახალხო განათლება

— **სკოლა.** თურქ გლეხ-ახალგაზრდობისათვის სოფ. კიზალ-აჯალოში ხსნის სკოლას.

— **ფილიპოვის საბუღალტერო** კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 25 ოქტომბერს. იქვე იხსნება უმაღლესი საბუღალტერო კურსები.

მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატში

— **მეხილეობა.** მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატი ახლო მომავალში შეუდგება მეხილეობის რაიონების გამოკვლევას.

— **ტყის დაცვა.** თბ. აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის წინაშე, რათა თბ. მაზრის ტყეების დასაცავად გაადიდოს ტყის მცველთა რაზმი.

სას.-სამეურნეო ბანკში

— **საკრედიტო კოოპერაციის** საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად ა.-კ. სასოფლო ბანკმა შეიმუშავა ახალი გეგმა.

— **საუკეთესო თამბაქოს** დასამზადებლად ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა აფხაზეთის სას.-სამ. ბანკს სესხად მისცა 575.000 მან.

სხვადასხვა

— **საქონლის გატანა.** მომავალ სამეურნეო წლიდან ა.-კავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილი იქნება აბრეშუმის პარკი, ტყის მასალა და თამბაქო.

— **ტრაქტორიზაცია.** ა.-კ. ცალკე რესპუბლიკების მიწად-მოქ. სახ. კომისარიტები შეუდგენ ტრაქტორზე მომუშავეთა კურსების ტრაქტორების შესაკეთებელ სახელოსნოების მოწყობას.

— **პური.** მომავალ წლიდან ა.-კ. პურს შემოიტანენ „ხლებოპროდუქტი“—მთელი საჭიროების 75 პროც., ხოლო სახ. ბანკი—25 პროც.

— **შეშა.** ა.-კ. რკინისგზით ა.-კ. ქალაქებისათვის დღეში შემოტანილი იქნება 80 ვაგონი შეშა ა.-კ.-სხვადასხვა სატყეო რაიონებიდან.

— **ოსების კრება.** კვირას, 19 სექტემბერს, დილის 10 საათზე 104 სკოლაში (სურამის და ბატარეას ქ. კუთხე) დანიშნულია ოსურ საზოგადოებათა საერთო კრება.

მყინვარის წვერზე

(მთასვლელის შთაბეჭდილებანი)

მყინვარზე სვლის პირველი პიონერები

კავკასიონის თოვლიან გოლიათის შორის მყინვარ-წვერი (ყაზბეგი), თავისებურ სიდიადეს და სილამაზეს შეიცავს.

უცხოელ მოგზაურთა შორის აქ უნდა გავიხსენოთ მყინვარის პირველი პიონერი მკვლევარი, ცნობილი ინგლისელი მთასვლელი—**ფრეშფილდი,** რომელიც პირველად ავიდა მყინვარ -წვერზე 1868 წელს, ივნისის 19-ს.

მის შემდეგ კი მრავალი უცხოელი ადიოდა მყინვარ-წვერზე. 1901 წელს პირველად ავიდა ქალი **მარია პრეობრაჟენსკაია.** უკანასკნელ წლებიდან კი უცხოელ მოგზაურთა მსგავსად ქართულ მთასვლელთა ჯგუფიც ამოძრავდა.

1923 წელს დოცენტი **გიორგი ნიკოლაძის** მეთაურობით პირველ ქართულმა ექსპედიციამ 13 ვაჟისა და 5 ქალის შემადგენლობით, ბუქში 20 გრადუსიან ყინვაში, ყინულზე 1.200 ნაკიბური ასქრა და მყინვარ-წვერს მიაღწია. ეს იყო პირველი ასვლა მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით. ამით ჩაეყარა საფუძველი მთასვლელობას საქართველოში.

იმავე წელს პროფ. **ალ. დიდებულიძის** გეოფიზიკური ექსპედიცია ავიდა მყინვარ-წვერზე, ათი დღე ყინვარებზე დაჰყო, გამოიკვლია მყინვარ-წვერის მიდამოები მეტეოროლოგიის, აქტინომეტრიის, მაგნიტოლოგიის და ტოპოგრაფიის თვალსაზრისით. ამით საფუძველი ჩაუყარა მაღალ მწვერვალების მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

1925 წელს, მაშინ, როდესაც ქართველ მთასვლელთა ჯგუფი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალს—იალბუზს იმორჩილებდა, პროფ. **ალ. დიდებულიძის** სამეცნიერო ექსპედიციამ მეორედ ინახულა მყინვარ-წვერი და ეხლა კიდევ უფრო ნაყოფიერად დააგვირგვინა თავისი მუშაობა, მწვერვალზედ აეტანილ იქნა მეტეოროლოგიური ბუდრუგანა 7 ქოხი (47 გრადუსიანი მინიმალური თერმომეტრი).

ახალი ექსპედიციის გამგზავრება მყინვარ-წვერზე

მიმდინარე წლის ზაფხულს მთასვლელთა ჯგუფის ერთ ნაწილს განზრახული ჰქონდა მყინვარ-წვერზე ასვლა, მეორე ნაწილს, კი სვანეთში მოგზაურობა. თანხების დაგვიანებით მიღების გამო მთასვლელთა ექსპედიცია იძულებული გახდა მხოლოდ პირველი განზრახვა განეხორციელებია.

წინასწარი მზადება მთელი წელი გრძელდებოდა, მაგრამ ფულის მიღების შემდეგ კიდევ ბევრი რამ იყო შესაძენი და გასაკეთებელი, დრო კი ნებას არ გვაძლევდა დაყოვნებისათვის, ბევრი ჩვენგანი ქალაქშიც არ იმყოფებოდა და როგორც კი გავიგეთ, რომ საქართველოს მთაერობის თავმჯდომარე ამხ. **შალვა ელიავას** ჩვენი ექსპედიციისათვის 1.500 მან. ჩვენთვის გადაცემის შესახებ, მაშინვე ყველამ თავი მოვიყარეთ თბილისში.

ექსპედიციის შემადგენლობა

1 ენკენისთვეს ექსპედიცია 5 ქალის და 7 ვაჟის შემადგენლობით საქართველოს სამხედრო გზატკეცილით, ავტობუსზე სადგ. ყაზბეგისაკენ გაემგზავრა.

ექსპედიციას შეადგენდა: ექსპედიციის უფროსი **სიმონ ჯაფარიძე,** გეოფიზიკური ობსერვატორიის დამკვირვებელი ქალი—**ალექსანდრა ჯაფარიძე,** რომელსაც მინდობილი ჰქონდა ეწარმოებია მთელ ჩვენს მგზავრობის დროს მეტეოროლოგიური დაკვირვებანი, და რომელიც ორჯერ ავიდა პროფ. დიდებულიძის ექსპედიციასთან ერთად მყინვარის წვერზე; მასწავლებელი ქალი **ვ. კალანდარიშვილი;** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები **მარო ბეჟანიშვილი,** რომელიც 1923 წელს ავიდა მყინვარის წვერზე, 25 წელს კი იალბუზზე. **დარეჯან ნიკოლაიშვილი, ვერა ბეჟანიშვილი, არჩილ ბენაშვილი, ს. ჯავახიშვილი, ი. ბარათაშვილი, დ, მიქელაძე, ბ. ლორთქიფანიძე და მ. სესიაშვილი.**

ყაზბეგში

სადგ. ყაზბეგში, სადაც დაბინავდა ექსპედიცია, ცუდი ამინდი დაგვესწრო, და საჭირო იყო გამოდარებისათვის გვეცადა. 21 სექტემბერს ღამით მოსთოვა კი დეც.ადგილობრივი მცხოვრებნი საშინლად სწუხდენ უდროვოდ მოსულ ზამთრის გამო. ნათესები და სათიბები თოვლით დაიფარა.

ხევის პატარძალი მყინვარ-წვერი ბურუსმა მოიცვა.

3 სექტემბერს დღე და ღამე სწვიმდა. სიცივე მატულობდა და მთებიც უფრო მძლავრად იხვევდენ ნისლს.ყველანი საოცარ ცუდ გუნებაზე დავდექით, მაგრამ გამოდარების იმედს მაინც არ ვკარგავდით.ყველას მოგვაგონდა 25 წელი, 1925 წელი იალბუზის კალთაზე, თოვლ-ყინულზე 4 დღე და ღამის განმავლობაში ლოდინი, უკანასკნელი ღამის ჭექა-ქუხილის შემდეგ მშვენიერი მზიანი დღე და ჩვენი გამარჯვება.—იალბუზზე ასვლა.

4 სექტემბერს, მორცხვმა ხევის პატარძალმა ბურუსის პირბადე გადაიხსნა. დილით, ადრიან იაგორი (ჩვენი გამყოლი) შემოვიდა ჩვენს ოთახში და გვითხრა: —მყინვარი გამოჩნდა, გარედ გამოდით. ამის გაგონებაზე გიჟებივით წამოვცვინდით და ნახევრად მძინარენი გარედ აივანზე გავიჭერით.

ჩვენ თვალს წინ აღიმართა ამომავალ მზის სხივების მოელვარე ხევის პატარძლის მომცინარე თავი. ამ წარმტაცმა სანახაობამ ყველანი გაგვამხიარულა. მაშინვე შეუდექით მწვერვალისაკენ წასასვლელად მზადებას.

გამგზავრება წვერისაკენ

5 სექტემბერს დავტვირთეთ ორი ცხენი, 4 მზიდველი, დავიტვირთეთ თვით ჩვენც და გაუდექით გზას. გავიარეთ სოფელ გერგეთზე და ჩხერის ხეობით შეუდექით ზევით სვლას. დღეს და ხვალ უნდა დაუახლოვდეთ მყინვარ-წვერის კონუსს, ხოლო 7 სექტემბერს განზრახული გვქვს ასვლა თვით მწვერვალზე.



გახა წიკლაური

პირველი ღამე 3.100 მეტრის სიმაღლეზე გავათენეთ.

6 სექტემბერს დილით ადრიან განვაგრძეთ ზევით სვლა. ჩვენი სათრევი ბარგი საგრძნობლად გაიზარდა, რადგან ორი ცხენის ტვირთი ერთმანეთს შორის გავინაწილეთ. თვითეულს ორ ფუთამდე ტვირთი გვქონდა. ჩქარა **გერგეთის ყინვარის** ბოლოს მივადექით. ანეროიდი 3.300 მეტრს გვიჩვენებდა, ცოტა ხანს ყინვარის ზედაპირზე გავიარეთ. შემდეგ გვერდის მორენაზე გადავედით და ე.-წ. ნაცარ ქედზე (მორენის სახელია) 4 ვერსი გავიარეთ.

მეორე ღამის სათევად 4.000 მეტრზე დავბანაკდით. ირგვლივ ყინვარები გვერტყა. ერთი საათის მუშაობის შემდეგ ლოდებსა და ნაყარს შორის ორი კარვისთვის ადგილი გავწმინდეთ და დავდგით კარვები. ავიდუღეთ ჩაი და მწვერვალზე ასასვლელად მოვემზადენით.

ჩვენ პატარა კარავში საშინელი სივიწროვეა. ორმა ჩვენს ფეხებზე მოიწყო ბინა. ჩვენც კმაყოფილი ვართ ფეხების გათბობისათვის.

გათენდა 7 სექტემბრის დილა. დავირიგეთ შოკოლადი, შაქარი და ნახმი **(сухари)**. 6 საათ. და 45 წუთზე დავტოვეთ ჩვენი ბინა და გავყევით **გახა წიკლაურს და იაგორა კაზალიკაშვილს** (გამყოლებს).

კარგა ხანს ვიარეთ გერგეთის ყინვარის პირდაღებულ ნაპრალებს შორის. იაგორა გვარწმუნებდა, რომ ეს ახალი გაჩენილი ნაპრალებია, რადგანაც მან შარშანწინ ამ გზით გაიარა და არაფერი ამგვარი არ შეხვედრია. თვითეულ ნაპრალის შემოვლა დიდ დროს გვაკარგვინებს. დიდ ნაპრალებთან ერთად მრავლად გვხვდება პატარა თოვლით დაფარული უჩინარი ნაპრალები.

რიგ-რიგობით ვარდებით ხოლმე ასეთ ნაპრალებში, მაგრამ ერთმანეთის დახმარებით თოკის და წერაყინის საშუალებით ადვილად ამოვდივართ. მალე საოცრად დაგვცხა. მცხუნვარე მზე სწვავდა ჩვენ ტყავს. ჰაერი ოდნავად არ ირხეოდა. სპეტაკი ახალ თეთრ თოვლის ზედაპირიდან არეკნილნი იისფერი სხივები უმოწყალოდ გვსუსხავდენ. ყველანი საოცრად გავშავდით. წყურვილის მოთმენა აუტანელი გახდა, რა კი ერთხელვე გაუსინჯეთ თოვლს გემო, თავს ველარ ვიკავებდით.

მზე კი შეუბრალებელი იყო და თანდათან უმატებდა სიმწვავეს. გზა და გზა დავტოვეთ საობურები.

კონუსზე

როდესაც 1—საათზე ფირნის ველზე კონუსის ძირთან მივედით, სადაც ანეროიდი 4.400 მეტრის სიმაღლეს გვიჩვენებდა, იმდენად დაგვცხა, რომ რამდენიმე ჩვენთაგანმა ზეტანი სრულიად გავიტიტვლეთ, და ტრუსიკების ამარა დავრჩით. ზოგმა ზეტანი დავიზილეთ ახალი თოვლით, მაგრამ მზემ მაინც სწრაფად დაგვწვა. გახა, რომელიც 17-ჯერ ასულა მწვერვალზე და 50-ჯერ მწვერვალზე მიუღწეველი უკან დაბრუნებულა, გვარწმუნებდა, რომ ასეთ საშინელ მცხუნვარე მზეს და ალმურს არასოდეს არ შეხვედრია.

კონუსზე სვლა თანდათან ძნელი ხდებოდა. ახალი თოვლი საკმაოდ ღრმად იდო და ზოგ ადგილას წელამდე გვწვდებოდა. ეს კი მეტად აფერხებდა ჩვენს [illegible]. მზემ ყველანი დაგვთენთა. ნაწილი წინ წავიდა, ნაწილი უკან ჩამორჩა. ბოლოს, ვინც ყველაზე წინ მივდიოდით შევდექით და დაუცადეთ ჩამორჩენილებს. მწვერვალამდე ცოტა-ღა გვაკლდა. ანეროიდი 5.005 მეტრს გვიჩვენებდა, ე. ი. მწვერვალამდე 33 მეტრი-ღა გვაკლდა; მართალია, უძნელესი გზანი დაგვრჩა, მაგრამ არა უმეტეს 1—1 ნახევარი საათის სავალი. უკვე 4 საათი შესრულდა. დაგვაგვიანდა. ყველანი შევფიქრიანდით.

ვერ წარმომედგინა, რომ ასე მიახლოვებულ მიზნისთვის თავი დაგვენებებია და უკან დავბრუნებულიყავით. სწორედ აქ გამოიჩინა გახამ თავისი შორსმჭვრეტელობა, თავისი მოხევური სიფრთხილე და გამჭრიახობა. მან დროზე განაცხადა უარი წინსვლის გაგრძელებაზე და ვინ იცის, შეიძლება, ამით მთელი ექსპედიცია დაღუპვას გადაარჩინა. საქმე იმაშია, რომ თუ კი ჩვენ კიდევ განვაგრძობდით მწვერვალისკენ სვლას, მაშინ მივაღწევდით მას არა უადრეს 6 საათისა; რის შემდეგ დაბრუნების დროს ან თვით კონუსზე დაგვაღამდებოდა, ან გერგეთის ყინვარზე რომელიმე ნაპრალში გადვიჩეხებოდით.

აი, ეს შემთხვევა იქნება ჩვენთვის გაკვეთილი და მასთან ერთად მაგალითიც იმ გაფრთხილებისა და წინდახედულებების, რომელიც ესოდენ საჭიროა ჰქონდეს ყოველ ჭეშმარიტ მთასვლელს მწვერვალისაკენ უსაზღვრო მისწრაფებასა და ლტოლვასთან ერთად.



იაგორა კაზალიკაშვილი

უკან დახევა

რაც არ უნდა საწყენი და საძნელო ყოფილიყო დაბრუნება, მაინც იძულებული გავხდით დავმორჩილებოდით გახას კატეგორიულ მოთხოვნას და ჩქარი ნაბიჯით ძირს დავეშვით. ფირნის ველზე 5½ საათზე ჩავედით. გზაში, მთელი დღე მზისაგან გამდნარ თოვლში ახალი ნაპრალები გაჩენილიყვნენ.

სრულიად ბნელოდა, როდესაც თავი დავაღწიეთ ნაპრალებს და შლამ-ლოდნარით ბინისაკენ დავეშვით. კარვებთან საღამოს 9 საათზე მივედით. ყველანი საოცრად დაღლილნი და უკმაყოფილონი.

8 სექტემბერს, მხოლოდ 200 მეტრით ავიწიეთ მაღლა და ე.-წ. იაგორას ნიშთან დავბინავდით. ამით საგრძნობლად შევიმცირეთ სახვალიო გზა.

ამასთან ერთად მთელი დღე ვსაზრდოებდით და ვისვენებდით.

მეორე გამგზავრება

9 სექტემბერს, ჯერ კიდევ ცისკრის ვარსკვლავი კაშკაშებდა და დღე და ღამე ერთმანეთს არ გაჰყროდა, როცა ჩვენ სავსებით მომზადებულნი, ე. ი. თბილ-თბილ ტანისამოსში ჩაცმულნი გამოვედით კარვებთან, ავიღეთ შოკოლადის, შაქრის და ნახმის ახალი ულუფა და 5 ს. და 15 წუთზე მწვერვალისაკენ გავსწიეთ.

7 სექტემბერთან შედარებით ამ დღეს მრავალი უპირატესობა ჰქონდა.

წინა დღით თითქმის მთელი დღე ვისვენებდით. ამასთან ერთად 1½ საათით უფრო ადრე გამოვედით, 200 მეტრით მწვერვალთან უფრო ახლოს ვიყავით, გზაც ცოტაოდნავ შევცვალეთ. ვეებერთელა ნაპრალებს შორის ხეტიალის ნაცვლად მთის კალთაზე, ლორღზე გადავიარეთ და ამით ბევრად შევამოკლეთ სავალი გზა. ამასთანავე ამ დღეს 7 სექტემბრის თელილ გზით მივდიოდით და სრულიად ვერ ვგრძნობდით ახალი თოვლის წინააღმდეგობას მშვენივრად დატკეპნილ და გაყინულ ბილიკზე. ყოველივე ამას ისიც დაუმატოთ, რომ საოცრად მცხუნვარე მზის ნაცვლად ამ დღეს 6 გრ. ყინვა იყო. 8½ საათზე უკვე ფირნის ველზე ვიყავით.

შეუდექით კონუსს. ყველანი ერთრიგად მივდივართ. არავის არ ეტყობა დაღლილობის ნატამალიც—კი. სამთო კომპასით დაქანებას ვზომავთ. ადგილ-ადგილ დაქანება 70 გრ.—80 გრ. აღწევს, საშუალო კი 40 გრ-ს.

ამხ. არჩილ ბენაშვილი იღებს ასვლის მომენტებს. აი, მივედით კიდეც იქ, საიდანაც გუშინწინ უკან დავბრუნდით. კონუსზე ორ ადგილას ნაპრალი შეგვხვდა. ჩქარა საჭირო შეიქნა ნაკიბურების გაჭრა. ძველი გათელილი გზა გათავდა და თოვლი ფეხებში გვედებოდა. ნაკიბურების ჭრამ შეგვაფერხა და ნელის ნაბიჯით მივიწევდით. სამაგალითო სანახაობაა გადაშლილი ირგვლივ, მაგრამ ისევ მწვერვალისთვის ვიტოვებთ ნეტარ წუთებს, მათი ბუნების ხილვით რომ დავსტკბეთ.

ეხლა მთელი ჩვენი ყურადღება მწვერვალისაკენ არის მიქცეული. აი, უკანასკნელი მეტრები-ღა დაგვრჩა. გახა გვამხნევებს და გვეძახის.. ჩვენც მოუთმენლად მივისწრაფით ზევითკენ და თან ნაბიჯს ვუმატებთ.

წვერზე

გაისმა ვაშას ძახილი. ეს ჩვენები ულოცავენ ერთმანეთს. ჩქარა მეც მათში გავერიე. 12 საათზე ყველანი მწვერვალზე ვართ. ჩვენთან ერთად მწვერვალზეა ამოტანილი ორი თვითჩამწერი მეტეოროლოგიური იარაღი კვირეული მომართვით: თერმოგრაფი და ბაროგრაფი.

მწვერვალზე ორი სურათი გადავიღეთ. გავზომე აღმოსავლეთ მწვერვალის თხემი, რომელიც მონგრეულ კრატერის გვერდს წარმოადგენს და სიგრძით 120 ნაბიჯს უდრის, სიგანით კი 15. ეს სერი შუა ნაწილში ოდნავ ამოზნექილია, ხოლო აღმოსავლეთ და დასავლეთის მხრით დაქანებული. მის სამხრეთი ფერდობით დავეშვით სწორ თოვლიან ბაქანზე, რომელიც აგრეთვე კრატერის ნაწილს წარმოადგენს და სერიდან სამხრეთით მდებარეობს. მისი მოედანი დაახლოვებით 100 კვარატ. მეტრს უდრის, რომლის შუა ადგილას **დიდებულიძის** ექსპედიციის მიერ 1925 წელს დადგმული მეტეოროლოგიური ბუდრუგანა სდგას.

ქ-ნ. **ალექსანდრა ჯაფარიძემ** გამოიღო ბუდრუგანიდან 47-იან თერმომეტრი, რომელმაც გვიჩვენა, რომ შარშანდელ ზაფხულს შემდეგ მყინვარ-წვერზე მინიმალური ტემპერატურა 47-ზე დაბლა ყოფილა. ამ თერმომეტრის ნაცვლად დავტოვეთ 75 მინიმ. თერმომეტრი. მწვერვალზე გავშალეთ ჭადრაკის დაფა და ერთი პარტია გავითამაშეთ.

შემდეგ წაველით ბაქანის დასავლეთ კიდისაკენ, სადაც უზარმაზარ კლდეებთან **მ. პრეობრაჟენსკაიას** მეტეოროლოგიური ქოხი იდგა; დღეს-დღეობით სავსებით გამოწვლილი აღმოსავლეთის მხრით და მასთან ცარიელი. აქვე გავაკეთეთ წარწერა, დავტოვეთ სხვადასხვა ნიშნები. აქედით ისევ მწვერვალის სერზე და ვსტკბებოდით ჩვენ წინ გადაშლილ სილამაზით.

პირდაპირ მოსჩანს შავარდნის ბუდე, ჩათას ქედი, ლარსის სიმაღლეები, კავკავი და მის ირგვლივ ზღვასავით გადაშლილი ვეებერთელა ველი, შორეული რუსეთი. აღმოსავლეთით მოხეტიალე ღრუბლებს შორის გამოჩნდება ხოლმე სადგ. ყაზბეგი.

დიდებული სანახაობაა დასავლეთით, ჩვენს წინ იშლება კავკასიონის ქედის პანორამა, რომელიც ჭაღარა იალბუზს იქით გრძელდება. იალბუზის დანახვას ყველა აღტაცებაში მოჰყავს. აუწერელი სილამაზეა ირგვლივ. რომელიც შეიძლება მხოლოდ განიცადო და ვერ აღწერო.

საათ ნახევარმა შეუმჩნევლად განვლო.

უკან დაბრუნება

შეუდექით დაბრუნებას, მხოლოდ ალექსანდრა, სიმონი და იაგორი დარჩენ, იარაღების დადგმა რომ დაემთავრებიათ.

კონუსზე დიდი სიფრთხილით ვეშვებოდით და თან ვსტკბებოდით გარშემორტყმულ სიმშვენიერით. ფირნის ველზე დიდ ხანს აღარ შევჩერდით. ყველა ბინისკენ მიეჩქარება.

5 საათისთვის კარვებთან ვიყავით. 10 წუთის შემდეგ დანარჩენებიც დაბრუნდენ. გაუზიარეთ ერთმანეთს ჩვენი საერთო მხიარულება. ავიდუღეთ ჩაი, გავთბით და ტკბილად მივიძინეთ. 10 სექტემბერს ავიკიდეთ მთელი ბარგი და სწრაფი ნაბიჯით სადგ. ყაზბეგისაკენ დავეშვით.

აქ დიდის სიხარულით დაგვხვდენ. ყველა გამარჯვებას გვილოცავს. გაკვირვებით და თან კმაყოფილებით გვიყურებენ. ეს უკვე ახალი არ არის მათთვის. 11 სექტემბერს ექსპედიცია ისვენებდა ყაზბეგში, მეტეოროლოგიური დაკვირვებანი კი განუწყვეტლივ სწარმოებდა.

12 სექტემბერს ექსპედიციის ნაწილი სამი კაცის შემადგენლობით თბილისში დაბრუნდა, ნაწილი კი შეუდგა ახლო-მახლო მიდამოების დათვალიერებას. ამავე დღეს ექსპედიციას შემოუერთდა თბილისიდან ჩამოსული, ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი **ატო ალნიაშვილი.**

13 სექტემბერს სნოსხეზე გავიარეთ. ვინახულეთ მოხევეების რამოდენიმე სოფელი, რის შემდეგაც პირაქეთა ხევსურეთის სოფელი—**ჯუთა** დავათვალიერეთ. აქ ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ...

14 სექტემბერს ექსპედიციის 5 წევრი საქართველოს სამხედრო გზით თბილისში დაბრუნდა, სამი კი დარჩა მწვერვალზე ხელმეორედ ასასვლელად.

დარჩენილები არიან **ალ. ჯაფარიძე (ქალი), სიმ. ჯაფარიძე და ატო ალნიაშვილი.** მეორედ ასვლა განზრახული იყო 16 სექტემბერს და თუ ამინდმა ხელი შეუწყო სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ავლენ და ამით კვლავ ერთხელ შეასრულებენ ღირსეულ საქმეს მეცნიერების და ქვეყნის წინაშე.

მეორედ ასვლას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ ასვლის დროს —განზრახულია პირველ ასვლის დროს ატანილ თვით ჩამწერ იარაღებისა და აგრეთვე, რაც უმთავრესია, ამ იარაღების (თერმოგრაფის და ბაროგრაფის) ჩანაწერისაც ჩამოტანა.

მეორედ ასვლა განზრახულია სრულიად ახალ გზით, სახელდობრ იმ გზით, რომლითაც 23 წელს ავიდა მთასვლელთა ჯგუფი და პროფ. **დიდებულიძის** ექსპედიცია, ე. ი. **დევდორაკის ყინვარის, შევარდნის ბუდის, კლდე-ქოხის და მრისხანეს გვალით.**

დევი მიქელაძე.

შემთხვევები

მხეცი ქალი

სოფ. დიდ-გარეჯვარში (გორ. მაზრა) ამას წინეთ ქუჩაზე შეირყა რეფსიმე ლოლიჯაშვილისა, რომელსაც დარჩა რამოდენიმე ბავშვი.

რაც დრო გადიოდა ავათმყოფობა უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა და ავათმყოფიც არავის ზოგავდა. ერთ საღამოს ავათმყოფს ბევრი უცემია თავის მოზრდილი შვილებისათვის, ხოლო ყველაზე პატარა მათ შორის წაიყვანა და ცოცხალი ღორს შეაჭამა.

ლოლიჯაშვილისა გაიგზავნა საექიმოთ.

გერმანელთა საავადმყოფოს გაძარცვა

გუშინ, ღამის 10 საათზე გერმანელთა საავადმყოფოში ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს სალარო.

თუ რა რაოდენობის თანხა იყო სალაროში დაწვრილებით არ არის გამორკვეული.

ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

— **დაჭრა.** 16 სექტ. მტკვრის პირად მდებარე სასადილოში ვახშმობის დროს რევოლვერის ტყვიით დაჭრილი იქნა ეკატერინე პატარაია. დამნაშავენი შალვა დევდარიანი და ნ. სიხარულიძე შეიპყრეს.

— **ქურდი ქალი.** 16 სექტ. ქურდობისათვის შეიპყრეს ანასტასია მელდამოვა.

— **ზაჰესიდან** სხვადასხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს ზაგესის საწყობის თანამშრომელი დევდარიანი.

— **ზაჰესის** ერთ-ერთ არტელის ხელმძღვანელს ნიკო ალაძეს ოთახიდან მოჰპარეს 800 მან.

— **ჯიბგირობა.** ოვანეს აზარონიანცს ჯიბიდან ამოაცალეს 50 მ. ჯიბგირი აზორიანცი დააპატიმრეს.

— ახალ ბაზარში ამავე დღეს სერგო ოროშილოვს მოჰპარეს ფული და ნავაჭრი ნივთები. ჯიბგირი კარაპეტ ბეჟანოვი შეიპყრეს.

ხანძარი

გუშინ, ღამით კახეთის ქ. № 59 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც საჩქაროთ ჩააქრო ცეცხლისმქრობელმა რაზმმა.

გამოირკვა, რომ ცეცხლი გაჩენილა ელექტრონის მავთულების შეუკეთებლობის გამო.

უბედური შემთხვევა

გუშინ, საღამოს მუშაობის დროს მოქ. ოგანეს ზახაროვმა (მელიქოვის ქ. № 79) მოიტეხა ფეხი.

დაშავებული გადაგზავნილია საავადმყოფოში.

ხელოვნების ქრონიკა

— **სამხატვრო თეატრის** მუსიკალური სტუდიის პირველი გასტროლი გაიმართება დღეს ოპერის თეატრში.

— **განათლების კომისარიატის** ხელოვნების განყოფილება შეუდგა ოპერის და დრამის თეატრების, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის და პროვინციაში არსებულ თეატრების გადახალისებას.

— **მუსიკის მასწავლებლები.** განათ. კომ. ხელოვნების განყოფილება თბილისში ხსნის შრომის სკოლებისათვის მუსიკის მასწავლებელთა მოსამზადებელ პედაგოგიურ კურსებს.

— **მფრინავი კონცერტები.** დღეს, 18 სექტემბერს სახელმწიფო აკადემიური გუნდი თავისი სიმებიანი ორკესტრით კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით მიემგზავრება ქუთაისში, სადაც 19 ამ თვეს შესდგება გუნდის **მეხუთასე კონცერტი.** გზადაგზა გორში, ხაშურში, რიონში და ქუთაისის სადგურში გუნდი გამართავს მუშა-მოსამსახურეთათვის უფასო მფრინავ კონცერტებს.

— **კონსერვატორიასთან** დამდეგ სასწავლო წლიდან იხსნება საოპერო კლასი.

— **„ჩვენი დროის გმირი“.** ოქტომბრის 1-ლ რიცხვებში ნაჩვენები იქნება სახ. კინომრეწველობის ახალი სურათი „ჩვენი დროის გმირი“.

— **კინო „სოლეი“.** დღეს შეკეთების შემდეგ მოხდება კინო „სოლეი“-ს გახსნა.

სასამართლო

ცოლის მკვლელი

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ი. ბერიშვილის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **ქავთარაძის** მონაწილეობით გაირჩა **მურდუს ასან-ოღლის** საქმე.

ასან-ოღლის ბრალდებოდა თავისი ცოლის მოკვლა.

გასული წლის სექტემბრის თვეში, ბრალდებულმა ცოლათ შეირთო 18 წლის ქალი **სოფიო კიზინი.** ორი სამი წლის განმავლობაში ცოლ-ქმარი კარგათ სცხოვრობდენ.

ცოლ-ქმარი გატარდენ „მმაჩში“, მაგრამ ქალი ამით კმაყოფილი არ იყო. მას სურდა ადათის მიხედვით ქორწინების ფაქტი დაედასტურებია მეჩეთის წესით. მას შემდეგ, რაც ქალმა ამის შესახებ ქმრისაგან უარი მიიღო, ის განშორდა თავის ქმარს.

ქმარი სთხოვდა ცოლს, რომ ის დაბრუნებულიყო, მაგრამ ქალი უარს ეუბნებოდა. ამის შემდეგ ბრალდებულმა გადასწყვიტა მოეკლა სოფიო კიზინი. არ გასულა დიდი ხანი, რომ განზრახვა ბრალდებულმა სისრულეში მოიყვანა.

გასული წლის 4 მარტს, ასან-ოღლიმ ხანჯლით მოჰკლა სოფიო კიზინი და მას მიაყენა 15 ჭრილობა.

სასამართლოს კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა მკვლელობა ჩაიდინა წინასწარი განზრახვით შურისძიების ნიადაგზე.

სასამართლომ მურდუს ასან-ოღლის მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

რკინისგზელთა საქმე

გუშინ სასამართლოს მეოთხე სხდომაზე გრძელდებოდა საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვა.

შემდეგი სხდომა გაიმართება დღეს დილის 10 საათზე.

საზიზღარი მკვლელობა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო ლევან **მურად-ხანის** საქმე.

მურად-ხანს ბრალდებოდა თავისი ცოლის მოკვლა.

ბრალდებული თავის ცოლთან ცუდ განწყობილებაში იყო.

მურად-ხანი ოჯახის საჭიროებას ყურადღებას არ აქცევდა და ქალს ძალზედ ავიწროებდა. გავიდა რამოდენიმე ხანი და ბრალდებულის ცოლი შუშანიკ დილანცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბრალდებული მიდის ქალის მშობლებთან და აუწყებს მათ, რომ შუშანიკ არ სჩანს.

ქალის მშობლები და ბრალდებული ერთად დაეძებენ შუშანიკს, მაგრამ, როგორც წინასწარი გამოძიებიდან გამოირკვა, მურად-ხანი ასრულებს ფორმალურ მხარეებს, სინამდვილეში კი მას ცოლის ნახვის საკითხი არც კი აინტერესებდა.

გავიდა ოთხი დღე და ქალის კვალი არსად სჩანდა. მის შესახებ ბრალდებულს მილიციაში არ განუცხადებია.

არ გასულა დიდი ხანი, რომ კოჯორის მილიციამ იპოვა ვიღაც ადამიანის გვამი. რომელიც შემდეგში აღმოჩნდა შუშანიკ დილანცი.

წინასწარი გამოძიებიდან ირკვევა. რომ ბრალდებულმა წინასწარი განზრახვით მოჰკლა თავისი ცოლი და ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად ქალს ამოჭრა სხეულის დამახასიათებელი ნიშნები.

ბრალდებული თავს არ სცნობს დამნაშავეთ.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

განაჩენი ციხისთავის საქმეზე

გუშინ სასამართლომ 7 საათის თათბირის შემდეგ გამოიტანა განაჩენი ბრალდებულ ციხისთავის საქმეზე.

სასამართლომ სცნო, რომ ციხისთავმა ელენე მოსულიშვილი მოჰკლა წინასწარი განზრახვით შურისძიების ნიადაგზე, რისთვისაც **მიუსაჯა მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.**

პირველყოფილი ადამიანის ტვინი

ამას წინეთ, მოსკოვის ახლო, 18 ვერსის მანძილზე, ოდენტოვოში, სადაც ამჟამად აგურის ქარხანა არსებობს, მუშაობის დროს ათი მეტრის სიღრმეზე ყვითელ-აყალო მიწის თხრის დროს ნაპოვნი იქნა მამონტის კბილები და ძვლები. მიწის ამავე ფენაში მამონტის ძვლებთან ერთად, ექიმმა **გრიგოროვიჩმა** აღმოაჩინა პირველ-ყოფილი ადამიანის გაქვავებული ტვინი, რომელიც სივრცით და მოხაზულობით თანამედროვე ადამიანის ტვინს უახლოვდება. ამის გამო, ლენინგრადიდან სპეციალურად მოწვეულ იქნა გამოჩენილი გეოლოგი **იაკოვლევი,** იმ მიზნით, რათა გეოლოგიურათ გამოერკვიათ ამ ფენის სიძველის ხანა. გამოირკვა რომ ეს ხანა ეკუთვნის პირველსა და მეორე გაყინულების საშუალო ხანას. ასეთი აღმოჩენა პირველია მთელ მსოფლიოში. დღემდე არსად არ იყო ცნობილი, რომ ადამიანის რბილი ნაწილები გაქვავებულიყვნენ, მით უმეტეს, ისეთი მეტის-მეტად სათუთი ნაწილი, როგორიცაა თვის შემადგენლობით ადამიანის ტვინი. ამ საკითხმა მიიპყრო მსოფლიო გამოჩენილ მეცნიერთა ყურადღება.

შესდგა განსაკუთრებული კომისია ამ საკითხის გამოსაკვლევად გამოჩენილ მეცნიერის **პავლოვის** თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან ცნობილი ანატომები, ანტროპოლოგები და გეოლოგები. საკითხის გამოკვლევა სწარმოებს ტიმირიაზევის მეცნიერულ კვლევათა ინსტიტუტში. გამოკვლევის მიზნით გამოთხოვილია სპეციალური თანხა.

გაქვავებულ ტვინიდან გადაღებულია 2 მულაჟი (მოდელი). ერთი მათგანი საზღვარ-გარეთ წაიღო მოსკოვის ცნობილმა ანატომმა **გინცემ** დასავლეთის მეცნიერთა გასაცნობათ. მეორე ეკზემპლიარი ინახება არქეოლოგ **გ. ნიორაძესთან,** რომლის შესახებ მოკლე ხანში წაკითხული იქნება სათანადო მოხსენება. სპეციალისტებისათვის.

მეცნიერება და ტეხნიკა

გელიკტოპერი ფლეტნერის ცილინდრებით

ერთმა იტალიელმა ინჟენერმა დაამზადა გელიკტოპერის (გელიკტოპერი არის ჰაეროპლანი, რომელიც გასაფრენათ არ საჭიროებს გარბენას, არამედ შეუძლია პირდაპირ, ვერტიკალურად აფრინდეს) მეტად ორიგინალური მოდელი. ეს გელიკტოპერი აგებულია ფლეტნერის მბრუნავ ცილინდრების პრინციპზე.



გელიკტოპერი

ორ გერმეტიულად დახურულ ცილინდრს მოძრაობაში მოჰყავს ჰორიზონტალური საჰაერო ხრახნილები, რომლებიც მათ ზევით არის მოთავსებული. თვით ცილინდრები მოძრაობაში მოჰყავს ქარს. სიმსუბუქისათვის ცილინდრები გავსილია წყალმბადით.

უცხოეთის ჟურნალების ცნობით, მოდელმა ბრწყინვალეთ დაიჭირა გამოცდა.

იტალიალაბი

„განათებული რძე“ რახიტის სამკურნალოდ

გერმანიის საექიმო ჟურნალს მოჰყავს შედეგები იმ ცდების, რომლებსაც ახდენდენ ბერლინის ბავშვთა საავადმყოფოში, სადაც ბავშვებს აძლევდენ ულტრა-იისფერი სხივებით განათებულ რძეს. რძის განათება ხდებოდა 45 წამის განმავლობაში სპეციალური აპარატის საშუალებით რძე .ამ შემთხვევაში თითქმის არ თბებოდა, თუმცა ყველა ბაცილები იხოცებოდენ მასში, რაც ზედმეტად ხდიდა მის ადუღებას. ამ საშუალებით შემზადებული რძე, როგორც დიდი ხნის დაკვირვებებმა დაამტკიცა საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს რახიტისა და ბავშთა სხვა ავადმყოფობის სამკურნალოდ.

ხელოვნური ბენზინი და „სტანდარტოილი“

გერმანიაში აღმოაჩინეს ნახშირიდან ბენზინის მიღების საშუალება. ეს ხელოვნური ბენზინი იმის ნახევარი ფასი ჯდება, რაც ღირს ნავთიდან მიღებული ბენზინი. ამ აღმოჩენას მოჰყვება ტრანსპორტისა და საქონლის გაიაფება, ვინაიდან საწვავი მასალის ხარჯები სანახევროდ შემცირდება.

მაგრამ ამ აღმოჩენის პრაქტიკულად გამოყენებას წინააღუდგა ამერიკის უძლიერესი ნავთის ტრესტი „სტანდარტოილ“ რომელიც დაინტერესებულია იმაში რომ ბენზინის ფასმა არ დაიკლოს. „სტანდარტოილ“ აწარმოებს მოლაპარაკებას გერმანიის სააქციონერო საზოგადოებასთან, რომელმაც შეიძინა პატენტი ამ გამოგონებაზე. თუ „სტანდარტოილმა“ ხელში ჩაიგდო ეს გამოგონება, ბენზინზე ფასები უცვლელი დარჩება და ვერც გამოგონება იხილავს სინათლეს უახლოეს დროში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 58

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სამოქალაქო სამართლის კოდექსის იმ ცვლილებების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიების შუა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

დამტკიცებულ იქნეს ქვემოდ აღნიშნული დადგენილება სამოქალაქო სამართლის კოდექსის ცვლილების შესახებ, რაც სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრ. აღმ. კომ. მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10-ის თარიღით და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლისამებრ მიიღეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ, ცენტრ. აღმასრ. კომიტ. სესიებს შუა 1926 წ .აპრილის 1-ის თარიღისა და 26 №-რისა კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის წესის შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 2, მუხ. 49).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვინ უნდა გააკეთოს რემონტი

კითხვა

ვცხოვრობ ერთ-ერთ საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობის სახლში (ტროცკის ქ. № 11). მიჭირავს ერთი ოთახი. ჩემ ოთახის გვერდზე არის საერთო ფეხის ალაგი, რომელიც საშინელ სიბინძურეშია, რის გამო ჩემს ოთახში ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ამ სახლის შემდეგ სართულში ასეთი მდგომარეობისაგან თავის დასაღწევად გაკეთებული აქვს ფიცრის საფარი, რომელიც ჩემ ოთახის გვერდით მყოფ ფეხის ალაგსაც ჰქონდა, მაგრამ რაღაცა მიზეზით გამგეობამ მოხსნა რამოდენიმე ხნის წინეთ. ჩემს ოთახში რომ შესაძლებელი იქნეს ცხოვრება საჭიროა ისევ გაკეთდეს ეს ფიცრის საფარი, რომელსაც გამგეობა არ აკეთებს მიუხედავად ჩემი მრავალჯერ განცხადებისა. მე კი არა მაქვს საშუალება ჩემი ხარჯით გავაკეთო ეს.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას შეუძლია თუ არა სახლის გამგეობას უყურადღებოდ დასტოვოს ჩემი განცხადება და არ გააკეთოს რემონტი, ვის მივმართო?

სტამბის მუშა ალექსანდრე თოდუა.

პასუხი

თანახმად ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმის 1925 წ. 31 ივლისის დადგენილება № 88-ისა ამხანაგობის გამგეობა ვალდებულია კაპიტ. რემონტი თვითონვე გაუკეთოს ბინას, სადაც თქვენ ცხოვრობთ. თუ კი იგი რემონტს არ აკეთებს, თხოვეთ საბინაო კავშირს (ბარათინსკის ქ. № 2) გამოაგზავნოს თავისი ტეხნიკი, რომელმაც უნდა დაადასტუროს რემონტის კაპიტალური ხასიათი და აუცილებლობა, და შეადგინოს ხარჯთ აღრიცხვა; ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ, გაუკეთოთ ბინას რემონტი და რემონტზე დახარჯული ფული გამგეობას გადაახდევინოთ სასამართლოს წესით.

კანონიერია თუ არა ჩვენი მშობლების მოქმედება

კითხვა

მე ვცხოვრობ ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე მე-23-მე შესახვევის სახლი № 8-ში მე მყავს მოხუცი მშობლები, რომლებმაც გაჰყიდეს 1926 წელს იანვრის რიცხვებში 30 კვადრატიული საჟენი საეზოვე მიწა—შვილების დაუკითხავათ და შინაური ხელწერილით. ჩვენ ვართ ექვსი და-ძმანი და ერთი ჩვენი ძმის შვილი ობოლი, რომელსაც აქედან ნაწილი ერგება.

გთხოვთ განმარტებას ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს სხვა ქონება, შეგვიძლია თუ არა შვილებს დავიბრუნოთ მამის ამ გვარად გაყიდული ადგილი?

რუბენ მოსესძე სულაკაძე.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 25-ისა, მიწის ყიდვა-გაყიდვა სასტიკად აკრძალულია. ვინც მიწას გაყიდის, იგი დაისჯება სისხლის სამართლის წესით და მიწით სარგებლობის უფლებას ჰკარგავს. ამიტომ თქვენი მშობლების მოქმედება სავსებით უკანონოა. ჩაუდენიათ სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაული და სათანადო სასჯელსაც მიიღებენ. თქვენი მშობლების მოქმედების შესახებ წერილობით აცნობეთ მაზრის ადგილობრივ საადგილ-მამულო კოლეგიას.

მერგება თუ არა ოთხი წლის შრომის ჯილდო

კითხვა

მე დავდექი თბილისში „მოსამსახურე გოგოდ“ არმენაკა ჩარიქოვის ოჯახში, სადაც ვიმსახურე 2½ წელი. შემდეგ არმენაკმა გამგზავნა თავის ძმასთან ქ. ბორჯომში ბაგრატ ჩარიქოვთან, რომელსაც ვემსახურე კიდევ 1½ წელი. ამ ხნის განმავლობაში, როდესაც ჯამაგირზე დაუწყებდი ლაპარაკს, მეტყოდენ ხოლმე: „შენ ობოლი უპატრონო ხარ, ფული რად გინდა გაგათხოვებთ და ნამსახურს მზითვად მოგცემთო“. გათხოვებით გამათხოვეს (რასაკვირველია, ღატაკზე), მაგრამ ჩემი ნამსახური არც მზითვად მოუციათ და არც ფულად.

გთხოვთ განმარტებას, მერგება თუ არა ოთხიწლის ნამსახური ან და ვის მივმართო?

ვარსენიკა არიანცი.

პასუხი

ხელფასი უნდა მოგეცეთ აუცილებლად შინამოსამსახურეთათვის დაწესებულ ტარიფის მიხედვით მთელი ნამსახურ წლების განმავლობაში. ამის შესახებ სათანადო განცხადებით თქვენ უნდა მიმართოთ შრომის სასამართლოს .

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 18 სექტემბერს, დილით 9 საათზე შესდგება საქართველოს კომუნისტური პარტიის **თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ავიაქიმის მე-2 რაისაბჭო იუწყება, რომ დღეს, 18 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (ლენინის კუთხე) **შესდგება საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.**

აუცილებელია **ამხ. კომოვის, ქემულარიას, გაიდუროვის, შომიევის, ა. ლ. კ. კ. რაიკომების და მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების წარმომადგენელთა დასწრება დაუგვიანებლად.**

დღეს, შაბათს 18 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას შენობაში, კომინტერნის ქ. № 5 (მეორე სართული) **შესდგება საქ. რემედასის ცეკას პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.** დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებისათვის სავალდებულოა:

ამხ. ჩოდრიშვილი, მუშიშვილი, ჯიჯაძე, ბელიაევი, მუმლაძე, ნაცვლიშვილი, არაზაშვილი, რუხაძე, ათაბეგოვი, ჯაიანი, გენიალიძე, გუდავაძე, ნუცუბიძე, ჭელიძე და ხომერიკი.

რემედასის მე-2 რაისაბჭო იუწყება, რომ დღეს, 18 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხანოვის 96) **მოწვეულია რემედასის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რემედასის სარევიზიო კომისიის წევრებსა და უჯრედის მდივნებთან ერთად.**

აუცილებელია რაიკომის ყველა წევრების, უჯრედთა მდივნების და მე-2 რაიონის სარევიზიო კომისიის წევრების დასწრება დაუგვიანებლად.

საქართველოს კომუნსტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის **სააგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა** შესდგება სამშაბათს, 21 სექტემბერს, დილით 8 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო და საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება სამშაბათს, 21 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

1) რუსული ჯგუფი—განათლების მუშაკთა სახლში, (კალოუბნის ქ. № 3).
2) ქართული ჯგუფი—აგიტ.-პროპ. მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში. (კირკის ქ. № 7).
3) სომხური ჯგუფი—მე-3-მე რაიონის პარტიულ კლუბში.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მიხეილ შვილებით: ილიუშა, მარგარიტა, ანდრო და პეტრე გასვიანები, დედა ფოტინე შვილებით: გრილანო და ანეტა ესებუები ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

პარასკევა ანდრიას ასული გასვიანისა

დაკრძალვა 18 სექტემბერს, ქ. ფოთში. 3720

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მინადორა ბახვას ასული, შვილები: ილიკო, ვახტანგ და გიორგი და და ნინო დავითის ასული მატახერიასი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მათთვის დაუვიწყარი

ანდრია დავითისძე ლოლუას

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე, კვირას 19 ენკენისთვეს, დღის 12 საათზე, ნიკოლოზის (ვერის) სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა-პანაშვიდი. 3718

კვირას 19 სექტემბერს, ნაშუადღევის 12 საათზე, წმინდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

კოსტია მიქაძის

მოსაგონარად, რასაც აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობრებს უზომო მწუხარებაში მყოფნი დედა ანნა მიქაძისა ქალებით ოლღა, ნინა, თამარა და ლიზათი, სიძეები დომენტი ბენდუქიძე და გრიგორი ბაქრაძე, და დეიდა მარიამ ყარალაშვილისა. 3723

მწუხარებით თავზარდაცემული მეუღლე მარიამ დავითის ასული შვილებით: ალექსანდრე, ივანე, ბიქტორი და მედეია ლორთქიფანიძეები. ულრმეს მწუხარებით ვაუწყებთ ყველა მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასს და მარად დაუვიწყარ

დავით ალექსანდრესძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულებას. კვირას 19 სექტემბერს მეგობრები და ნაცნობები იკრიბებიან, დღის 12 საათზე, განსვენებულის საფლავთან, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 3722

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარიამ, შვილები: ვლადიმერ, ნოე, ტოლია; ძმა ნესტორ, რძალი ოლღა, ძმის შვილები: გოგონა, ლუარსაბ, ემელიან, ეკატერინა, ქეთო, მარგარიტა და ამირანი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 19 სექტემბერს შუადღის 12 საათ. დიდუბის სასაფლაოზე გადახდილ იქნება პანაშვიდი

ნოე გლახუნისძე სიხარულიძის

ტრაგიკულად გარდაცვალების ერთი წლის თავის აღსანიშნავად 3724

კვირას, 19 სექტემბერს, დღის პირველ საათზე

ჟორჟეტა ანთაძეს

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო, გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს, დედა და ძმები, რძალი და სიძე. 3725

დღეს გაიხსნება კინო-თეატრი
სოლეი
(შეკეთების შემდეგ)
ნ. 1789

ეკრანზე საუკეთესო სურათი
1926 წ.,
გამოშვება
კინო-მოთხრობა 10 ნაწილად, კავკასიის ახლო წარსულიდან

„აბრეკ ზაური“

მთავარ როლებში: საქართველოს სახალხო მსახიობი ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩიჩელაშვილი, ნ. სანოვი. ნ. განტარინისა, ნ. აგამბეგოვისა, ა. მარდანოვი. ვ. კრიგერი.

სურათს ახლავს გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი სპეციალურად შერჩეული პროგრამით, გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით.

კინო-თეატრი
სოლეი
საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1745 0—16

დღეს, გაიხსნება სეზონი
(შეკეთების შემდეგ)
ეკრანზე საუკეთესო სურათი
„აბრეკ ზაური“
კინო-მოთხრობა 10 ნაწილად (კავკასიის ახლო წარსულიდან)
უმთავრეს როლებში: ვ. გუნია, ვ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩიჩელაშვილი, ნ. სანოვი, ნ. განტარინისა, ნ. აგამბეგოვისა.
სიმებიანი ორკესტრი გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით.
პირველ სურათათ ამერიკ. საუკეთ. ნაწარმოები
დაბრკოლებათა წინააღმდეგ
უმთავრეს როლებში მილტ. სილსი, და კატ. მაკდონალდი
საუკეთესო ფრანგული კინო-რომანი
„მანდრენ“ 3 და 4 სერია ერთად
უამინდობის გამო, სეანსი გადატანილი იქნება „არფასტოში“

ამ.-კავკ. სოც. საბჭ. რესპ. რკინის გზის სამმართველო

აცხადებს, რომ 22 სექტემბერს, 1926 წ., დილის 10 საათზე რკინის გზების სამმართველოს შენობაში დანიშნულია

შერეული ვაჭრობა

იჯარით გასაცემად: სადგ. თბილისის, ბალაჯარის, ბაქოს, ბორჯომის, ამამლის და ნორაშენის 1 2 და 3 კლასის **ბუფეტებისა,** სადგ. ალიატის, ბალაჯარის და ბაქოს სავაჭრო კარავებისა; სად. ბალაჯარის **პავილიონისა,** სად. თბილისის **ბუფეტისა** საავარაკო პავილიონში—ვადით: **1928 წლის 1 ოქტომბრამდე;** ბათომ ბაქოს შორის მიმავალ საფოსტო მატარებლების №№ 5 | 6-ის 3 **რონოდა—რესტორანისა** და თბილის-ერევანს შორის მიმავალ მატარებლების № 11 | 12-ის 3 **რონოდა რესტორანისა**—ერთ წლის ვადით 1927 წ. 1 ოქტომბრამდე.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჩასდებენ განცხადებას დაბეჭდილ კონვერტში, წარწერით: „გზათა სამმართველოს, 1926 წ. 22 სექტემბრის ვაჭრობისათვის“ იმ ყუთში, რომელიც ჩამოკიდებულია სამმართველოს შენობის შესავალ კარებთან 1926 წ. 22 სექტემბრის დილის 10 საათამდე.

განცხადებას თან უნდა ახლდეს გზათა სალაროში საიჯარო წლიური ფასის 10 პროც. ბეს შეტანის ქვითარი.

განცხადება გადახდილ უნდა იყოს 3 მ. 30 კაპ. სალერბო გადასახადით.

ცნობების შესახებ უნდა მიმართონ გზათა სამმართველოს კომერციულ-ეკონომიურ განყოფილების სახელშეკრულებო ნაწილს დღის 12—2 საათამდე ყოველ დღე ცნობათა ბიუროს საშუალებით. თბილისი, სადგურის ქ. № 1. 1786

სახელმწიფო ოპერა

შაბათს, 18 სექტემბერს კვირას 19 სექტემბერს
გაიმართება
ორი საღამო
მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრის სამუსიკო სტუდიის მსახიობთა.
ვოკალური კვარტეტი შემდეგი შემადგენლობით: ნ. ვ. ზვიგუნოვი, ს. დ. ფედოროვი, მ. მ. პოპოვი, პ. გ. იგნატიევი.
დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება.
1784 3—1

ქალაქ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 19 სექტემბერს, დილის 12 საათზე პლეხანოვის პროს. № 27 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სახელმწიფო გადასახადების ასანაზღაურებლათ, გაიყიდება მოქ. ქებაძის კუთვნილი 1000 ვედრა ღვინო, ცარიელი კასრები და 600 ცარიელი ბორჯომის ბოთლები.
1790

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორისაგან

„კომუნისტ“-ზე და „ახალ სოფელ“-ზე პროვინციაში ხელისმოწერის მიღება

შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე **ჩემიასთან**—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედიაში**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სიღნაღში**—განყ. გამგე. **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. **აბაშაში**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. **ფოთში**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. **ბათომში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში **გოგეშვილთან**—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთში**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავში**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღში**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**კილასონიასთან.**
14. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში **ცხაკაიასთან**— მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **ესტატე შიშნიაშვილთან.**

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

0—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 3548 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

თამარა წერეთლის

გასტროლები საქართველოში

18 და 19 სექტემბერს—ჭიათურა, 22 სექტ.—ფოთი
21 „ —ქუთაისი, 23 „ —ბათომი
26 სექტ.—თბილისი. ნის. 1787

1926 წ. 18 სექტემბერს დილის 11 საათზე
თბ. აღმასკომის შენობაში
მე-316 ოთახში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ყოფ. სასტუმრო „ნოე“-ში მდებარე სარესტორანო დარბაზის თავისი კაბინეტებით და მოწყობილობით. ყოველგვარი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე სასტუმროს კანტორაში პლეხანოვის პრ. № 103 და აღმასკომის შენობის ოთახი № 310. 1778 3—1

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს,** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი).** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.
0—1 უფ. **მთავარი კანტორა**

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. კამოევი

ამით აცხადებს, რომ 6 ოქტომბერს 1926 წ. დღის 11 საათზე სოფელ ალბულახში ბაზრის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის მცხოვრებ სოფელ დუმანისში ვასილა ილიას-ძე ტვაურის მოძრავ და უძრავ ქონებას: ერთ ხარს, 25 ცალ ცხვარს, სახლის მოწყობილობის ნივთებს და ერთი სახლის ნახევარს სოფელ დუმანისში, შედგენილი ერთი ოთახი ზემოთ და ერთი გომი ქვემო სართულში, შეფასებულს 501 მანეთად და 50 კაპ. „ზაკგოსტორგი“-ს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 24 აგვისტოს 1926 წ. თარიღით № 28317 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1788

თანახმად საქ. სას. სამ. ბანკის წესდების 42 და 43 მ. მ.

იყიდება ყოფილი კორპ. ამხ-ბა „კახეთი“-ს სახლი

მდებარე ქ. თბილისში, გოგოლის ქ. № 63 სარდაფებით, რომელიც შეადგენს ბანკის გირაოს. ცნობების მიღება შეიძლება ბანკის იურისკონსულთან—კეცხოველის ქ. № 7. ვადა ა-წ. 1-ლ ოქტომბრამდე.
2—2 ნ. 1779 **საქ. სასოფ.-სამეურნეო ბანკის გამგეობა.**

ექიმი
ლ. ა. სარალიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87. 25—

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ 3482 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
გ-ტ ი. მირიანაშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74 ნე- საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის. ახლოს. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
მებრაგიანცი

ფილტვების, ჩლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
ფურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი

ხიდილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი“).
ვარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმსავნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
3574 ტელეფ. № 4—82.

სათვალეების მორგება

უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 31—63. 25—1
მსურს ავიყვანო

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი
შუხმანი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ექიმი
მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კამდეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი
ზ. ა. ტარუმოვი

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12
ტელ. 22—59, ნ. ღ.

ექიმი
ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

წყლებით სამკურნალო

(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

დაჰკარგა სამხედრო საალრიცხვო განთავ. პირად. წიგნაკი № 671, მოცემული მე-11-ე უბნის მილიციის ს. ს. განყოფილებისაგან. ალექსანდრე მიტოძე სანაძის სახელზე, ჩ. გ. 3717

დაჰკარგა სილარიბის მოწმობა და ვინაობის წიგნაკი კაცობაშვილი სიმხა დანიელის ასულის სახელზე, ჩ. გ. 3716

დაჰკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 1069 დავით ალექსისძე ვაჩაძეს სახელზე, ჩ. გ. 3712

დაჰკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 8 ვლადიმერ ევსტატესძე გურგენიძის სახელზე, ჩ. გ. 3715

დაჰკარგა საბინაო დავთარი 1926 წ. საერთო № 10534, განყოფილების № 446. სოფიო წერეთლის სახელზე, ჩ. გ. 3721

დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა ლ. ქ. კვანჭახაძის სახელზე, ჩ. გ. 3719

დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მედიკო და სერგო ბერინაშვილის სახელზე № 4031, ჩ. გ. 3713

დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა გიორგი მკრიტიჩიანის სახელზე, ჩ. გ. 3714

დაჰკარგა აღრიცხვის ფურცელი № 1205 ვლადიმერ გრიგოლისძე ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 3726

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68